

JK 2130/2  
2023



# සංඛ30

30

12

2023

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული  
და საზოგადოებრივი უკრნალი

საქართველო  
მისამართი

უკრნალი გამოცის

2016 წლის იანვრიდან,

გამოსცემის სამწე-

კავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

30

2023

406-90



რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოადგილე - მაკა ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ლალი ბერიძე  
ლია ზაზაშვილი  
ციური ლაფაჩი  
მალხაზ ლომსაძე  
ლერი ნოზაძე  
მაია ქუქჩიშვილი  
ნატო ყრუაშვილი  
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი  
რევაზ შეროშია, ზუგდიდი  
ზაირა კელოშვილი, ათენი  
ნუგეშა გაგნიძე, ქუთაისი

მდივანი: ზაირა გელაძე

მენეჯერი: უუუუნა დემეტრაძე

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე  
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023

ISSN 2346-836X

## ირაკლი ვაშაყმაძის პოეტური ენა

იდეალებისადმი ერთგულება, ღირებულებათა მდგრადი სისტემა, ჟამთა ცვლის მიუხედავად ერთგულება ღვთისა, ერისა და ბერისა - ეს მახასიათებლები თანაბრად მიესადავება ირაკლი ვაშაყმაძის როგორც პიროვნებას, ისე შემოქმედებას. იგი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, სათქმელი ცხოვრებისეულ ქარტეხილებში რომ გაუტარებია, ისე უთქვამს, როგორც უცხოვრია და პირიქით - ისე უცხოვრია, როგორც უთქვამს.

პოეტობის ამბიცია არასდროს ჰქონია. მისი შემოქმედება სულის გაშიშვლებაა, ვერდატეული სიყვარულის გამოაშვარავება და ვერმოთმენილი ტკივილის გამუღავნებაა. იმ ტრადიციის გაგრძელებაა, შემოქმედი ადამიანები ქართული სიტყვისა და საქართველოსადმი უფაქიზები დამოკიდებულებით, სისადავითა და დახვეწილობით კალამს ერთადერთი მიზეზით რომ შეჰქმდავენ.

შევეცდებით იმის დადგენას, თუ რა ქმნის ირაკლი ვაშაყმაძის პოეტურ სტილს, რომელი მხატვრულ ხერხებს ირჩევს შემოქმედი და რა იქცევა განმსაზღვრელად მისი პოეტური ენის თავისებურების გარკვევისას. შევეხებით მისი პოეზიის ლექსიკურსა და გრამატიკულ ზოგიერთ თავისებურებას.

ბესარიონ ჯორბერნაძის მოსაზრებით მხატვრული ტექსტის ენობრივი კვლევა შემდეგ ამოსავალ დებულებებს უნდა ეფუძნებოდეს: „ა) ბუნებაში არ არის მოცემული მხატვრულობა თავის-თავად. მხატვრული სახე არსებობს მხოლოდ ცნობიერებისათვის. ბ) მხატვრული სახე კონტექსტური ბუნებისაა. ამდენად. იგი განცალკევებით, განყენებულად არ რეალიზდება, მხატვრულ ღირებულებას იგი მხოლოდ მხატვრულ სახეთა სისტემაში იღებს. გ) ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს პოეტური ხედვა და პოეტური ხილვა, რადგან ეს ორი მოვლენა აძირად განსხვავებული ენობრივი საშუალებებით გამოიხატება“.

„შევეცდებით, ირაკლი ვაშაყმაძის პოეზიის ენაზე დაკვირვებით გამოკვეთოთ, როგორია მისი მოეტური ხედვა, რა კონტექსტს სტავაზობს ავტორი მკითხველს.“

ვიდრე პოეტურ ქმნილებას, მათ შორის ლექსს, მკითხველი/გაეცნობა, პირველ რიგში სათაურს კითხულობს. შემთხვევითი არა არის, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში სათაურის კვლევას სერიოზული ყურადღება ეთმობა. მეტიც, მეცნიერთა აზრი ორად იყოფა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სათაურიც ტექსტია, ხოლო მეორენი - ტექსტის შემადგენელი ნაწილია. ერთი რამ უდავოა, უკვე სათაურიდან ჩანს, როგორ აზროვნებს შემოქმედი, რამ ააღებინა ხელში კალამი და როგორ გრძნობს სიტყვას.

გალპერინის ლინგვისტურ კონცეფციაში სათაური წარმოადგენს საწყის წერტილი, საიდანაც იქმნება ტექსტის კონცეპტი. მეცნიერის აზრით, სათაური უნდა იყოს განსაზღვრული წესების მიხედვით აგებული და ელტდროულად უნდა ატარებდეს „კომუნიკაციის კოგნიტურ, ინფორმაციულ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დატვირთვას“ (გალპერინ, 1981:27).

„სათაური დამოუკიდებლად, ტექსტიდან მოწყვეტილი უნდა უდრიდესტექსტის მიერ გადმოცემული მთლიანი ინფორმაციის ჯამს, რაც ასე არ არის. სათაური ინფორმაციულობის ფართო დიაპაზონს იძენს მხოლოდ ტექსტთანმიმართებით, თავად ტექსტი კი მთავარ სათქმელს სათაურის მეშვეობითგადმოსცემს, ამდენად მათი კავშირი ორგანულია. სათაური, რაოდენგამომხატველობითი და ინფორმაციულიც არ უნდა იყოს, მაინც ტექსტისშემადგენელი ნაწილია, თუმცა უფრო მეტად ინფორმაციული, ვიდრე მისი სხვა რომელიმე ნიშანი... სათაური, როგორც ტექსტის ძლიერი პოზიციის მქონე ელემენტი, მთავარი იდეის წამოწევას უზრუნველყოფს, მაგრამ ეს ხორციელდება მხოლოდტექსტის ფარგლებში, ვინაიდან დამოუკიდებლად იგი სრულყოფილადვეროვალიზდება ინფორმაციულობის თვალსაზრისით. ამდენად, სათაური ტექსტის ერთ-ერთ შემადგენელ აზრობრივ-კომპოზიციურ ელემენტად მიიჩნევა, რომელიცთავისი განსაკუთრებული ადგილის გამო ძლიერ პოზიციას წარმოადგენს მისითანმხლები ყველა მახასიათებელი ატრიბუტით“ (გაბადაძე, 2015: 38).

ჩვენი ინტერესის საგანი მხატვრული ტექსტია. იმისათვის, რომ მხატვრული ნაწარმოების, ჩვენს შემთხვევაში ლექსის, სათაური ჩავთვალოთ ტექსტად თუ ტექსტის შემადგენელ ნაწილად, უნდა დავაკვირდეთ მის სტრუქტურას, რამდენად აკმაყოფილებს

ტექსტისადმი ნაყენებულ მოთხოვნებს, ანუ არის თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა, რადა რამდენად ქმნის აზრობრივ მთლიანობას. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ფუნქციური თვალსაზრისით განხილვის შემთხვევაში „ტექსტიად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა, არამედ თუნდაც ერთი წინადადება ან ერთი სიტყვაც კი, თუ მას შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს კომუნიკაციის ფუნქცია“ (ლებანიძე, 2004: 277-278).

ჩვენი აზრით, საკითხი - სათაური ტექსტია, თუ მისი შემადგენელი ნანილი, უნდა განვიხილოთ არა ზოგად, ფართო ჭრილში, არამედ ტექსტის თითოეულ სახეობასთან კავშირში, მეტიც, ვფიქრობთ, შეიძლება ეს კითხვა დავსვათ თითოეული მნერლის მხატვრული შემოქმედების ანალიზისას.

განხილულ პოეზიაში მრავლადაა მარტივი ერთსიტყვიანი სათაური: „შემოდგომა“, „ჯალაურთა“, „სინანული“, „სვეტიცხოველი“, „ქარიანობა“, „ნათელი“, „საქართველოს“, „შატილი“, „მუცო“, „ნაჭაობა“, „გვირილობა“, „სამადლობელი“, რომლებიც გადმოცემულია არსებითი სახელით. ასევე უხვადაა სათაურად მსაზღვრელ-საზღვრულიც, ძირითადად ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულია: „თვალცრემლიანი შაშვი“, „მდუმარე ამაო“, „ტკბილი სიზმარი“, „ქარვისფერი სოფელი“, „მგალობელ დებს“, „ფერეიდნელო ქართველო“, „ოცდამეერთე საუკუნე“, „თვალცრემლიანი ბულია“. სუბსტანციური მსაზღვრელ-საზღვრულის მაგალითებია: „მამულის ამონაკვნესი“, „მერცხლების ცეკვა“, „ცოდვილის აღსარება“, „თებერვლის ჩიტი“, „ავსულის ასული“, „ჭიხმაკურის აღსარება“, სათაურებში წყობა ძირითადად პრეპოზიციულია, თუმცა გვხვდება პირიქითაც: „მნათი წინაპრული“, „ხე ხენეშისა“.

პოსტპოზიციურ წყობას პოეტი იყენებს ფრაზისთვის ექსპრესიულობის მისანიჭებლად და არქაულიობის შესამატებალად. „უამთა დენამ“, მეორე ლექსი „ხე ხენეშისა“, რომელიც სათაური-დანვე ქმნის განწყობას პოსტპოზიციური წყობით. შესამჩნევად ნაკლებია ნართანიანი მრავლობითი რიცხვის გამოყენების მაგალითები პოეზიაში. ნართანიანის გამოყენების ერთეული შემთხვევები სათქმელის შინაარსიდან, თემატიკიდან გამომდინარეობს. ისინი

მზა ფორმულებია, ფრაზეოლოგიზმია: „კაცთა მოდგმა“, არსთა გამრიგე“.

„ხემან ხენეშმა გამოიღო შეამის ნაყოფი,  
უამოდგა, უღმრთობის, ყოფნა-არყოფნის.“

ცა ჩამოიქცა, დელგმა-თქეშში

ნგრევის ქარებად...

და... კაცთა მოდგმა.

არყოფნისკენ მიექანება.

კივილი, კვნესა დედამიწის არავის ესმის,

არადა, როგორ გულსაკლავად მოთქვამს,

და კვნესის...

არავინ უსმენს ყოვლის შემქმნელს,

არსთა გამრიგეს,

ღმერთი ჯვარს აცვეს...

და იუდა... ხურდას არიგებს“. („ხე ხენეშისა“)

ამრიგად, ირაკლი ვაშაყმაძის პოეზიაში სათაური პირდაპირ ან არაპირდაპირ, მეტაფორულად გადმოგვცემს სათქმელს. სათაურთა უმრავლესობა სახელდებითა, ინფორმაციული და ემოციურიც. სათაური ახერხებს მკითხველის პირდაპირ ან უშუალოდ ინფორმირებას და, შესაბამისად, მათში ინტერესის აღვრას.

რაც შეეხება ბრუნების თავისებურებებს პოეტი სალიტერატურო ენის ნორმებს იცავს. მეტიც, ხმირად ავტორები ემფატიკური ხმოვანს რითმის, რიტმის საჭიროებისათვის იყენებენ, რასაც ვერ ვიტყვით ირაკლი ვაშაყმაძეზე, არც ერთი ხელოვნური ჩარევის კვალი მის პოეზიას არ ახასიათებს. ეს ზრდის მისი პოეზიის მხატვრულ შემოქმედებას და ხაზს უსვამს ავტორის ფაქიზ და ღირსეულ დამოკიდებულებას საკუთარი შემოქმედებისადმი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ სალიტერატურო ენაში დამავალი დიფთონგის მოიშალა ორი გზით: ა გადაიქცა სრულ ხმოვნად და დაიკარგა ა. ქართული ენის დიალექტებში ასახულია ამ ორივე გზის შედეგები. ა -ის სრულ ხმოვნად ქცევას ასევე ადასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ ფორმები: ერთაი, ცოტაი, პაშტაი, ყველაი, ყველაკაი (სარჯველაძე, 1984: 289). ირაკლი ვაშაყმაძე მხოლოდ ერთაეულ შემთხვევაში მიმარტავს ამგვარ ფორმებს. ამგვარი სახელობითბრუნვიანი ფორმები ცვენი აზრით

მხატვრული სახის ფუნქციას იძენენ და ელთდროულად რამდენიმე ფუნქციას გამოხატავენ. მაგალითად: „იგი, დედაი, მადლშია, ვინც მამულს უზრდის შვილებსა“, „დედაი“ ამ შემთხვეში ზოგადად დედის სახეს განასახიერებს უძველესი დროიდან დღემდე, გარკვეულად არქაულობის ხაზგასმას წარმოადგენს ბრუნვისნიშნიანი ფორმა. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, იქ დიალექტური ფორმაა და პირიქით, სულიერი სიახლოვის, სოფლად ერთად გატარებული ბავშვობის, ნათელი ადამიანური ურთიერთობების ემოციებს აღძრავს.

„შენ ხარ სულის დგმაი, ძმაი, დედა, მამა,

ნარეკლიან სოფელს შენი ხელით დავალ...“ („და მაყვალა“).

ცოტა მოიძებნება პოეზიაში დიალექტით მიღწეული ისეთი სისადავე, ამავე დროს სათქმელის სიზუსტე, გულწრფელი ემოცია, დიდი სიყვარული და მონატრება ერთდროულად, როგორც ეს არის სულ რამდენიმესტროფიან ლექსში „ნაჭაობა“. სოფლის ყოველდღიური ყოფაში გახვეული ადამიანური ურთიერთობები, უბრალოებაში გამოხატული მარადიული ღირებულებები, სიმარტივესა და რუტინაში გამოხატული ფასეულობათა მყარი სისტემა იქმნება დიალექტური ენობრივი ქსოვილით.

„ა, სახლში მიდენის ნაზიკო თხებს,

ზის ქვაზე მამუკიე, გასცემის ხევს,

გვიყოფს დემურიე დაჭერილ თევზს,

მამიე დაეძებს, ქვიჯისთვის ქვებს,

დალლილი ამირანე, რა ტკბილად თვლემს“. („ნაჭაობა“)

ან კიდევ:

„თურმე რომ დავბადებულვარ, შოთიე, ხელმებს ცლიდა“ („იცი, საიდან მოვდივარ“).

განსხვავებული ყურადღების ღირსია ზმნისნინი და მისი გამოყენება, რაც ირაკლი ვაშაყმაძის პოეიაში განსხვავებული ფუნქციას იძენს. შეიძლება ითქვას, რომ ზმნისნინის გამოყენება და მისი ფუნქციური დატვირთვა პოეტის სიტყვაქმნადობის მთავარი მახასიათებელია და ის ირაკლი ვაშაყმაძის პოეზიის სტილისტურ თავისებურებას ქმნის. ეს ითქმის ძირითადად რთულ ზმნისნინებ-

თან მიმართებით. შეიძლება ივას, რომ ზმნისწინიანი ფორმა ფრა-  
ზის მთავარი საყრდენი ხდება და ის განსაზღვრავს როგორც  
შენაარსს, ისე ემოციას.

„შეგთხოვ მცირედზე მცირედს:

აგვაქართველე ღვთის მადლით.“

„განარსულიანდა ჩვენი მაისები,

მაინც ხარობს გული, გული ნაისრევი“.

ზმნისწინის მეშვეობით პოეტი ქმნის საკუთარ სივრცეს. ამ სივრცეში მოქმედება ძირითადად ზევიდან ქვევით და პირიქით ქვევიდან ზევით ხდება. ირაკლი ვაშაყმაზისთვის ეს კიდევ ერთი პოეტური საშუალებაა, ზეცისა და მიწის ერთიანობას გაუსვას ხაზი. ლექსში, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება საერთოდ არ ეხება რელიგიურ ან სამყაროს ჰარმონიის, არსებობის სხვა ფილოსოფიურ საკითხებს, ზმნისწინიანი ფორმა მკითხველს ერთ სიტყვაში არწმუნებს ცისა და მიწის ერთიანობაში, წარსელისა და თანამედროვეობის უწყვეტობაში.

„ჩამოქვითინდა სიყვითლე,

დილით ჭოროხის ხევს“

„ალბათ ჩამოგვიზამთრდება,

მერე... გაზაფხულდება“ („შემოდგომა“),

„გადმოთოვა სამი დღეა,

ტირის ტყე და მოთქვამს ღელე“ („გადმოთოვა“),

მზე ამოდის, ნოქალაქევს, ქარვა-სხივი შეადნა,

მზე ამოდის, წარსულიდან მოთქმა ამოშრიალდა (ოქროს საწმისელების სიმღერა)

„არაგვზე ჩვენი ყანები ახმა...“ (არაგვიანი ანანურთან)

„შემომხვევია ტანს ჯავრი  
ხევში ჩავლვრილვარ მოთქმადა“

ემოციის გაძლიერებას, მუსიკალურობის განსაკუთრებულ ემოციას იწვევს მკითხველში სიტყვათა გამეორება:

„ქარვისფერი შემოდგომის სევდა,  
ქარვისფერი...“

„ქარვისფერი სოფელი“ (ქარვისფერი სოფელი).

სიტყვათა განმეორება ლექსში „აააა“ მარადიულობის, უამთა ცვლის განცდის შექმნას ემსახურება:

„თოვდა, წვიმდა,

წვიმდა, თოვდა,

უცებ გამოიდარა! („დომნა ბებიას გიტარა“)“.

ირაკლი ვაშაყმაძის შემოქმედება სიყვარულის პოეზიაა როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმით. სიყვარულითაა გაუღენ-თილი თითოეული წინადადება, ფრაზა, სიტყვა. ქართული ენი-სადმი უფაქიზესი დამოკიდებულებით ქმნის პოეტი ნაწარმოებებს. სიცოცხლის სიყვარულში, სხვათათვის სიხარულის გაზიარების სურვილში, საქართველოს ნარმატებასა და ნარუმატებლობაზე, ნარსულსა და აწმყოზე ფიქრში დაბადებული სტრიქონები იქმნება შესაფერისი ენობრივი ქსოვილით. ეპითეტები გამოირჩევა ორი-გინალურობითა და პოეტურობით.

„ერთი წუთი, შემოდგომური“,

„ცაში რქებამლერებული,

მომნატრებია ბულია...“ („თვალცრემლიანი ბულია“),

„ქალს, თმათვალებთაფლიანს,

მზემ შეუწითლა ლოყა,...“

გამოჩნდა ჯუთა-ჯათუნი,

თოვლჩამომდნარი მხრებით“

გიყურებ, გულში ჩამესმის

ჯერ არსმენილი ხმები („მარიამობა ხევში“),

„აი მწვერვალი,  
მშვენიერი,  
ხან მზიანი,  
ხის ნისლიანი,  
უკარება, ძნელმისანვდომი,  
ძნელასასვლელი!“ (მე ველი იმ წამს)

ტანდახანჯლული იდექი მორცხად, ზეცაში ენთო მაცხოვრის სახე“ (კუმურდო სიზმარცხადში“),

პოეტის ლექსებში მრავლადაა ალიტერაციის მაგალითები:  
„ფერთა ქარში,  
ფერთა თქეშში,  
ფერთა ტბორში,  
ჩხართვი ისმენს ფოთოლცვენის ტკივილს“ („სიყვითლეში აფარფატდა შემოდგომა“);

„ყვავილობს გულდაწყვეტის რტოები  
და მიაქვს ტალღებს დაშლილი ტივი,  
აქ, ყოველ დილით, პატარა ჩიტი  
ეცალ-ბარდებში მოთქვამს და ტირის („სვეტიცხოველი“)  
„ქარვისფერი მალე მიინავლება,  
თოვლში ამოქათქათდება მთა-კორდი,  
ქარვისფერი... ქარვისფერი სევდა,  
შემოდგომის ქარვისფერი აკორდი...“ (ქარვისფერი სოფელი).

ირაკლი ვაშაყმაძის პოეზიაში მოიპოვება მარგალიტები, როდესაც არამარტო სტრიქონები, არამედ ახალი სიტყვები, ფრაზებია შექმნილი ალიტერაციით. მაგალითად: თმათვალებთაფლიანი, გუდაწყვეტის მწუხარე რტო, ტბორში ჩამხრჩალი ჩალის ლერები, და შეგაურულებს უამიუამ ტანში..., „ლრუბელი, ჯანლი აწვალებს მწვერვალებს, წელში მოხრილსა“, შუბლდაბინდული, უკეთური უკუნეოს ვკეცავ.

ჩვენი მიზანი ირაკლი ვაშაყმაძის პოეზიის ენობრივი სამყაროს ზოგიერთი თავისებურების გამოკვეთა იყო. წერილის დასაწყისში მოვიყვანეთ ბესარიონ უორბენაძის თვალსაზრისის მხატვრული ტექსტის კვლევის შესახებ. შეძლებისდაგვარად წარმოვადგინეთ ირაკლი ვაშაყმაძის პოეტური ხედვის თავისებურებები. ანალიზმა ერთი რამ ნათლად დაგვანახა - მხოლოდ მაღალმხატვრულ შემოქმედებაში შეიძლება ვისუბროთ ხედვის, განსაკუთრებით კი ხილვის შესახებ. ორივე მათგანი ავტორისგან დიდ ოსტატობას მოითხოვს. ისეთს, რომელმაც ირაკლი ვაშაყმაძეს დააწერინა:

ლექსი: „ქარიანობა“

„ქარს ეცეკვება ეზოში ნაძვი,  
კანკალებს ძველი სახლის კედლები“

ლექსი: „სიყვითლეში აფარფატდა შემოდგომა“

„და ბახუსი, ხაპითა და ჩაფით ხელში,  
ჭურისთავზე ბუქნაობს და ხვეშის“.

ლექსი: „სარფი დამესიზმრა“

„ზღვის ტანს ეალერსებოდა  
ჩრდილი მწვანე მოების,  
ზღვიდან დილა მოფრინავდა  
მენამული ფრთებით...“

ლექსი: „თებერვლის ჩიტი“

„გადიჭახჭახა ეზოზე შაშვმა,  
თეთრი ფიფქების დატოვა სევდა,“

რაც შეეხება პოეტურ ხილვას, შეიძლება მას ყველა შემოქმედის ნაზრევში ვერ შეხვდე, ვინაიდან ის ოსტატობაზე მეტს, სულის სილრმიდან სიტყვებად ამოხეთქილი აღსარების გულწრფელობას ითხოვს. ირაკლი ვაშაყმაძე, როგორც შემოქმედი, პოეტური ხილვით საზრდოობს. მისი პოეზია სიყვარულითა და სიკეთით სავსე სულის წამიერი, არაჩვეულებრივი და სასწაულებრივი გამონათება, მართლაც სულის ირეალური სამყაროს გაცხადებაა მისადაგებული სინამდვილესთან.

„ამოშრიალდა სინათლის ფარჩა, აფორიაქდა სიშორის ლანდი, მე შენს თაფლისფერ თვალებში დამრჩა ჩამავალი მზის სევდა და დარდი“ („სვეტიცხოველი“);

„თვალცრემლიანი კლარჯეთი ნისლში ისწორებს მხრებს... ჩამოქვითინდა სიყვითლე, დილით ჭოროხის ხევს, („ფერისცვალება“);


პოეტური ტექსტის ენობრივი ანალიზი ასევე აუცილებელ პირობად ვარაუდობს ორი საკითხის გარკვევას: რას აძლევს მწერალი ენას, ანუ როგორ და რით ამდიდრებს იგი ენას;

ქართული ენის ამოუწურავ სომდიდრეზე არაერთხელ თქმულა. ამაზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. რა შეეხება კითხვას - რას აძლევს ენას მწერალი, მასზე საუკეთესო პასუხია ირაკლი ვაშაყმაძის შემდეგი სტრიქონები:

„ჰა, მოგვირილდა მაისი, გვირილებს ჩამოგვირიგებს“ (გვირილობა),

„რამდენჯერ უნდა დამთოფო, დამხანჯლო, გამატიალო“ (მუცო).

ირაკლი ვაშაყმაძე



გთხოვ, უფალო

შეგთხოვ, უფალო!  
დამასიზმრე ჩემი ბავშვობის  
ერთი წუთი, შემოდგომური,  
როს დედაჩემი, თეთრი მანდილით,  
მგვანი ლვთისმშობლის,  
ლილინებდა... ციცინათელას,  
თან ჯანჯუხების ლაშქარს ავლებდა,  
ციცქნა დაია, ფეხშიშველა,  
გახარებული...  
მურია კი... ლამენათევი,  
კარებთან იწვა... და... ამთქნარებდა.

# გადმოთოვა

ეროვნული  
ბიბლიოთეკი

გადმოთოვა სამი დღეა,  
ტირის ტყე და მოთქამს ღელე,  
დასისინებს ზენა ქარი  
ტბორში ჩამხრჩვალ ჩალის ღერებს.  
ყვითელ ფოთლებს დაუფარავს  
მოკამპამე წყარო ჩვენი,  
ეს მწუხარე ზამთრის პირი,  
კორთხის მთებო, რარიგ გშვენის!..

## დომეა პეპიას გიტარა

ითოვა და ... იწვიმა და...  
დილით გამოიდარა,  
„შორი გზიდან სატრფოს ველი“  
მღერის ძველი გიტარა.  
ბებო მღერის, ძველისძველი  
ჰანგი ეზოს ედება,  
ნუთისოფლის ჯურლულეთი,  
ნამით იქცა ედემად.  
„შორი გზიდან სატრფოს ველი“,  
მღერის ბებოს გიტარა,  
თოვდა, ნვიმდა,  
ნვიმდა, თოვდა,  
უცებ გამოიდარა!

# პაოლო იავეილი

ქალაქის სოროში ვცხოვრობ ახლა  
ალბერ კამიუ

გამოდით სოროებიდან!  
 მინა გეძახით მშობელი,  
 თუ გინდათ, რომ დაინახოთ,  
 უფალი და ღვთისმშობელი...  
 უამთა დენამ რომ მოაშთოს  
 ავსული შემოსული,  
 რომ განიკურნოს ჭირისგან,  
 დედულ-მამულის სხეული...  
 რომ ენთოს და გიზგიზებდეს  
 ბუხარი მამისეული,  
 რომ კვლავ ხარობდეს ვენახი  
 ვაზი წინაპრისეული,  
 გამოდით სოროებიდან!  
 დედა გეძახით მშობელი,  
 დედის ბუჯერი გეძახით.  
 ჭერი ცრემლშეუშრობელი,  
 თორემ აღზევდა ავსული,  
 ავსული, უფლისმგმობელი...

## პალაურთა

იმერული გაზაფხული  
 გალობს ჯალაურთას,  
 ზეცა მოაქვს გულთან,  
 არე-მარეს ქარ-შოშინი  
 ღვთის სურნელში ახვევს,  
 მზეო, რაც გულს შენთვის უთქვამს,  
 ყვავილობა ამხელს.  
 თითეული ძგერა გულის  
 ამბობს შენს ტკბილ სახელს!

## შენ ხარ კვარაცხელია

შენ არა ხარ კვარადონა,  
 შენ ხარ კვარაცხელია!  
 საქართველოს სიყვარულით  
 მაცხოვარის სიყვარულით  
 მზეჭაბუკო, შენი გული  
 მზისგულივით ცხელია...  
 შენ ქართული ჯიშისა ხარ,  
 შენ ქართული გონის ხარ,  
 ფარნავაზის, ქუჯის, ცოტნეს  
 სისხლი, ხორცი მგონიხარ...  
 დავით აღმაშენებელის  
 მოლაშქრე ხარ არწივო,  
 გმირთა დარად, საქართველო  
 უნდა გამოაბრნებინო.  
 შენ ქართველის გულს ახარებ  
 მწუხარეს და ცრემლიანს,  
 შენ ხარ უფლის, ერის შვილი  
 ხვიჩა კვარაცხელია.

## მარიამობა ხევში

გერგეთზე, მარიამობას,  
 გულმა დაიწყო როკვა,  
 ქალს, თმათვალებთაფლიანს,  
 მზემ შეუწითლა ლოყა,  
 ნისლიც გაქრა და გაბრნებინდა  
 მყინვარი მთელი ხევით,  
 გამოჩინდა ჯუთა-ჯათუნი,  
 თოვლჩამომდნარი მხრებით,  
 გიყურებ, გულში ჩამესმის  
 ჯერ არსმენილი ხმები.

ଶେମିଦିଗନମାର ନୈରାଣ୍ୟ ଫୁଲ  
ମତାନ୍ତମିନ୍ଦାଚିତ୍ତ ଗାଢାଲା,  
ଫାନ୍ଦିତ ଗାର୍ଜେଜେଲିସ ନ୍ୟାରି,  
ଅଳାର ଗାଲିବୁବୁ, ଫାମିରାଲା...  
ନରି ଫଲ୍ପା, ପ୍ରିଣ୍ସି... ଫା... ନ୍ୟାମିସ,  
ଫୁଲଟଲ୍ଲେବୁ ବାଲଶି ମନ୍ଦିରିନିଲୁବୁ,  
ଅଳପାତ, ମାଲ୍ଲେ ଗାଵାପ୍ରିଲ୍ଲେବୁ,  
ମେରପ୍ରକଳ୍ପେବୁ, ମାରକଥି ମନ୍ଦିରିନିଲୁବୁ,  
ନ୍ୟାମିସ ଫା... ଅଳପାତ, ଆପିବଦ୍ଧେବା,  
ମନ୍ଦିରାଙ୍ଗ ଫେରିପୁ କୁନ୍ଦଦେବା,  
ଅଳପାତ, ହାମନ୍ଦଗିଠାମତରଦ୍ଧେବା...  
ମେରୁ... ଗାହାଫ୍ରେଶ୍‌ବୁଲିଦ୍ଧେବା...  
ଅଳପାତ, ନ୍ୟାରିପୁ ଗୁଗାଲିବେବୁ  
ମଥିଲ୍ଲେଫେରି କ୍ରେଲାପତ୍ରିର୍ବେବୁ,  
ଅଳପାତ, ଇପୁ ଗୁଗୁପ୍ରିମର୍ବେବା,  
ଅଳପାତ, ମନମେନାତ୍ରିବେବି...  
ନ୍ୟାମିରିନିଲୁବୁ

## ତତ୍ତ୍ଵାଲ୍ଲପନାମଲ୍ଲିବୀ କୁଳିବୀ

ପାଶି ରକ୍ଷେବାମଲ୍ଲେରୁବୁଲି,  
ମନମନାତ୍ରିବେବା କୁଳିବୀ...  
ସୁଲ୍ଲ ମୁଦାମ ତତ୍ତ୍ଵାଲ୍ଲପନାମଲ୍ଲିବୀ,  
କ୍ରାନ୍ତି ପ୍ରମାଣିତ ଗୁଲିଲିଆ,  
ମନମନାର୍ଜୁବେ ବ୍ୟବାଶି, ତ୍ୱର୍ତ୍ତବ୍ୟବାଶି  
ରାମଦେବି ପାତାଲି ଶୁଣିରୀବୁ,  
କେତେ, ମନ୍ଦିରାନ୍ଦାକୁ ରନ୍ଧି ପାପିବୁ,  
ଦେଖିଲୁ ଫାନ୍ଦିଦିଗାମଦି କୁଳିବୀ.  
ରା ବାରି ମୁଦାପିବୁ, ପାପିବୁ,  
ନ୍ୟାମିରିବୁ ଗୁଲିବୁ ବାରିବୁ!  
ମନ୍ଦିରିବୁ, ଏହି ସାନ୍ତୁରତମିଶି,  
ଗାଗୁପାଦିବୁନ୍ଦେ ବାରିବୁ.

ସାହିତ୍ୟବୋଲି କାରଣାବେତିବୁ  
ଏକାନ୍ତରେଣୁ ବାନାନିବୁ

რა დარჩა?  
 სულში ჩამდნარი სევდა,  
 და სიხარული ასე მცირედი...  
 არადა, გახსოვს? მოფრენილ მერცხლებს,  
 რა სიხარულით მივაცილებდით...  
 რა დარჩა?  
 გულზე დიდი ჭრილობა,  
 რა დარჩა?  
 სულში ცრემლი ჩამდნარი,  
 არადა, გახსოვს? ჩვენს დანახვაზე  
 ფოთლებს ისხამდა ხმელი ჭადარი.  
 რა დარჩა?  
 სულში ჩამდნარი სევდა,  
 და სიყვარულის ნაცარ-ღადარი.  
 რა დარჩა?  
 სულში ჩამდნარი ჟამი,  
 და სიხარული ასე მცირედი,  
 გახსოვს?  
 გეგუთთან რიონის ტალღებს...  
 ჟივილ-ხივილით მივაცილებდით...

## ოცდამერთი საუკუნე

შემოიხია სამოსი,  
 ზოგი მთლიანად გაშიშვლდა,  
 ჰო, ასე იცის უღვთობამ,  
 ჰო, ასე იცის ჰაშიშმა...  
 დატოვა უფლის საუფლო,  
 სულის ცხონება – ცხოვრებით...  
 და უყვარს გაცხოველება,  
 ძალუმი გაცხოველებით.

აი მწვერვალი,  
მშვენიერი,  
ხან მზიანი,  
ხას ნისლიანი,  
უკარება, ძნელმისაწვდომი,  
ძნელასასვლელი!  
მე ერთხელ აველ ამ მწვერვალზე,  
ერთხელ დავადგი ამ მწვერვალს ფეხი.  
ერთხელ შევდგი ცის თავანს ფეხი,  
ერთხელ ვიხილე მადლობისილი ქვეყნიერება,  
ეს ნეტარება წამიერი  
გახლდათ და მერე...  
თავქუდმოგლეჯით თავქვე დავეშვი.  
„მწვერვალზე დიდხანს ვერ გაჩერდები“.  
იქ დიდხანს ყოფნა არ შეიძლება,  
ანდა, მწვერვალზე ვის უცხოვრია,  
ჭაობში ჩამხრჩვალს,  
მჯერა, კვლავ შემძრავს,  
მომეახლება მწვერვალზე ასვლის,  
აღმაფრენის,  
აღმასვლის ჟინი.  
მე ველი იმ წამს...

აქ ყოველ დილით პატარა ჩიტი  
 მოფრინდება და ეკლებში ტირის,  
 კედელზე - შენი მოჭრილი მკლავი,  
 მღვრიე ტალღებში ჩაშლილი ტივი.  
 ამოშრიალდა სინათლის ფარჩა,  
 აფორიაქდა სიშორის ლანდი,  
 მე შენს თაფლისფერ თვალებში დამრჩა  
 ჩამავალი მზის სევდა და დარდი;  
 შემოფრინდა წარსულის დილა,  
 აკვენესდა ჩრდილი შეფოთლილ იფნის,  
 აპრილის თოვლში ხელაპყრობილი,  
 მუხლამდე დგახარ, ფანტელებს ითვლი.  
 შორს, გულდაწყვეტის მწუხარე რტოზე,  
 თვლემს ჩრდილოეთის ცივი გრიგალი,  
 მოფრინდა დილა, ტკბილი ზღაპარი  
 და სიზმარცხადის ტკბილი იგავი.  
 ყვავილობს გულდაწყვეტის რტოები  
 და მიაქვს ტალღებს დაშლილი ტივი,  
 აქ ყოველ დილით პატარა ჩიტი  
 ეკალ-ბარდებში მოთქვამს და ტირის.  
 მუხლამდე დგახარ მუხლამდე თოვლში,  
 იებიანი გაცვია ჩითი,  
 გაფრინდა დილა, ზღაპარ-იგავი  
 და გულწითელა გაფრინდა ჩიტი.

დაო, სულის დგმაო, მარადისად...  
 თვეებად და წლებად უამი პიკონა,  
 შენი მაგნოლია, ჰყვავის დაიკონა...  
 დედის მტილოვანში დაფარფატებ მაკო,  
 უფლის ხელი ეზოს ყვავილებით ამკობს.  
 შენ ხარ სულის დგმაი, ძმაი, დედა, მამა,  
 ნარეკლიან სოფელს შენი ხელით დავალ...  
 ჩვენი ოცნებები უამმა აიკონა...  
 ახლა, ლაუვარდებში დაფრენ დაიკონა, აქ კი მაგნოლია,  
 ჰყვავის დაიკონა...

## ქარიანობა

ქარს ეცეკვება ეზოში ნაძვი,  
 კანკალებს ძველი სახლის კედლები  
 და... გარბის ჩემგან პატარა ბიჭი,  
 ერთ დროს მზის სხივებს ანადევნები...  
 აღარ ღუღუნებს ბუხარში ჯირკი,  
 იქ ახლა ცივი ქარი გუგუნებს,  
 მიფრინავს ქარში პატარა ბიჭი...  
 და ღრუბლებიდან უფალს უყურებს...  
 როს ჩამოდნება...  
 სანთლები ხსოვნის!  
 დაიღვენთება ყველა მშვენება...  
 ცად აფრენილო პატარა ბიჭი,  
 მე იმას ვდარდობ, რა გეშველება!

იქ არც გომბორის მთებია,  
არც ქართლის მინდორმდელოა,  
იქ ღვთისმშობლის და მაცხოვრის  
ნამდვილი საქართველოა...  
  
გავუამიანდით, ავსული  
ბუდეს ღვთის სახლში აშენებს...  
ფერეიდნელო ქართველო,  
ლაშქარი შემოგვაშველე!

## სიყვითლეები აზარვატდა გამოდგომა

სიყვითლეში აფარფატდა შემოდგომა,  
ნაიძეგლებს საწნახელში ტკბილი...  
ფერთა ქარში,  
ფერთა თქეშში,  
ფერთა ტბორში  
ჩხართვი ისმენს ფოთოლცვენის ტკივილს.  
ეკლის ტყეში ტყის ქათამი აშურდულდა,  
აჭიხვინდა კვიცი ორლობეში,  
და ბახუსი, ხაპითა და ჩაფით ხელში,  
ჭურისთავზე ბუქნაობს და ხვეშის.  
ცხენის ზურგი შავი ჯანლით იმოსება,  
ცივი ქვენა წამოინყებს ქოთქოთს,  
ბეღურები ნაძვზე ისე აჟივუვდნენ,  
კერცხეთაზე აღბათ, ღამით მოთოვს.  
სიყვითლეში აფარფატდა შემოდგომა,  
ნაიძელებს საწნახელში ტკბილი...  
ფერთა ქარში, ფერთა თქეშში, ფერთა ტბორში,  
ჩხართვი ისმენს ფოთოლცვენის ტკივილს.

# კუმურდო სიზმარ-ცხადში სახსოვრად მერაბ ბერიძეს

ეროვნული  
ბიბლიოთი

ცას სტკივა შენი უგუმბათობა,  
მოისხა ცრემლი თამარის ვაზმა,  
მოგნატრებია ქორწილ-ნათლობა,  
ლოცულობს შენთვის წუნდა და ზარზმა...  
გზად მოღალანე შამპნარი ვნახე,  
ტანდახანჯლული იდექი მორცხვად,  
ზეცაში ენთო მაცხოვრის სახე,  
და ღვთისმშობელის გესმოდა  
ლოცვა...  
მამა-პაპათა ჩაგესმის ხმები,  
სამცხე-ჯავახეთს ვენახი ხატობს,  
ტაძრის გუმბათზე ღუღუნებს მტრედი...  
ნუ მიატოვებ ღვთის სახლს, მერცხალო,  
რომ მარად ენთოს დედის კერია,  
არ ჩაქრე გულში, მზის ნაკვერჩხალო!

## აცხულის აცხლი

გამოაფინა ბარძაყი,  
მერე... გატიტვლდა, გაშიშვლდა,  
ეშმაკმა გააცხოველმა,  
ხელი დარია ჰაშმა.  
დალალი, თმა გაიშალა,  
დატოვა რჯული დიაცმა,  
მანჭვა-გრეხვით და კნავილით  
ქვეყანა ააიანცა,  
დღეს, მისი საცოდაობით,  
ვარდიც ტირის და... იაცა.

დამესიზმრა, ქარვისფერი,  
შემოდგომის სარფი,  
ომარ მემიშიშის  
ძველლაზური სახლი...  
მთის ფერდს მიხატული...  
ვენახი და... ბალი...  
ცაში ტიკტიკებდა მაცხოვარი – ბალი...  
ზღვის ტანს ეალერსებოდა  
ჩრდილი მწვანე მთების,  
ზღვიდან დილა მოფრინავდა  
მენამული ფრთებით...  
გუშინ დამესიზმრა  
მემიშიშის ოდა,  
ქარვისფერი სარფი  
უფალს შესცეროდა.

### საქართველოს

უფლის მაღლით შენ მაცხოვარს ჰგავხარო,  
ჩვენ ცოდვებში ვყელყელაობთ ყელამდე,  
ამშვენებდი,  
კვლავ ამშვენებ სამყაროს,  
ვერა და ვერ ამოვფრინდით შენამდე...  
უფალთან ხარ...  
კვლავ ავსულებს ებრძვი...  
როგორ უძლებ მოსულ მტერს  
შენ ამდენს...  
ტანჯული ხარ,  
უკვდავი ხარ, მამულო,  
ვერა და ვერ  
ამოვფრინდით შენამდე!

ერთ დროს ქართველი ვიყავი,  
 ახლა, არ ვიცი ვინ ვარ,  
 ზეცით ჩამესმის წინაპრის  
 ქვითინი, მოთქმა, გმინვა...  
 დღეს, თურმე მოქალაქე ვარ,  
 ნამდვილი დემოკრატი...  
 და თვალწინ სასწაულების,  
 კვლავ გამიშალეს კარტი...  
 იავარქმნილა სახლკარი,  
 მამული სათაყვანო,  
 და ვითომ მოქალაქე ვარ,  
 დემოკრატიას ვყვარობ...  
 ცად წინაპარი ქვითინებს,  
 მაცხოვრის მესმის გმინვა,  
 ერთ დროს ქართველი ვიყავი,  
 ახლა, არ ვიცი ვინ ვარ...

### ოქროს სამისელების სიმღერა

მზე ამოდის, ნოქალაქევს ქარვა-სხივი შეადნა,  
 მზე ამოდის, წარსულიდან მოთქმა ამოშრიალდა:  
 „ჰოი, ტაო-კლარჯეთო,  
 მიკვირს, მაინც როგორ ვძლებთ  
 ასე, უერთმანეთოდ!  
 დანგრეულო გოჯის ციხევ, მოქვითინე ბედიავ,  
 „ქართველო, ხელი ხმალს იკარ, ჯერ ვერ გაგვიბედია...  
 ჰოი, ჩემო საინგილოვ,  
 კიდევ დიდხანს უნდა ვიყოთ,  
 ასე უერთმანეთოდ?“  
 მზე ამოდის... ეგრისის მთებს, ქარვა სხივი...  
 შეადნა...  
 მზე ამოდის... წარსულიდან, მოთქმა ამოშრიალდა...

შეეპარა ოქტომბრის ტყეს სევდა,  
 მოაქვს სუსხი ნიავს მთიდან მობერილს,  
 ქარვისფერი შემოდგომის სევდა,  
 ქარვისფერი...  
 ქარვისფერი სოფელი.  
 მზე აღარ ჩანს,  
 ღრუბელია,  
 ავდობს...  
 ბეღელს თავი შეაფარეს ქათმებმა,...  
 ფიჩხს ეძებენ ძმები ტყეში ამ დროს,  
 შეშა უნდათ მუხის, ვიდრე დათბება...  
 ქარვისფერი მალე მიინავლება,  
 თოვლში ამოქათქათდება მთა-კორდი,  
 ქარვისფერი... ქარვისფერი სევდა,  
 შემოდგომის ქარვისფერი აკორდი...

## იცი, საიდან მოვდივარ

იცი, საიდან მოვდივარ?  
 ორმოცდაექვსი წლიდანა,  
 თურმე რომ დავბადებულვარ,  
 შოთიე ხელმეხს ცლიდა.  
 ანგელოზების გალობა  
 ჩამოისმოდა ციდან,  
 გახარებული ბაბუა  
 ჭიქას ჭიქაზე ცლიდა.  
 დედიკოს მკლავზე ვტიროდი  
 ბიჭი სულ ერთი ციდა,  
 ხაჭაპურის ფქვილს ბებია,  
 ვერცხლის მერდინში ცრიდა,  
 თურმე, ლამაზი ყოფილა  
 ივლისის ერთი დილა.

## აფხაზეთი გენატრება, დედი!

აფხაზეთი მენატრება, დედი,  
 მენატრება გორა ხორავების  
 მენატრებით, როგორა ხართ, სად, ხართ,  
 სულში ყმუის და მჭამს ხროვა მგლების  
 მენატრება ხორავების სახლი,  
 ტკბილი სახლი, ღვინო მომაჭრული,  
 მტილოვანი, ბალი მანდარინის  
 კომშის ძირას მეამბოხე ჭური  
 აფხაზური ჩახუტება გულში  
 და ბაბუის ტკბილი მოძახილი,  
 ანგელოზის ლექსად თქმული ლოცვა,  
 ბებოს ხელით მორთმეული ხილი,  
 მენატრება „ოისა რაიდა რაიდა“  
 აფხაზური მრავალუამიერი,  
 ყანწით თქმული საკართანო სტუმრის -  
 დალოცოსო ერმა ჩვენიერი,  
 მენატრება ხორავების ეზო,  
 და ეზოდან ხედი მშვენიერი.  
 აფხაზეთი მენატრება, დედი!  
 მენატრება გორა ხორავების,  
 მენატრებით, ნეტავ ახლა სად ხართ?  
 ყმუის მგელი... და გვჭამს ხროვა მგლების.

ხემან ხენეშმა გამოიღო შხამის ნაყოფი,  
უამი ჩამოდგა, უღმრთობის, ყოფნა-არყოფნის.

ცა ჩამოიქცა, დელგმა-თქეშში  
ნგრევის ქარებად...  
და... კაცთა მოდგმა  
არყოფნისკენ მიექანება.  
კივილი, კვნესა დედამინის არავის ესმის,  
არადა, როგორ გულსაკლავად მოთქვამს  
და კვნესის...

არავინ უსმენს ყოვლის შემქმნელს,  
არსთა გამრიგეს,  
ღმერთი ჯვარს აცვეს...  
და იუდა... ხურდას არიგებს.  
უკეთურობამ უღმერთობის დაიდგა ტახტი  
და უფლის ტახტზე ღვთისმოძულე მასხარა დახტის.  
სისხლმა და ცრემლმა  
დედამინა ლამის დატბორა,  
ნუთუ სამყაროს  
უღმერთობა დაეპატრონა!!!

## შატილი

გეახელ, ბარის ამბავი,  
შატილო, უნდა შაგტირო,  
შენც ვერ ყოფილხარ კარგადა,  
უამისგან მკერდში დაჭრილო,  
ჩემს დღეში მყოფსა, შატილო,  
რაფერლა უნდა შაგტირო!

მუცოს მკერდს დაღონებულო,  
 თვალცრემლიანო ღვიაო,  
 შემოგჯარია ღრუბლები,  
 როკავენ, არ მიდიანო.  
 წყაროთა ჩუმი ქვითინი  
 მღვრიე ტალღებად დიანო,  
 რამდენჯერ უნდა დამთოფო,  
 დამხანჯლო, გამატიალო,  
 ორპირო წუთისოფელო,  
 ზოგთათვის პირვარდიანო,  
 მუცოს მკერდს დაღონებულო,  
 თვალცრემლიანო ღვიაო,  
 დაპლამებია მზის თვალსა,  
 შენთან კი მაინც მზეაო.

## ცაშაობა

დავნაჭეთ ორომი...  
 ვაგროვებთ თევზს,  
 ნიავი შეაფრინდა ტირიფის ხეს,  
 ბიჭები ვეფიცხებით...  
 ივნისის მზეს...  
 ა, სახლში მიდენის ნაზიკო თხებს,  
 ზის ქვაზე მამუკიე, გასცეურის ხევს,  
 გვიყოფს დემურიე დაჭერილ თევზს,  
 მამიე დაეძებს, ქვიჯისთვის ქვებს,  
 დაღლილი ამირანე, რა ტკბილად თვლემს,  
 ნათელი დადგომია  
 ფერეთას მთებს,  
 ბზის ტოტზე ისწორებს ბულბული ფრთებს  
 ვხარობთ...  
 გვიხარია... ვიჩეჩავთ მხრებს.

# შიხმაკურის აღსარება

ჭიხმაკური - კაცი ყოვლის  
გზით გაუწყობელი.  
სულხან-საბა ორბელიანი



აპა, მოვედი წუთისოფლის დაშლილ კარავთან,  
დაჰყმუის ეშმა კავკასიონს,  
სამსარს...

თრიალეთს,

იმიერ-ამერი თვალს და ხელშუა დაპატარავდა,  
როკის მკერდიდან ძველქართული სისხლი თქრიალებს.

გავუორგულდი, ვუდალატე წინაპარს, სახლ-კარს,  
ართქმულ ცოდვათა უხილავი მადევს ბორკილი,  
წარსული არწევს ბანისხვენზე თაფულიან აკვანს,  
ჩავყურებ უფსკრულს მოღალატე, ცრუ და ორპირი.

შუბლდაბინდული, უკეთური უკუნეთს ვკეცავ,  
გავქონდრისკაცდი,

დავმახინჯდი,

გავჭიხმაკურდი,

ჩამოვაქციე, ჩამომენგრა ფირუზი ზეცა,  
ფეხთ გამეცალა ღვთისმშობელის მიწა ნაკურთხი.

მამათრახებდა შურის შოლტით დრო უჟამური,  
დაჭკნა, გამიხმა ხერთვისის და თმოგვის ლილილ,  
წარტაცე ბოროტს, მაცხოვარო, დედულ-მამული,  
რომ ლაუვარდები, მოყვავილე, შენი ვიხილო.



სხვა დრო, სხვა უამი ჩამოდგა,  
უამია უამიანობის,  
მთვარე უკულმა წამოდგა...  
და მზეც უკულმა ამოდის.  
ივერთა უფლის ყანები,  
ეშმაკის ხელით მოისრა,  
მოთქვამს ადგილის დედაი,  
ვენახმა ცრემლი მოისხა  
დნება მწვერვალზე მყინვარი,  
ია ცის თაღზე აყვავდა,  
ტიკჭორა მუცელქეიფა,  
ნეხვიდან ამოყაყანდა...  
გაუკულმართა ყოფაი,  
მაცილი დაჯდა მოძღვრადა,  
მაცხოვრის ღვინო წაკურთხი...  
მოიჭანკა და მოძმარდა.  
სხვა უამი, სხვა დრო ჩამოდგა,  
დრო მოდგა უამიანობის,  
მთვარე უკულმა წამოდგა...  
და... მზეც უკულმა ამოდის.

ნიკორა ხარი ხოტევთან გადაიჩეხა...  
 ხრამში,  
 ბრდლვინავს და ბლავის ბუღია,  
 ჩემი ერთგული ბავშვი.  
 დაცალულელდა, ჩაჰყურებს  
 უამიუამ შავბნელ ხრამებს,  
 თვალცრემლიანი შემოდის ბაგაში თეთრი ლამე.  
 ცუდი წელია, ჯერ იყო დათვმა დაგლიჯა  
 ძროხა...

დარდისგან რქებით ნიკორამ  
 საყანე მინა მოხნა...

ცხოვრება ეკლის შოლტია,  
 გაუსაძლისი, გულლრძო,  
 ეჭ, რა ძნელია, ბუღია,  
 უღლის ტარება უძმოდ.

## თებერვლის ჩიტი

გადიჭახჭახა ეზოზე შაშვმა,  
 თეთრი ფიფქების დატოვა სევდა,  
 ნეტაი იმ უამს...

იმ გაზაფხულებს...

შენი ღიმილი ამაისებდა...

ირნევა ნაძვი დამზრალი ყინვით,  
 ეზოკარს თეთრი სიჩუმე ათოვს,  
 ზის ეკლის რტოზე თებერვლის ჩიტი,  
 ზის მოწყენილი...

გულისწორს ნატრობს...

არაგვზე ჩვენი ყანები ახმა...  
 და დგახარ ცივი სიჩუმის ახლოს,  
 და გეშინია ახედვა მაღლა,  
 რომ უფლის ცრემლი არ დაინახო.

თვლემს არაგვი და...

ველარ არაგვობს,  
 მაინც რაღაა თვლემა არაგვის,  
 იქნებ შენც ხვდები, ჩემო არაგვო,  
 რომ არაგვობა ახლა არა ღირს...  
 არა ღირს...

დავით, დანებდი ჯალათს,  
 ჩამხრჩვალხარ ცისფერ დუმილის ტბაში,  
 ოხვრით იგონებ პატარა ჭალას  
 და შეგაურულებს უამიუამ ტანში...  
 მთლად გულუბრყვილო ვიღაცას ენდე,  
 ნდობა კი ჩვენში დაღუპვას ნიშნავს...  
 თოვს, ანანურის გაბზარულ კედელს,  
 შეჰყურებ, როგორც ძახილის ნიშანს.

რა გულდამწვარი გაჰყურებ,  
 ცის ბილიკს, წუთისოფლისას!  
 ქვითინი გესმის ლიახვის,  
 მოთქმა-გოდება მომმისა.  
 ღრუბელი, ჯანღი აწვალებს  
 მწვერვალებს, წელში მოხრილსა,  
 ცხინვალთან - უფლის ყანასა,  
 მოსისხლე მტერი თოხნისა...  
 რა გულმწუხარე გაჰყურებ  
 კეხვის სანახებს გორიდან! და ის სამ  
 მომნატრებია გერმუხი,  
 ციხით ცად ასვლა მომინდა.

### ...მგზავრი ვარ სამოთხისაო

- ამ თოვლში დედის საფლავზე,
- რამ მოგიყვანა იაო?
- უფლის ანგელოზს,
- უფლის შვილს,
- აქ ცრემლი დაუღვრიაო,
- ცით, დედის გულზე დავფრინდი,
- ცრემლი ვარ ღვთისმშობლისაო,
- სისხლი მდის მაცხოვრისაო,
- სხივი ვარ ცათა მზისაო,
- აქ ერთი წამით შევჩერდი,
- მგზავრი ვარ სამოთხისაო...
- ... მგზავრი ვარ სამოთხისაო

ჩიტი, გვრიტი მოფრინავდა სამოთხის,  
 ცას შვენოდა გელათის განთიადი,  
 მოფრინდა და... სულში შემოფრთხიალდა,  
 წამიერად გაქრა წკვარამ-წყვდიადი...  
 ჩიტი, გვრიტი შროშანი რომ მეგონა,  
 მეგონა... და... არ ყოფილა შროშანი,  
 იგალობა...  
 მერე... ცას შეაფრინდა...  
 ალბათ, ცათა მიღმაა და...  
 შორს არი...  
 უცებ, რატომ მოფრინდა და გაფრინდა!  
 შხამ-შარბათად რად მიქცია დრო-ჟამი!  
 იქნებ ყოვლის შემოქმედო...  
 შენ მითხრა,  
 ჩიტი, გვრიტი რად მეგონა შროშანი.

## კაი ყეის პედის ცერული

განგებამ, ბედისნერამა, წერებული  
 წამების ჩოხა ჩააცვა, კონკრეტულ  
 ჯოჯოხეთს ჩააქვესკნელა,  
 გატანვა, დაწვა, დანაცრა...  
 დაბადებიდან მაცილი,  
 ულრჭიალებდა კბილებსა...  
 ბედითმა წუთისოფელმა,  
 ჩააგდო ტანჯვის დილეგსა...  
 დედაი იგი, მადლშია,  
 ვინც მამულს უზრდის გმირებსა,  
 და იგი... გმირიც მადლშია,  
 ვისაც და დაიტირებსა...  
 ღვთით განარიდე, კაი ყმა,  
 ტანჯვა-წამების დილეგსა!!!

ଆବାଦ ମାଶିନ କାର, ଆରାଫ୍ଟେରି ଏତୁମି  
ରନ୍ଧ୍ରା ଏବଂ ଗୃହିତିକାରୀ ଏତୁମି  
ମାରତ୍ତିଗୁଡ଼ ଗରଦନୋପିତ...  
ପ୍ରେସ୍‌ରେଲ୍‌ବୁକ୍‌ସିଟି ପ୍ରେସ୍‌ରେଲ୍‌ବୁକ୍‌ସିଟି ମାରତ୍ତିଗୁଡ଼  
ତ୍ରୀଣ, କ୍ଷେତ୍ରରେ, ଆଜିଶୀଳିତିକାର...  
ରନ୍ଧ୍ରା ଏବଂ ଗୃହିତିକାର,  
ରନ୍ଧ୍ରେସାପ୍ ଧେଇଦାସାଫ୍‌କାରିତାବେଳି  
ଏବଂ, ଏବଂ ଗୃହିତିକାର...  
ରନ୍ଧ୍ରୀ ପ୍ରାଚୀନ୍‌ଦ୍ୱାରା ମନ୍ଦିର, ମନ୍ଦିର, ପ୍ରେସ୍‌ରେଲ୍‌ବୁକ୍‌  
ମନ୍ଦିରରେ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କାର...  
କୁତୁହାରୀ ପ୍ରେସ୍‌ରେ କାର!  
ଆବାଦ ମାଶିନ କାର!!!

### ତ୍ରୀପିଲ୍‌ଲୋ ସିରିଜାରୀ

ରା ତ୍ରୀପିଲ୍‌ଲୋ ପ୍ରେସ୍, ରା ତ୍ରୀପିଲ୍‌ଲୋ,  
ବ୍ୟାକ୍‌ବ୍ୟାକ୍ ବାନାବି ସିରିଜାରୀ,  
ମନ୍ଦିରିନାକୁଳ୍ପୁତ୍ର ପିଲ୍‌ଲୋରି...  
ଗାଗରା, ପ୍ରେସିନ୍‌ବାଲୀ...  
ଲ୍ୟାଟିପ୍‌ ଡାଲୀତ...  
ଧା... ଧର୍ମ... ତ୍ରୀପିଲ୍‌ଲୋରିଜ୍‌ଜ୍‌ଏତି,  
ଏହେମି ଶ୍ରେମିତିକାରୀତ,  
ଗାନ୍ଧିତାଦିବିଶ୍ଵାସ ମାନ୍‌ଫିଲ୍‌ଡି  
ବାନ୍‌ଦିତାବିଶ୍ଵାସ ଆଫରିଲ୍‌ଟ୍...  
ଏକାଲମ୍ବା ପାରିଦି ମନୋବିଶ୍ଵାସ,  
ଧେଇଦା, କୁରମ୍‌ବ୍ୟାକ୍ ଭୋକିରିବିଦିଲା,  
ଧାରିବା, ଉତ୍ସବିଶ୍ଵାସ ବାନ୍‌ଦିତାବିଶ୍ଵାସ  
ପାଇଁ ଲ୍ୟାଟିପ୍‌ବିଶ୍ଵାସିବିଦିଲାନ ମିଗିଲିନିଲା.

მიწა ვარ მოლაპარაკე, ჩე წოდე ლოგოთ -  
 მზის ცრემლი დედამიწისა, თვისძინებულებული -  
 აღმაშენებლის ქვეყანა კონკრეტული დროის -  
 ეშმაკის ხელით იწვისა...  
 გელათის დედა-ლვისამშობელს ამჟამინდებ  
 ცრემლები დასდის სიმწრისა, ფერული მშებ  
 გადახმა უფლის ყანები და დაუბრუნოს ინაც  
 ალავერდსა და ყინწვისსა,  
 ცხარე ცრემლებად დასტირის დაუბრუნოს  
 არაგვი ცით ანანურსა, ქართულად მოლაპარაკე  
 ეშმაკი ანგრევს მამულსა...  
 მოსალამოვდა და მოსალამებო მოსალამებო

## ნათელი

მოსალამოვდა, თებერვლის თქეშმა  
 ქუჩაში იწყო მოთქმა - თარეში,  
 უცებ გავცოცხლდი და მომენატრე,  
 რომ ჩამეხედა შენთვის თვალებში...  
 ხელის ცეცებით გეძებდი ბნელში,  
 ქარი და ყინვა ძვლებში მატანდა,  
 მღეროდი ჩემში, მოთქვამდი ჩემში  
 და ვიღაც ჩემში თბილად გხატავდა.  
 მერე...  
 უკუნი განათდა ლამე,  
 აყვავდა ირგვლივ ვარდი და ია,  
 თვალი ხარ ჩემი, სული ხარ ჩემი,  
 ყველაფერს შენი სახელი ქვია!

- როგორა ვართ? მეკითხებით!
- დედამიწასავით,
- საქართველოსავით!

თავს დაგვჩიხავის ყორანი და გულს გვიკორტნის სვავი...  
შეიძილნა, იავარქმნეს

მინა სალოცავი...

უამი მოდგა უღმერთოთა

უამი საოცარი...

ყოველივე, რაც დღეს ხდება

უფლის წყრომად ვცანი,

მივატოვეთ მაცხოვარი,

თავს დაგვემხო ცანი...

ოცნებათა ქრება ტევრი,

ტევრი საოცარი...

## გვირილობა

### გვირილობა

ჰა, მოგვირილდა მაისი,

გვირილებს ჩამოგვირებს,

მინდვრებზე ძებნას დავუწყებთ,

ტკბილი ბავშვობის ბილიკებს...

წყაროსთან ბილიკს ვიპოვნი,

შენც მოხვალ გულის ყვირილზე,

მაგრამ დამჭვნარი დაგხვდება,

ცის გვირილა და პირიმზე...

მრავალჯერ მოვა მაისი,

მოვა, გვირილა... პირიმზეც...

მზესავით ივლი მინდვრებზე...

და შენთან ერთად ივლის მზეც...

მიმსახურა ბოროტმა და...  
 მიმსახურა მაცილმა,  
 ცოდვა - ბრალის ქარიშხალმა  
 უფალს ჩამომაცილა...  
 უღმერთობით ბედისწერას  
 გულმოკლული დავნებდი,  
 ახლა მიკვირს ამდენ ცოდვას  
 როგორ დავატარებდი!..  
 ვნანობ, ვნანობ, მოღალატეს  
 რისთვის! რად ვემსახურე!  
 სამოთხისკენ მისასვლელი  
 ყველა კარი დავხურე...  
 მაპატიე! იმედები,  
 დედი, ვერ გაგიმართლე!  
 სიცრუეში ვიცხოვრე და...  
 ვერ გითხარი სიმართლე!  
 თავს წარვტაცე სიხარული,  
 თვალის ჩინი, სინათლე,  
 მაცხოვარი კი შემინდობს...  
 შენთან თავს ვერ ვიმართლებ...

ვლოცულობდი და... შემომესმა...  
 ჭიკჭიკი მერცხლის,  
 გავიხედე და – ცაში ენთო  
 დავლურის ცეცხლი.  
 ცეკვავდნენ მესხურს, მერე ხორუმს,  
 და განდაგანას,  
 ცდილობდნენ ცეკვით ეზოკარის  
 ცაში ატანას...  
 მერე... გეძებეს, ღელისპირას,  
 ეზოში როგორ,  
 ნეტავ სად არის, სად არისო მერცხალა გოგო...  
 ჭიკჭიკ-ცეკვაში გაქრა სულში შავიავდრობა  
 აღდგომა იყო, ზეციერით, იყო აღდგომა...  
 მერე... გავცოცხლდი, დავიბადე თითქოს ხელახლა  
 ალბათ იმიტომ,  
 რომ მერცხლების ცეკვა მენახა.

## თვალცრემლიანი შავი

დეკემბრის რტოზე თვლემს...  
 შავი შაშვი...  
 თვალცრემლიანი მაისს იგონებს...  
 საით გაფრინდა ის სიხარული,  
 ბავშვობაში რომ გამოვიგონეთ!  
 ჟამის ბორბალი ალმოდებული,  
 ინაცრებოდა... და... აღარ იგორებს...  
 რა ეშველება იმ წრფელ სიყვარულს,  
 ცაში ერთად რომ გამოვიგონეთ...  
 დეკემბრის ტოტზე ზის შავი შაშვი,  
 თვალცრემლიანი მაისს იგონებს...

გულდაფლეთილი ვემდერი,  
 საწუთროს ავსულებიანს,  
 რამდენი რამე ვინატრე...  
 ერთიც არ ამსრულებია...  
 ბევრჯერ არყოფნის უფსკრულთან  
 ღალატმა ამაქანავა,  
 დასაბამიდან მგონია,  
 გაუმარგლავი ყანა ვარ...  
 გამმარგლეთ, მამულიშვილნო,  
 სარეველებში ვიხრჩობი...  
 მერე... უფალიც მოგვხედავს,  
 წილხვდომილი ვართ ღვთისმშობლის...

## გილოცავთ, ფერისცვალებას ფერისცვალება

სახხოვრად თინათინ შიოშვილს

ფერისცვალება დღეს,  
 ვისმენ უცნაურ ხმებს,  
 თვალცრემლიანი კლარჯეთი  
 ნისლში ისწორებს მხრებს...  
 ჩამოქვითინდა სიყვითლე,  
 დილით ჭოროხის ხევს,  
 სადა ხარ, უფლის იაო!  
 ფერისცვალება დღეს!  
 მოწყენილი ცა დაჰყურებს,  
 ხანცთას, არტანუჯს, ტბეთს...  
 ვიცი, ბანასთან ლოცულობ,  
 მამულს ავედრებ ლმერთს.

ორი ერთიანი მახსოვეს,  
 მახსოვეს, მოვინათლე მაშინ,  
 გავმადლიანდი და დიდხანს,  
 ლხენით დავფრინავდი ცაში.  
 მერე... მომაფრინდა ორი,  
 ორი ორიანი დარდით,  
 მახსოვეს, მიღიმოდი მორცხვად,  
 მართვეს ფრთამოტეხილს ვგავდი,  
 ორი სამიანი ბჭობდა,  
 ორი ოთხიანის ცრემლი...  
 ორი ექვსიანიც მოდგა,  
 მოთქმით, მწუხარების ცელით,  
 გაგიკვირდებათ და ახლა  
 ორი შვილიანი ვნახე,  
 ჟამის სისხლიანი შოლტი,  
 როგორ დატყობისა სახეს.  
 იყო, ცად აფრენაც იყო,  
 ბევრი გულდანყვეტაც ვნახე...  
 ზეცით შემზარავი მესმის,  
 დედის, ღვთისმშობლის გმინვა,  
 ახლა...  
 არც კი ვიცი, სად ვარ!  
 ახლა აღარ ვიცი, ვინ ვარ!

ლვთის გმობამ, უღმერთობამა,  
შავჭირად ცოფი შეგვყარა...  
ახლა ღვარცოფმა დახანჯლა, მენ ნერი  
შვილმკვდარი დედის ქვეყანა...  
ღმერთო, ნუ მოკლავ დედის გულს,  
ნუ გაახარებ მაცილსა,  
ნუ დაგვანახებ სამზეოს,  
ლვთის შვილებისგან დაცლილსა...  
სოფელსაც ნუ დაგვანახებ,  
კაი ყმებისგან გაცლილსა  
შემოგჯარვია დედაო,  
მოთქმა, გოდება ულევი...  
ღმერთო, მოგვხედე, სანამ ხრამს  
გადაჩეხილა ურემი!

„გალივნა ხევსურთ სოფელი,  
დიაცთა ავანა ენაშა“

(ხალხური)

დალივნა საქართველოი,  
დიაცთა ავმა ენამა,  
დიაცთა ქაქანყაყანმა  
ქვეყანა დააელამა...  
უფლის მოძულე დიაცმა,  
დატოვა სახლი, ბუჯერი,  
გაუორგულდა საცხოვრისს,  
დიაცი ღმერთს არ უჯერის...  
ვაი, თუ მართლა დაგვამცროს,  
ბოროტად ენის ქნევამა,  
არადა, ენის ტარტარმა,  
მამული გაავერანა.

იქნებ აქ ყოფნას, ზეციერო! არყოფნა ჰქვია  
 და დაბადებას – არყოფნაში გარდაცვალება...  
 იქნებ შენ უწყი – გულს დახლილი მოყვასის ტყვია  
 იქნებ შვებაა, ლხენაა... და არა წვალება.  
 იქნებ ეს ცრემლი მაცხოვარის ცხელი ცრემლია,  
 მტკვრად და რიონად მთებიდან რომ მოედინება,  
 იქნებ მზე იყავ, მშვენიერო, მანათობელი,  
 შენი აქ მოსვლა იავნანად ღმერთმა ინება.  
 იქნებ ესაა უხილავი ცეცხლის გენია,  
 უსულგულოთა ჯოჯოხეთიც ყაყან-ქაქანით,  
 წუთისოფელიც დამზრალი და ნაცრისფერია,  
 „თავი მომეჭრა“, – დედაჩემის კვნესაც აქ არი.  
 ფამმა დაადნო ყოველივე, რაც კი გამაჩინდა,  
 წარსული ესე დიდ ღამედ და ერთ დღედ გაიყო,  
 იქნებ, შენ უწყი, ზეციერო, იქნებ, შენ მითხრა;  
 რა იყო მოსვლა, ასე უცებ წასვლა რა იყო!  
 იქნებ აქ ყოფნას, ზეციერო, არ ყოფნა ჰქვია,  
 და დაბადებას – არყოფნაში გარდაცვალება...  
 იქნებ შენ უწყი – გულს დახლილი მოყვასის ტყვია,  
 იქნებ შვებაა, ლხენაა და არა წამება.

## ეკა ბაქრაძე

დღის ასეთ ინფორმაციის მიზანი ეს  
არის განვითარების მიზანი და  
ეგვიპტის \*\*\* და ეგვიპტის  
მიზანი და ეგვიპტის მიზანი და ეგვიპტის

დღეს ვერანდაზე მზე დანვეს თითქოს  
და ფერფლი მიაქვთ კუზით აქლემებს,  
დუმს მეიგავე და შველას ითხოვს  
და მზეჩანაცრულ ლამეს ათენებს...  
დღეს შენი სუნთქვით გამთბარ ვერანდას  
ცა ვარსკვლავებით მოავარაყებს,  
თუმცა, ბოლომდე მაინც ვერ ანდე  
დარდი სიტყვებს და იგავ-არაკებს.  
ყალბი ლიმილი, როგორც ნილაბი,  
უმშვენებს სახეს მტერს და მოკეთეს,  
ისევ გადახმა სამოთხის ბალი,  
დიდოსტატს მკლავი ისევ მოჰკვეთეს!  
სიკეთის ნიაღ შხამი და გესლი  
სულ ხელუკულმა შემოგაყარეს...  
დღეს დამიზნებით არავინ გესვრის,  
დღეს სხვა მიზანი უჯობს „მოყვარეს!“  
მაესტრო, ფარდა უკვე დახურეს...  
შენს ვერანდაზე კვლავ ზეობს ზეცა,  
დღეს მწუხრის უამი მოვიმარხულე  
და ლამე ლექსებს ფრთებით კვეცავს!

\*\*\*

უკან ვიხედები, - ნაცნობი ხედები,  
დამწვარი ხიდები და სამკუთხედები,  
ჭორი და მართალი... კერპები წარმართა,  
დრომ კი, დრო წამართვა და თავად წარმართა..

მე ანბანივით გასწავლი ჩემს თავს  
 და შენც მკითხულობ, სასოებით...  
 სხეულზე, როგორც სურიდან, წვეთავს  
 ცრემლები – სულის ასოები...

ეს შემოდგომაც ქარში ცახცახებს, –  
 თალხი და ფერებინართმეული...

და ფრთხილი ვნებით ნებივრობს ცახე  
 არილზე, ჩემი სათმეულის.

გზაჯვარედინზე წევს ფერი წითლის,  
 გაკრთობს აკრძალვა შუქნიშანთა,  
 დროის მდინარე დინებებს ითვლის,  
 ცხელი ხუნდები სულს გიშანთავს...

ვარსკვლავს მაკვირდები, როგორც მოგვი,  
 მიხმობ მაგიურ ფალანგებით,  
 ვიდრე დედამინას ქარი მოგვის,  
 მანამდე, თავად დავლანგები...

P.s. რითმებად ირთვება ასოები,

გარეთ წოებრის ისხარია,

უხმოდ მკითხულობ, სასოებით

და მე ბავშვივით მიხარია..

...ძერუძად ცეცე ფერცე თბეტქები  
 .დედი ძროებ გაუც ციფებრცე ძეებ  
 ცეცხლისხიფონ ძნაფ ძაღმუშმ ძორა  
 ძმიდეცე, თინციონე ძნებეცე ცხრო თე

...ინცეცმ ინომეამ - ინცეცმიც მცც

...ინცეცმიც ნიმ თე ინცეცმ ინიცემთა

...კორორმიც ინცეცე, ...ინცეცმიც თე იძოჭ

...კორორმიც ფაფია თე დერორმიც თოჭ ,იკ მილო

ଅରାନ୍ଧମିନ୍ଦା ସ୍ଵଲ୍ପିଗିତ  
 ଡାତାନ୍ତାନ୍ତାଲ୍ପର୍ବତ ତ୍ୟାଗି...  
 ଶେତୀତଥେନିଲୀ ଫୋରିଡାନ  
 ଅମୋର୍ବନ୍ଦିଲୀ ପ୍ରାଣଫେରା  
 ସ୍ଵଲ୍ପି ଗାୟରୀବାଲଫେରା  
 ଡା ଆଦିଗିଲ୍ଲିଟେ କ୍ଷୁଦ୍ରବେଳି...  
 ଶୁନିନ୍ଦର୍ବେଲୀ କ୍ଷୁଦ୍ରବେଳି  
 ଶୁନିନ୍ଦର୍ବେଲୀ କ୍ଷୁଦ୍ରବେଳି,  
 ଗାୟଶେର୍ବୁଲ ଶେର୍ବୁଲି,  
 ଅଲ୍ଲେସିଲୀ କ୍ଷୁଦ୍ରବେଳି  
 ମୁଦାମ ଶେର୍ବୁଲ ଶେର୍ବୁଲି  
 କେରାଗି ଡା ସ୍ଵଲ୍ପିନ୍ଦରାତ୍ରି  
 ଡା ପ୍ରମଦାଶ ପାରଫେରା  
 ସିପ୍ରଭୁଲି ଡା ସିଯାଲ୍ଲି  
 ଶୁଦ୍ଧର୍ବେଲୀ ଶୁଦ୍ଧର୍ବେଲୀ - ଫୋରି,  
 ଫୋରି ଡା ଶୁଦ୍ଧର୍ବେଲୀ  
 ପିରମଶ ଅଲ୍ଲେବିରାବେଶିଲୀ,  
 ମନ୍ତ୍ରିକିତ କୁତକିତ ଗଢାବେଶିଲୀ,  
 ଅବ୍ୟେଦିତି ମେଜାନ୍ଦର୍ବ  
 ଅନ୍ତର୍ମେବ ମେଜାନ୍ଦର୍ବି  
 ଶାତାନାଶ ଡା ଶେଲ୍ଲିବେଲ୍ଲି  
 ଡା ସିଗିଜୀବ ଶେଲ୍ଲିବେଲ୍ଲି ଶେଲ୍ଲି  
 ଶେଗ୍ରିବ ନାରବେଶୁବର୍ବେଲ୍ଲି!..  
 ମାରାଦ୍ୟାମ ଗାନ୍ଧୀପର୍ବେଲ୍ଲି  
 ମିଶି ଡା ସାତ୍ତ୍ଵିପାରି -  
 ସିମିଶ ତ୍ୟାଗିବେଲ୍ଲି  
 ଏତ୍ତାତ୍ତାବେଲ୍ଲି ବନ୍ଦୀରି,  
 ଦ୍ଵାରିରି ଡା ପ୍ରଦୀରି  
 ମନ୍ଦରମାନଫେରା ଶମରିଦାନ...  
 ମେରେ ଘରଟେବ ଶମିଲି ଫୋରି ଡା  
 ନ୍ଯୂତିଲେନ୍ଦ୍ରିଯିଲି ଶମରିଦାନ  
 ଇମିଶ ମଧ୍ୟବେଳି ପ୍ରମଧିଲି,  
 ଅରାନ୍ଧମିନ୍ଦା ସ୍ଵଲ୍ପିଗିତ  
 ଡାତାନ୍ତାନ୍ତାଲ୍ପର୍ବତ ତ୍ୟାଗି...

# ახლა გულზე უდია გაკვდეპოდე...

თბილისი  
საქართველო

აპრილი რძეჩამდგარ კერტებს ბურჩნის,  
თბება დედამიწის სასთაულით,  
ყვავილობს სამყაროს თეთრი ბუჩქი -  
ბუნების ჩვეული სასწაული...  
ითმენენ ნაზამთრალ ნართაულებს  
და თვალებს ახელენ ბრმა კვირტები,  
წვიმა მიწას დაასათაურებს, -  
მანამდე ცის ლუპით გაკვირდები...  
ტკივილგაუმტარი მაკრავს კბოდე,  
ბალში ალუჩების ტკარცალია,  
ახლა გულზე უნდა გაკვდებოდე,  
მაგრამ სასიკვდილოდ არ მცალია...  
თეთრი პენუარით ალუჩები  
დგანან მარტოობის პოდიუმზე  
და შენც ტკივილივით გაურჩდები,  
რადგან მზეს თვალებში როდი უმზერ...  
...ბალში გაზაფხული კერტებს ბურჩნის  
და ხეებს ევსებათ ლავიზები...  
და იწყება გზათა შორის ურჩი  
გზა - უგზო-უკვლობის დავიწყების...

მუდრ დორებ მცვიდობ თუ  
მიუღმიუწენდობ ძიძუგვენ  
თუღმარტვად მცავთარის  
... იძევიდობ და იძინ  
მუაფებინუც ძაბად  
... იძეიდმ თვემად  
იძეინდ და იძერთ  
... მდგომარ და მდგომარი  
თუ იძონე მოუნ მრგვალე ცოტებ  
მდგომარს ძაჯაფომირებ  
... იძიუნდ ძინებულ ძაბად  
... იძიუნდ ძინებულ ძაბად

## მერაბ დადებარი

### ლექსის ნორას რა უნდა?!

ლექსის ნერას არავითარი გენიოსობა არ უნდა. თუ გაქვს განათლება, ენას ფლობ კარგად, ერკვევი სიტყვათწარმოქმნაში, ცოტა ეტიმოლოგიურ-ლექსიკური მუღამი მოგდგამს, ტექნიკას დაეუფლები და საკუთარ სტილს იპოვი (სტილს ძებნა კი უნდა, მაგრამ ცხოვრება და გამოცდილება მოგიტანს). აი, ამის შემდეგ როტული ცხოვრება დაგიდგება, მიადგები ირიალურ სამყაროს, დაინტებ დღისა და ღამის გარჩევას, მდინარისა და მთის ურთიერთკავშირის ახსნას, ჩაუღრმავდები რელიგიურ და მითოსურ ფესვებს, წინაპართა ნაკვალევს, დანაშთს, იმას, რასაც შეგიძლია ჯერ კიდევ საკუთარი მეხსიერებით მისწვდე და მორჩა, ლექსიც მზად არის. რაც შეეხება მუზას, არავითარი საჭიროება არ არის მისი. მუზა მოვა თუ ნავა, მნიშვნელობა არა აქვს. მუზის საკითხი ზარმაცი და ბოლომდე არგანათლებული კაცის მოგონილია. მერე უნდა შექმნა გრაფიკი, საიდანლაც მატერიალური სახსარი გექნება, რადგან პატარა აღარა ხარ, გექნება სურვილი, გრაფიკი, კითხვის სერიოზული საშუალება და ლექსის ნერას რაღა უნდა. იმდენი ფერია შენ გარშემო, ისეთი წახნაგოვანია ბუნება და ცხოვრება, რომ ლირიკული თემები რიგში ჩადგებიან, თავპრუს დაგახვევენ, შენ ოღონდ წერე, არ იზარმაცო და არ დატკბე საკუთარი სიზარმაცით. ლექსის ნერას რა უნდა! მერე გაეჯიბრები რუსთაველს, გალაკტიონს, ვაჟასთანაც ჩაიმუხლები, ილიას დაესესხები, აკაკის გაუნაზდები, გადმოხვალ აქეთ, მეოცეში, დალოცვილ მეოცეში, სადაც ყველაფერი დაშვებული იყო - ლექსიც და ანტილექსიც, ტრაქტორიც და ხარიც, კოსმოსიც და ქვესკნელიც, აიღე ამ მეოციდან, რაც გინდა, თუ დრო დაგრჩა, 21-საც გადმოსწვდი, აქ ხომ საერთოდ ქაოსია. მეოცის ბოლოს და ოცდამეტრთის დასაწყისში თითქოს ბავშვობას დაუბრუნდა პოეზია, მე-19 - მე-20 საუკუნეებში (რუსთაველზე, მავანთა შესახებ)

აღარაფერს ვამბობ) პოეტები ლექსებს რომ სანაგვის ყუთში ყრიდნენ, 21-ში ისე იჯგიმებიან სანაგვის ყუთიდან ლექსები, რომებიც პოეზიაზე აღარ არის საუბარი, მაგრამ შენ რა გენალვლება, შენ ხომ წერ ლექსებს, წერე, ჩემო ბატონო, რა უნდა ლექსის წერას. მოცლილი კაცის საქმეა ლექსობა, რასაც ვერ იტყვი პროზაზე.

ამასობაში ვიღაც შეგიყვარდება (ან შეგძულდება). სიყვარული ბრმა არის, მაგრამ საქმიანია, გამობურლავს ტვინს. დაგანყებინებს აღმა-დაღმა სიარულს, ზოგს მოუხტები, ზოგი მოგიხტება და რა უნდა ქნა? უნდა წერო ლექსები. დახატავ შენს გრძნობებს (სიტყვიერად), კარგი იქნება მხატვრობაც შეგეძლოს. სულ ასეა, მხატვრები პოეტებს მისტირიან, პოეტები - მხატვრებს. ხატვა რომ შემეძლოს!... ლექსებს რომ ვწერდე!... ზოგს ისიც შეუძლია და ისიც, მაგრამ რად გინდა. ბოლოს ერთსაც ანებებენ თავს და შეორესაც. შენ რა უნდა ქნა? უნდა წერო ლექსები. სიყვარულსა მალვა უნდაო, არა, ბატონო, მალვა კი არ უნდა, ლექსები უნდა, სულ გახვეული, შეფუთული ლექსებია საჭირო, რომ არ გამოჩნდეს ნაპარავი ცხენი. ასეა, მოკლედ, უნდა წერო და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ლექსს ეკადრება.

კიდევ რა უნდა ლექსის წერას?

- არაფერი, უნდა ბევრი იარო, ბევრ ადამიანს გაეცნო, აუცილებლად მიირთვა კარგი ღვინო ან კარგი არაყი, შეიძლება - კონიაკიც. ხანდახან სიბრაზეც შეიყარო, რომ სიმშვიდის ფასი იცოდე. გაბოროტდე უნდა ვიღაცაზე ან რაღაცაზე, რომ სიკეთე დააფასო, რომ გიღალატებენ მოუხშირე ლექსების წერას, მაშინ კარგად ხედავ ირგვლივ მყოფთა სახეებს. ერთნი გითანაგრძნობენ, მეორენი დაგცინიან, მესამეთ უხარისათ ნაღალატევი, რადგან ჰეონიათ, რომ თვითონ მაგრები არიან და არავინ უღალატებს მათ. შენც იცინე, რადგან გეცოდინება, რომ ისინი ცდებიან. აი, ამ დროს წერე და წერე ლექსები, მიედე და მოედე ყველაფერს, ნუ გეშინია, შენი არც პატრონი იქნება ვინმე და არც გამკითხავი, შენ ხომ ნაღალატევი იქნები. ისე მოგიძულებენ, თავადაც გვიან მიხვდები, ამიტომ დრო გექნება რითმებისა და რიტმის საქებნელად, ეძებე, ეძებე ყველაფერი, ეძებე, მაგრამ არ ეძებო ადამიანი, რადგან მას ვერ იპოვი.

კიდევ რა? გინდა, რომ ნამდვილი ლექსები დაწერო? ისეთი  
ლექსი დაწერო მარტო შენ კი არა მთელმა ბრძომ პოეტობისამა-  
მიანებონ ყველაფერს თავი და იქცნენ პოეტებად? ნამდვილად  
გინდა? მაგაზე ადვილი არაფერია, უნდა დაკარგო სამშობლო, უდა  
მოგიკლან დედა და შეგირცხვინონ მამა, ოღონდ ისინი უნდა  
გყავდნენ, უნდა გქონდეს სამშობლო და ისე უნდა დაკარგო,  
თორემ უსამშობლოთა მთელი კოპორტაა შენს ქვეყანაში. აი, უნდა  
დაკარგო ასე ტანჯვით მოტანილი სამშობლო დღევანდლამდე.  
ისიც, რომელიც დაგრჩა და დაგრჩება! აი, მაშინ ნახე ლექსების  
წერა, შეიძლება პოემაც კი დაწერო, მხოლოდ ლექსი კი არა.  
ამიტომ წინ ღალატისაკენ, წინ სამშობლოს დაკარგვისკენ, წინ  
ლექსებისკენ. ვინც ლექსებს ვერ დაწერს, ის შეუერთდება უსამ-  
შობლოთა სამშობლოს და იქნება ბედნიერი, რადგან ექნება ყვე-  
ლაფერი, სალაფავი რასაც ჰქვია.

ყველაზე ნაღდი ლექსი გინდა, გითხრა, როდის ინერება? რო-  
ცა ხარ უაზროდ, ცარიელი, არაფრის მთქმელი და არაფრის  
მაქნისი. სწორედ მაშინ, როდესაც არც არაფერი გაქვს და არც  
არაფერი გინდა, როდესაც სულ ერთია შენთვის ქვეყანა დაიქცევა  
თუ აშენდება, როცა არც გიყვარს და არც გძულს, ვერ არჩევ  
ქალია თუ კაცია, დიდია თუ პატარა, მთა არის თუ მინდორი. აი,  
მაშინ აიღე რვეული ან ფურცელი, დაჯექი მაგიდასთან ან სულაც  
არ გინდა მაგიდა, დადექი, აიღე ნებისმიერი ფერის კალამი, მიიღე  
სრული უაზრო პოზა და წერე, წერე რამდენიც გინდა, რაც გინდა.  
ვერავინ შეგედავება, რას წერ და როგორ წერ. შენ ხომ არ წერ,  
შენ ხომ ხარ და არა ხარ, არ მოძრაობს ტვინი, არ მოდის სიტყვა,  
თუმცა სიტყვა რად გინდა, მაინც ხომ არაფერი უნდა თქვა! ყვე-  
ლაზე მაგარი ლექსები მაშინ დაგნერება, როცა ერთ დღეს დაწერ,  
შეინახე, ნაიკითხე სხვისი ლექსები, აღმოაჩენ, რომ ბევრია შენ-  
ნაირი, ამბობს და არ ამბობს, წერს და არა წერს. სამაგიეროდ  
წყალივით მოდის ყველაფერი, ტრიალებს დედამინა და აღმოაჩენ,  
რომ შენსავით ცარიელი და ბედნიერია სამყარო. ღირს ასეთი  
ლექსებისთვის ცხოვრება, წერე!

ლექსის წერას განსაკუთრებით სჭირდება მახვილი თვალი, თუ  
არა გაქვს მახვილი თვალი, გაიკეთე სათვალე და კარგად  
დაინახავ, თუმცა მარტო სათვალე და კარგად ხედვა არ არის

მთავარი. ლექსს სჭირდება ობიექტი, რაზეც უნდა წერო და რასაც უნდა უძღვნა შენი შედევრები. საამისოდ კარგი იქნება თუ გვიან, შემოდგომას ან სულაც ზამთარს შეარჩევ ლექსის წერის დროდ. მახვილი თვალით შეამჩნევ შიშველ ხეებს (დღეს ყველაფერი ყველაფერს ჰგავს, ამიტომ სხვა სიმიშვლეში არ აგერიოს, თორემ შენც გაშიშვლდები და დაილუპები, გაგებულებიან ლექსები), ისე არ გაშიშვლდება ხე, რომ სადმე ერთი მოქანავე, დამჭკნარი, გაუბედურებული ფოთოლი არ ეკიდოს. რაც უფრო მაღლა ეკიდება ასეთი ფოთოლი, მით უფრო კარგი ლექსი დაინტერება. დაუკვირდი, საიდან უბერავს ქარი (არ შეგეძალოს, ამ დროს სიო ან ნიავი არ შეიძლება უბერავდეს), როგორ თრთის და კანკალებს ფოთოლი! აი, სწორედ ამ დროს შეაშველე შენი მთრთოლვარე ფოთლის დარდი. არამც და არამც არ შეუწყო ხელი ფოთლის მოწყვეტას და ჩამოვარდნას, თორემ დაილუპები, სტრიქონიც დაგივარდება, არადა ისეთი გარემოა შექმნილი, ლექსი ნაზი ნიაღვარივით უნდა წამოვიდეს. თუ ფოთლის პირველ გაქანება-გამოქანებაზე რამე გამორჩა შენს მახვილ თვალს არ დაიბნე, გული არ გაიტეხო, მოუხშირე სტრიქონთა ახალ ეშელონებს და დაინტერება მაგარი ლექსი. დაინტერება, თანაც არაერთი. ხედავ, როგორ კარგია არა-ფრისგან რომ არაფერი გამოდის! ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა-ფერი კარგად არის. ჩემგან არ გამოვიდა არაფერი, შენგან არ გამოვიდა არაფერი, არც მისგან გამოდის არაფერი, ყვავის ლექსის წერის ეპოქა. უნდა შეიქმნას შედევრი.

და მაინც, უეჭველად მოგინდება სილამაზის შეგრძნება, დანახვა, დახატვა მაღალ დონეზე. ლამაზია ყველაფერი, რასაც ფერი აქვს და არა აქვს ფერი და შავ-თეთრი მაინც არის. საამისოდ დაფიქრდი, თუ ადამიანში აღარ არის სილამაზე, რა უნდა ქნა? ხომ არ გაჩერდები, ხომ უნდა წერო ლამაზი ლექსი. ლამაზიდან ისედაც გამოვა ლამაზი, მაგრამ მთავარია, როგორ ხედავ და რას ხედავ. ე.ი. შეგიძლია შეარჩიო, ჩაატარო ლამაზების კონკურსი იქ, სადაც არავინ იცის, რა არის ან ვინ არის ლამაზი. მოთავდა ლამაზი ადამიანი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოთავდა ყველაფერი. ვერ ატარებ ლამაზი ქალების კონკურსს, არა უშავს, ჩაატარე ძროხების კონკურსი. უძღვენი ულამაზეს ძროხას, შენ რომ გეკადრება, ისეთი ლექსი, ნახე! რა რქები აქვს, რქოსანია,

ამიტომ სილამაზის საზომი სხვა არის, აუცილებელია ჰქონდეს მას თუ რქა, არ შეიძლება ჰქონდეს ერთი ან სამი, ამიტომ ლექსის პირველი ნაწილი, თვალსაჩინოების თვალსაზრისით ყველაზე გამოჩენილი ხომ რქებია. რქებს მიუძღვენი. რქოსნობა ხომ გამორჩეული ყოფნაა ჩვენი ყოფისა! ოღონდ ამით არ დაასრულო, ეს მხოლოდ დასაწყისია. მოძებნე შესაბამისი რითმა „დუქანი“ და დახატე ძროხის ჯიქანი, აბა, ძროხა ჯიქნის გარეშე ხომ არ იქნება: ო, რა რქები, ო, ჯიქანი, ფეხები და სწორედ წალმა მავალ ძროხას შეუმკობ სილამაზის განუყოფელ კომპონენტებს. შენ კი ფიქრობდი, რომ არაფერი გამოგივიდოდა, რომ ყველაფერი დასასრულისკენ მიექანება და აგერ, ბატონო, აკი, არაო!

მცდელობას რა უდგას წინ და გამოგივიდა მთელი ლექსების ციკლი ძროხაზე. ლექსს სიყვარული უნდა. სიყვარული წერს ლექსს. არის პირიქითაც - ლექსი არის სიყვარულის წინაპირობა, ამიტომ თუ გინდა, გიყვარდეს ან - უყვარდე, აუცილებლად წერე ლექსები. სიყვარული ისეთს და იმდენს დაგანერინებს, შენ თავად გაგიკვირდება. მთავარი მაინც ის ლექსებია, რომლებიც მისთვის არის გასაგები, ვის გამოც და ვისთან ერთადაც დაიწერა. ეს ლექსები, გიშველა ღმერთმა, ისეთი შევვარებული ხარ, ყურები გინითლდება და დაფიქრებისას, რომ გიყვარს და უყვარხარ, შეხედე, შეხედე, მარტო შენ კი არ გინითლდება ყურები, მასაც უნითლდება. შენ კი ამ დროს თავი ყველაზე ბედნიერი გვონია, რადგან თან მოდის ლექსების ნიაღვარი. გინდა, რომ მის ყველა ნაკვთს ლექსი უძღვნა, გინდა, რომ მის ყველა გამოხედვაში სიყვარული დაინახო და რამდენი ასეთი გამოხედვა გადაგეყრება, იმდენი სტროფი გაგვარდება ხელიდან.

ერთსაც აღმოაჩენ, რომ მარტო შენი არ არის ეს სიყვარული, მერე აღმოაჩენ, რომ სხვათა თავები გითელია ლექსის გულის-თვის, რომ წარმართი ხარ და ისე გათელავ სხვათა თავებს, როგორც არაფერს, იოლად კი დაიწეროს ლექსი. და მოდის ლექსი, იწერება ლექსი, თითქოს ვიღაც სხვა არის შენს სხეულში, სხვა გყარნახობს გასაკეთებელს, შენც აკეთებ. იმდენად შიშველია ეს ლექსები, რომ როგორც ყველა სიშიშვლეს დამალვა და შეფუთვა უნდა. შენც ფუთავ და მალავ. ეს ოხერი დამალვა და შეფუთვა უსულ კავშირში უნდა იყოს ლექსებთან და შენც სირაქლემას დღეში

აღმოჩნდები, რა გენალულება, ყველაფერი დამალულია, შეფუთულია, შენახულია, ე.ი. ლექსი აღარ არის. ამდენი ნატანჯუნალულია ანუვია დასტებად, შეიძლება წიგნებად და... ერთიც აღმოაჩენ, ეს კი წესია ცხოვრებისა, გამონაკლისის გარეშეა, თურმე არავისაც არ ჰყავარებიხარ, თურმე ყველაფერი დროის შედეგი ყოფილა, თურმე შენც შემთხვევითი ყოფილხარ და ნებისმიერ დროს შეიძლება ჩაგნაცვლებოდა ვიღაც, სხვა ყოფილიყო შენს ადგილზე. ამით მთავრდება ლექსიც და სიყვარულიც. ჩაივლის დრო და ჩაივლის ყველაფერი, მძიმედ დატვირთულად, სულ ტყუილია, ცხოვრება გარბისო, არა! ცხოვრება მიღოღავს, ამ ღოღიალში შენი საცოდავი ლექსები კიდევ უფრო სასაცილოს გახდის ყველაფერს, რაც დრო გადის, ჩამნაცვლებელი გახშირდება. ნახე, როგორ აცეცებს თვალებს, ამახვილებს ყურადღებას ვისთვის იწერებოდა ერთ დროს ლექსები. რა უნდა? არაფერი, თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. ასეთი იყო ყოველთვის, უბრალოდ შენ იყავი ბრმა და არ ჩანდა, რა უნდა გამოჩენილიყო, ან შენ ვერ ხედავდი და დღეს, როცა ხედავ, გენანება, გენანება ის, რაც იყო და ტირილის ხასიათზე გაყენებს ის, რაც იქნება. მერე ფიქრობ, ჩაგენაცვლება ვინმე ლექსის წერაში? ხომ არაფერია ლექსის წერა! ე. ი. ადვილია ჩანაცვლება, ლექსის წერაში. არ დაიჯერო, ვერავინ დაწერს იმას, რაც შენი დასანერია და რაც მთავარია, ვერავინ ჩაგენაცვლება სიკვდილში, არ მოსულა, შენ კი რამდენჯერ იყავი მზად ჩასანაცვლებლად. წერე ლექსები, ლექსები მაინც დარჩება! ომ, როგორ გამომრჩა ერთი უმთავრესი რამ: თუ გინდა წერო, უნდა დალიო, ე.ი. მიირთვა ლვინო, რომელიც გაგიხსნის ფანტაზიას, აპყვები ვნებებს, სულ ნათელ ფერებში მოგეჩენება ცხოვრება და რახან ლამაზი ცხოვრება განაპირობებს ლამაზ ლექსებს, წერე და წერე კაი ნასვამზე ლექსები.

არ მავიწყდება ორი ფაქტორი, მაგიდა ე.ი. საშუალება და ნასვამობა ე.ი. განწყობა. ორივე მათგანი მქონდა უმაღლეს დონეზე. ეს ხდებოდა 1969 წელს, როდესაც „ოქროს საწმისის“ გემით ჭყვიშში მოვადექით გალაკტიონის სახლყოფილს. ვიყავით აღზევებულ განწყობაზე და მაგარი დალეული, ნასვამი რომ ჰქვია. სულ რაღაც 20 წლის ბიჭი მივუჯექი გალაკტიონის მაგიდას, ვიყავი შესანიშნავ ხასიათზე და მინდოდა დამეწერა ლექსი.

არაფერი გამოვიდა, ყველაფერი მქონდა და არ დაიწერა ლექსი, საქმეს აკლდა გალაკტიონი, მაგრამ ეგ არაფერი. 20 წლის შემდეგ გახდები ორმოცის, მერე სამოცის, სამოცდაათის და გადადგები 80-იანთა რიგებში და დათვერი (ეჭ, დათრობის თავიც აღარ მაქვს, ჭიქის ეფექტი ლიტრის ეფექტია). ეცადე, ეცადე, აღარ არის საჭირო გალაკტიონის მაგიდა, ღვინოა მხოლოდ საჭირო, კონიაკი, არაყი, ამდაგვარი რამებია საჭირო და ბოლოსდაბოლოს დაწერ ლექსს, აბა, რას იზამ. იმაზე ნუ იფიქრებ, როგორი იქნება, რადგან მაგას ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

ყველაზე უკეთესი მაინც ძარცვაა, დააკვირდი რისთვის იღწვის ადამიანი, რისთვის იკეთებს კარიერას? ერთადერი იმის-თვის, რომ ძარცვოს ვინმე. აბა საიდან? სახლი, კარი, მანქანები, აგარაკები, ქალები... ე.ი. ყველაფერი, რაც არ ჯდება ნორმალურ ცხოვრებაში, საიდან? ის ლამაზი ტელენამყვანი რომ მიადგა მძარცველს, რომელსაც არც სახეზე ჰქონდა დალაგებული საქმე და არც ტანზე. მთლად კვაზიმოდო არ იყო, მაგრამ ხელები ფეხებზე გრძელი ჰქონდა, მაში თუ ნაძარცვი არა, ამისა რა მოეწონა ამ წლის სილამაზის კონკურსში გამარჯვებულს, მასთან ერთად რომ დასეირნობს მაგარ მანქანაში? მარტო სეირნობა?! ამბობენ წელს წლის ბოლომდე მისი ცოლი გახდებათ. არ უნდა ძარცვო? აბა რა უნდა ქნა. არ გაძარცვავ ამ ქვეყანას და „ბუდეშ ნასიტ ხლება გუდით“ (როგორც ჩვენმა დიდმა დრამატურგმა თქვა).

ახლა ჯერი პოეტზე მიდგა. ვინ მიაკარებს პოეტს ვინმეს საძარცვავად. ვინ მისცემს პოეტს ფულს! არადა თუ არ გაძარცვე არაფერი გამოვა. პოდა მიდექი და შენც ძარცვე სხვა პოეტები. გინდა ნაღდი ლექსის წერა! ძარცვე აკაკი, ვაჟა გაძარცვე, თუმცა რაღა უნდა გაძარცვო, თუ სადმე გასაძარცვი იყო ვაჟამ და აკაკიმ ხალხი გაძარცვეს, ამიტომ შენც პირდაპირ მიადექი და ხალხური პოეზია ძარცვე, მაგრამ ერთი მაგრამ მაინც არის, მაშინ აკაკი და ვაჟა უნდა იყო, თორემ ხალხი არ შეგარჩენს ძარცვას. ვაჟა და აკაკი თუ იქნები, ძარცვა რაღად გინდა.

ისევ გალაკტიონი სჯობს საძარცვავად. მაინც იმდენი დარჩება, რაც უნდა ძარცვო, რომ კიდევ ბევრს ეყოფა. მოპარე გალაკტიონს რითმები, სახეები, სტრიქონები, თემები და ითამაშე

ლირიკული გმირი, რაღა დარჩა, რაღა უნდა ლექსების წერას,  
წერე, „ძამიკო“, წერე!

დააკვირდი, კარგად დააკვირდი, იფიქრე, როგორც არასდროს  
გიფიქრია, თან იაზროვნე, გაიხსენე შინაური და გარეული.  
განსაკუთრებით გაიხსენე ის ადამიანი (ადამიანები), ვინც ყველაზე  
ახლობელია, ვისთვისაც ბევრი რამ შეგიქმნია და შექმნი კვლავ.  
რომლისთვისაც არასოდეს არ დაგისვამს კითხვის ნიშანი, ვისაც  
იმედი აქვს შენი, თანაც ისეთი იმედი, რომ არასოდეს იკითხავს  
შეგიძლია თუ არ შეგიძლია. მერე გაიხსენე ყველაზე აღმო-  
სავლური, ყველაზე ძველი ანდაზა თუ შეგონება: „ეძებე იქ, სადაც  
არ ელოდები!“ და შენც ეძებე, უეჭველად გაგიმართლებს ეს ძებნა,  
ოღონდ ფრთხილად იყავი, ისეთ რამეს აღმოაჩენ, რომ შეიძლება  
გული გაგისკდეს, ეგეც არაფერი, არც გულის გახეთქვა არის  
მძიმე განაჩენი, რადგან თვით სიკვდილიც კარგი გამოსავალია  
ზოგჯერ, მაგრამ შენ არ უნდა მოკვდე, რდგან პოეტი ხარ და  
ლექსები უნდა დაწერო. თუ ლექსს არ დაწერ, მაშინ რას ეძიებდი?  
და რადგან ლექსი გაქვს დასაწერი, არ შეგეშინდეს, არ მოკვდები,  
პოეტს ერთი სიკვდილი არ ჰყოფნის.

აი, მაშინ ნახავ, როგორი და რამდენი ლექსი წამოვა. შენი  
გახსნილი უახლოესი ადამიანი იქცევა მუზად, თუ არა ანტიმუზად  
აუცილებლად. წამოვა და წამოვა ლექსები, რა უნდა ლექსის წერას, თუ შენი უახლოესი ვინმე შენი აღარ არის! მერე ჩამწკრივ-  
დებიან შენივე ლექსები და თავს დაიხოცავენ, შერცხვებათ  
სიცოცხლისა. შენ კი ბედნიერი იქნები, რადგან თავიდანვე მკვდ-  
რადშობილი ლექსები გაუყვებიან კუთვნილ გზას. მათ სამსჯავრო  
არ ელოდებათ. ისინი სინათლეზე გავლენ. სინათლე კი სი-  
მართლისგანაა და შენც ბედნიერი მოინდომებ უნამლო ლექსებს,  
მაგრამ არაფერი გამოვა, მკვდარს რა გააცოცხლებს, მაგრამ  
წერე, აუცილებლად წერე შენი ლექსები, რომლებიც იფრენენ  
სამყაროში, რადგან უახლოესი ადამიანი აღარ გეყოლება, ე.ი.  
მკითხველიც აღარ გეყოლება და ზეიმის დრო დადგება. წერე  
ლექსი, თუნდაც თავიდანვე ცოცხალმკვდარი იყოს.

ლուս թագավորաց

დავიბაძე 1959 წლის 25 მაისს ისტო-  
რიულ ხოფელ ანულრში, იქვე დავამთავრე  
ანულრის საჯარო სკოლა.

ბავშვობიდანვე ვწერდი.

გამოცემული მატერიალის ლექსების კრებულები: „ქართულ გენს, გადაშენება არ უწერია“ და „ჩემი სულის ამონახილი!“

დაბეჭდილი ვარ უამრავ გამოცემაში  
თანაავტორობად. მაქს უმაღლესი განათ-  
ლება. ვარ მწერალთა შემოქმედებითი  
კავშირის წევრი.

მყავს ოჯახი, 2 შვილი და 4  
შვილიშვილი. მეუღლე გარდამეცვალა.



ეცნათს

მესხეთო ჩემო, მთა-გორებით  
შემოსაზღვრულო,  
მწვანეში ჩაფლულ სამოთხეს  
გავხარ. ბოროტი არ ხარ, სიკეთეს  
ჰეგავხარ.  
აქ გზა ნაკურთხია ნინოს ნაბიჯებით...  
თამარი მოსულა ლამაზი ნარინჯებით...  
შოთას უწერია ბრძნულად, დადინჯებით!  
მესხეთო ჩემო, საქართველოს  
კუთხევ ჭალარა, ეს მიწა-წყალი  
მტრის ცხენის ფლოქვმა  
ბევრჯერ დალარა...  
ახლაც გმირი ხარ,  
დინჯი გმირი  
და თან ჭალარა!

მიყვარხარ ჩემო სამშობლო  
მ ხ ა რ ე ვ და...  
თუ დაგჭირდა თავს განაცვალებ!  
რომ ფენიქსივით  
გავცოცხლდე ისევ, გთხოვ ჩემი მთების  
წყალი მასხუროთ,  
მე ჩემს მესხეთში  
პილიკებს მივდევ,  
ღ მ ე რ თ ო ეს გზები  
არ დაასრულო!!!  
ბევრჯერ მოფრინდეს  
მშვიდობის მტრედი  
თავის მიზნი კვლავ  
აასრულო!!!  
მშვიდობიანი მახაროს  
დილა ჩემი სამშობლოს  
სასიხარულო!

\* \* \*

თრიალეთის ქედი, თითქოს  
ზეცას ერთვის.  
ღრუბელთ გროვა შავი...  
ნვიმა მიწას ებრძვის,  
მიწამ ამოჰყარა, ჩაპნეული  
თესლი, აბიბინდა მინდვრად  
ყვავილების წყება, ამოვიდა  
ია, სად იტირა დედამ...  
შემდეგ აბიბინდა ყაყაჩოთა ჯარი,  
ჩემი საქართველო, ქების ღირსი არი,  
ულამაზესია, მისი მთა და ბარი,  
მობიბინე მწვანედ, სულს ავანებს ქნარი!

## გარდაცვლილ მეუღლეს

ნახვედი და მიმატოვე,  
დამეკარგა მე სიცოცხლის  
ს ა ლ ი ს ი...

შენი წასვლით გლოვად  
მექცა, დარდად მექცა  
მ ა ი ს ი...

მაისი ხომ ჩემი თვეა,  
შენც გიყვარდა  
ვარდობის თვე მაისი,  
არაფერი არ მახარებს,  
ოი, როგორ დამამწუხერე,  
არ ი ც ი ...

ასე როგორ გამიმეტე,  
ასე როგორ დამიკარგე  
ს ა ლ ი ს ი ...

სადაც წავალ, შენი მოძი წოდ ლცჯ  
მონატრება დამდევს, ა ლ ე ბ ა შ  
რა ვიღონო არ ვიცი... უძრეს მიუკრ

\*\*\*

გირეკავ, მაგრამ აღარ მპასუხობ.

რატომლაც ისევ დუმხარ,  
მე მომენატრა შენი ხმა, კარგო  
ქუჩაში გეძებ, თუ ხარ,  
მაგრამ არსად ხარ,

გული მელევა, ჩუმად ვტირი  
და ვ წ უ ხ ვ ა რ...

ლაწვებს მისველებს  
მდუღარე ცრემლი  
ვეღარასოდეს გნახავ?

გავიფიქრე და ....  
 ზეცამ იჭექა და წამოვიდა თავსხმა.  
 ამით მანიშნა – სული არ კვდება.  
 ბოლოს შეეხვდებით ალბათ....

\*\*\*

შენს ცარციან ხელებს ვენაცვალე  
 როლანდ,  
 შენს დაფასთან დგომას,  
 დგომას მთელი არსით,  
 ბავშვებს, შენს მსმენელებს,  
 რომ აწვდიდი ცოდნას,  
 ცოდნას მთელი გულით,  
 ცოდნას ბრძნული აზრით.  
 რატომ გაგიჩერდა ეგ ძლიერი გული?  
 ჯერ ხომ ადრე იყო ამ ქვეყნიდან  
 ნასვლა...  
 ბევრი გქონდა გეგმა,  
 მასზე მეტი განცდა... ყველაფერი გაქრა?  
 ზეცას ვუმზერ, ვეძებ დინჯ და  
 ჭკვიან თვალებს,  
 მომენატრა შენთან თბილი  
 საუბარი, შენი სულის სითბო.  
 დამეხმარე,  
 ზეცად რადგან გამასწარი,  
 აქ ჯანმრთელად ვიყო  
 შენი სიყვარული, შენი ნაზი ქალი.

მეომარივით მწუხარება  
 მაცვია ტანზე,

მაინც მ ი ვ ი კ ვ ლ ე ვ  
 გზას დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ს ...

და შემოდგომის ცელქი  
 სიო მეხება მხარზე,  
 ნ ა ზ ა დ ფ ა რ უ ლ ა დ...

ამიტომ მიყვარს ღვინობისთვე  
 ა ს ე ძ ა ლ უ მ ა დ!

მიყვარს ზვარი და  
 ქარვისფერი მტევნების ცქერა

სამშობლოს ჩემსას ვერ  
 დავტოვებ ვერასდროს, ვერა.

მეომარივით მ ნ უ ხ ა რ ე ბ ა  
 მ ა ც ვ ი ა ტ ა ნ ზ ე...

და ღვთისმიერი სიყვარულით

მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ ყველა!

## ხათუნა თედიაშვილი (კვეტარის ასული)

დაიბადა 1967 წელს, ახმეტის რაიონის ულა-მაზეს ილტოს ხეობაში, იქ, სადაც კვეტარის ციხე დგას. მისი ფსევდონიმი – კვეტარის ასული, აქე-დან მომდინარეობს. ბავშვობიდან ნერს ლექსებს. უურნალისტიკით იყო გატაცებული. ოცნების განხახორციელებლად, ახმეტის ცენტრალურ უნი-ვერსიტეტში ჩააბარა. შემდეგ შექმნა ოჯახი. ჰყავს ერთი ქალიშვილი და სამი ვაჟი.

ამჟამად, იტალიაში იმყოფება, ქალაქ ბარში. აქ ემიგრანტ შემოქმედთა საზოგადოებაში ჩაერთო და მონაწილეობა მიიღო პოეზიის საღამოებში. 2019 წელს მისი პოეზიის საღამოც შედგა. შარმან გამოსცა პოეტური კრებული – „მუზათა ქროლვა“. მანამდე დაიბეჭდა მისი ლექსები გაზეთში – „სახა-ლხო განათლება“, ტომეულში – „დათო ახლოური და მეგობრები“. დაწერილი აქვა ორი რომანი – „მგლების ხროვაში“ და „რაღა დარჩა განთიადამდე“. ოცნებობს, ეს რომანები ურთ წიგნად გამოსცეს და თავის საყვარელ მეოთხეულს აჩუქოს.

\*\*\*

ო, როგორ მომნატრებია ჩემი სახლი და კარი,  
კვეტარის ძირთან მღელვარე ყაყაჩოების ჯარი,  
მე ფიზიურად შორსა ვარ, თუმცა, სულით ვარ ახლოს,  
ილტოს ნაპირას წარსული და ის ბავშვობა სახლობს.  
ბედნიერებით აღვსილი ცხოვრება სადაც დუღდა,  
ხან ანათებდა მზე და ხანდახან კიდეც ქუხდა,  
ფიქრის გორაზე კისკისებს პატარა გოგო ანცი,  
ხელში გვირილა უჭირავს, ფურცლებს ჯიუტად აცლის,  
ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ, ახლა შენ უნდა მითხრა,  
მაგრამ გვირილა გაჩუმდა და ასე იყო დიდხანს,  
თეთრი ფურცლები ცვიოდა, ვითარც ცრემლების ჯარი,  
ბავშვსაც სტკიოდა დუმილი, თვალებს ხუჭავდა ჯავრით  
და მაინც ისევ გაისმის მისი კისკისი ცაცხვთან,  
ნუ მემალები, გამოდი, ვეღარ გიპოვნე, სად ხარ?



ჩემი ბავშვობა ისევ იქ, ფიქრის გორასთან სახლობს,  
მე ფიზიკურად შორსა ვარ, სულით კი ისე ახლოს,  
რომ ყოველ დილას ვიხუტებ ჩემი კვეტარის ციხეს,  
ოღონდ დაბრუნდეს ბავშვობა, მე მთელ სიცოცხლეს მივცემ.

\*\*\*

ვხედავ, ეგ თვალები როგორ აგიცრემლდა  
და ჰა, ამიტირდი, ჩემო ქალბატონი.

მოდი, ნატკივარი გრძნობის ნამქერები,  
ნაზი მოფერებით სულზე გადავთოვლო.

მინდა, დაგავიწყო ყველა ტკივილი და  
ახალ სიგიურებს ერთად ვემარტოვოთ,  
მერე სიყვარულის სახად მორეულმა,  
ნამსაც ვეღარ გაძლო, სევდას შემატოვო.

ვფიცავ, აგიყვავებ თოვლში გვირილებს და  
ლიმილს შეგასწავლი ტუჩზეც ქალბატონი,  
თორემ თუ მოგიკვდი, არ მსურს, მარტო მყოფი,  
დარდებს გაგიხადო მერე საბატონოდ.

\*\*\*

ლილეო, ჭიუხთ ნუ დაენდობი,  
არეული აქვთ ახლა უამ-კარი,  
დილას თოვდა და მათაც ათოვდა,  
მერე დაუდგათ უცებ რამ დარი.

ქარებმა ნისლი გადმოკრიფეს და  
შემოახვიეს მხრებზე არშიად,  
გახსოვდეს, ჩუმად ჩაგიტყუებს და  
ნამში აიხდენს სულის ხვაშიადს.

ლილეო, წუხელ მესიზმრე, იცი  
ცაზე შეკვარი თითქოს კამარა,  
მაგრამ ჩამოგწყდა უცებ ფრთები და  
ეგ სილამაზე ნისლმა დაფარა.

მერე ატირდა შხარა, თეთნულდი,  
უშბამ დაპყარა ცრემლი ზვავებად  
და ქარმაც, გესმის, შავი ჩაიცვა  
და უფსკრულებზე მოსკდა დარდებად.

ლილეო, ჭიუხთ წუ დაენდობი,  
არეული აქვთ ახლა უამ-კარი,  
დილას თოვდა და მათაც ათოვდათ,  
მერე დაუდგათ უცებ რამ დარი.

ქარებმა ნისლი გადმოკრიფეს  
და მოახვიეს მხრებზე არშიად,  
გახსოვდეს, ჩუმად ჩაგიტყუებს და  
ნამში აიხდენს სულის ხვაშიადს.

### \*\*\*

უშენობა ამ წუთას, იცი, ისე ძნელია,  
ვუსმენ უღვთო სიჩუმეს და ისიც კი ძველია,  
არეულა ძილიც და თვალზილული სიზმარით,  
მე შენამდე ვერ მოველ, რადგან ქარებს მივყავდი.  
სევდა უფრო გამძაფრდა და თვალებიც სველია,  
თითქოს ზეცა ჩამოსკდა და წვიმათა ზღვებია,  
მონატრება გიჟივით სულს აფლეთავს სამოსელს  
და გრძნობათა თასები ყველა კარში გამოდგეს.  
სიყვარული გარბოდა დარდით ნაყეფ ქარაფებს  
და ტკივილით დალლილი აღარ გრძნობდა არაფერს.  
სიხარული თოვდა და ისიც ამ სხვის მიწაზე,  
თუმც ის ხატიც დამემსხვრა, რაც აქამდე ვიწამე.  
უშენობა ამ წუთას დარდითა ჰყეფს ქარაფებს,  
მონატრება ჰყივის და სხვა რასა ვგრძნობ? არაფერს...

არა, არ გაბედო დამარცხება,  
 თვალი გაუსწორე დროს,  
 ისევ დადგებაო გაზაფხული,  
 ახლა შეიძლება თოვს.

თავი ასწიე და გაიღიმე,  
 ცრემლი არ მანახო, გთხოვ,  
 არა, არ წაიქცე, გევედრები,  
 ახლა ეს სისუსტე – შორს.

არა, არც იფიქრო სისულელე,  
 სული კივილით რომ გთხოვს,  
 ისევ იმედები დაისახე,  
 ასე წინ გაუსწორებ დროს.

არა, არ მანახო დამარცხება,  
 კვლავ რომ ფეხზე დადგე, გთხოვ,  
 შენ ხომ ძლიერი ხარ, არ დანებდე  
 და ეს ფარხმლის დაყრა – შორს.

ისევ დადგებაო გაზაფხული,  
 ახლა თუ გცივა და თოვს,  
 ისევ აყვავდება იები და  
 ნუშიც კვლავ დაგიხრის რტოს.

წავიდეთ, ძვირფასო, იქ, სადაც მთებია  
და ცაში წავარდობს ამაყი არნივი,  
მე სული მტკივა და მუზებიც კვდებიან,  
ნესტიან ქუჩაში ვერ გავთბი ბავშვივით.

ხო, ახლაც წვიმაა, ჩიორაც კანკალებს,  
მოვგევართ ერთმანეთს, ალალი გულებით,  
წავიდეთ, გავფრინდეთ ზეცაში, ვარსკვლავეთს,  
აქ ყოფნა ძნელია, ნატკენი სულებით.

რას მეტყვი სიახლეს, პატარა ჩიორავ,  
ჩემს მთაშიც აცივდა, თუ უკვე თოვლია?  
ფოთლები დასცვივდა იმ შინდსაც იორთან,  
თუ ისევ ქარს ებრძვის, ვით თეთრი თოლია?

ალაზანის ველებზე ფერების სიუხვემ,  
ნეტავ თუ არია ის ცელები გოგონა,  
ფეხმარდი ცხენით რომ გაფრინდა ჭიუხზე  
და როგორ უყვარდი... მწველად და ბობოქრად.

კვეტარზეც ჩამოდგა ნისლების სავანე,  
სულივრის კოშკიდან თუ მიხმობს ოლოლი,  
გავფრინდეთ ჩიორავ დღეს თუნდაც დალამდეს,  
არ მითხრა, რომ მტოვებ, შემინდე ობოლი.

ମେ ଓ ଶଲ୍ଲେଖୀ ଗାମାକ୍ସେନ୍ଦା, ଓପି?  
ସୁଲ୍ଲ ପାତ୍ରାରା, ଓପର୍ବେଳେଖୀତ ସାଙ୍ଗସ୍ରେ,  
ମାକ୍ସେନ୍ଦରେବା ଓ ଗିଜମାଶ୍ରୀ ଗଂଗା  
ଏ ଦାଵଶ୍ଵରବୀଶ ମୋଗନ୍ଦେଖୀତ ମାଙ୍ଗେବା.

ପେଲ୍ଜୀ ଦାଵଶ୍ଵର, ଅସାନ୍ତିକିଲ୍ଲିତ ମେଘଗମି,  
ତ୍ଵାଲମ୍ବି ମୁଦାମ ଫିନ୍କୁରେଖୀ ରନ୍ଧ ଉଠିବି,  
ଶାଲିସିତ ଏବଂ ଓପର୍ବେଳେଖୀତ ମଦିଦାରି,  
ଅର୍ପ ଶିଥି ଆଜିବେ, ଅର୍ପ ଅରାତ୍ରେରୁ ଉତ୍ସର୍ଗତବୀଶ.

ପ୍ରକାଳପାରଫଶି ମିଜ୍ଜୁପ୍ରେବା ଅଲମାରିତେ,  
ଶ୍ରୀବନ୍ଦ ମିଶଦ୍ରେବସ ନାତ୍ରେବୁର୍ରେବେ ଶ୍ଵରିଶାଶ,  
ତ୍ଵାଲି ମୋକ୍ଷରା ଇକ୍ଷ, କାରାତ୍ମାନ ଅବଲମ୍ବନ,  
ଲାଲି ଶ୍ଵରିଲି, ତାନଶ୍ରେଷ୍ଠରଫିଲି ମତିଶା.

ତିତକ୍ଷାରେ ଉପଦିଶ ମିଲ ଅଲମାଶ୍ଵରାଶ ଶ୍ରେଷ୍ଠିତ,  
ନେବୀରାଦ ଗାଧମର୍ଦ୍ଦମୁକ୍ତେରୀଶ ଶ୍ଵରିଲି,  
ନିର୍ମିତ ମିଲି ଜୀବିତାଦ ଏବଂ ମାରଦାଦ,  
ହିନ୍ଦୁଶୁଭରେ ଗୁରୁଶି ମତେବୀଶ ଶ୍ଵରିଲି.

ମାଶିନ, ରନ୍ଧା ମିଳନିବ ଶ୍ରୀବେ,  
ରନ୍ଧ କାରାତ୍ମାନ ଶ୍ରେଷ୍ଠେଦରନ୍ଧାଦା କିନ୍ତୁ କିନ୍ତୁ,  
ମତିଶ ଅରନ୍ଦିଶମା ହିନ୍ଦୁଶୁଭରୋଲା ଗୁରୁରଫିଲି  
ଏବଂ କଲାନ୍ତିକେବୀତ ନେବୀରା ମିଲନରେବେ.

ପ୍ରଥ୍ରେଲମା ପ୍ରର୍ବମଲମା ଦାଶ୍ଵରାଲା ତ୍ଵାଲି,  
ଶଦିବା ଅରନ୍ଦିଶମା ମି କାରାତ୍ମିତେ ମାରତ୍ରିମ,  
ରାଶ ନିଶାମଦା ଓ ଶୁମନ୍ଦେଶ ଦାଵଶ୍ଵର,  
ନିଶ ଏବଂ ନିଶିବୀରାଶ ଦାରଦନ୍ତବୀଶ.

## ნანა გიგუაშვილი

დაიბადა ქალაქ ხაშურში, 1967 წელს. წარჩინებით დამტავრა აღის საშუალო სკოლა. ბავშვობიდან წერს ლექსებს. მისი ლექსები იძეჭდებოდა რაიონულ გაზეთებში; რამდენიმე ლექსი დაიბეჭდი ელენე დიდიმამიშვილისა და მამა სტეფანეს საიუბილო წიგნებში. 1987 წელს ჩაირიცხა და წარმატებით დაამთავრა თბილისის N3 სამედიცინო სასწავლებელი, ახალციხეში.

აშეამად გახლავთ ემიგრაციაში, იტალიაში, სადაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პარალელურად, სპეციალურ სასწავლებელში, შეისწავლა იტალიური ენა; უანგაროდ ეხმარება ენის შესწავლის მსურველ ემიგრანტებს. წერს და აქვეყნებს საკუთარ ლექსებს საქართველოში. ახლახან არჩეული იქნა ჯუმბერ ლექსავს სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრად და გადაეცა საპატიო დიპლომი. ჰყავს მეუღლე, 2 შვილი და 4 შვილიშვილი,



## შემოდგომა მათეოვაში

ტუჩიგახსნილი ბრონეული საკოცნელად მიწვევს,  
გულიც შეფერადებულა, სხვანაირად მიცემს,  
დანისლული თვალებიდან მონატრება ცვივა,  
მზე აცხუნებს შემოდგომის, მაგრამ სულში მცივა.

მენატრება ჩემი ქვეყნის მთა-ბარი და მდელო,  
ბავშვობიდან აქამომდე გატანილი ლელო,  
მენატრება ჩემი სახლის სურნელი და ფერი,  
ის დრო მიყვარს, როცა მქონდა სული ვარდის ფერი.

გამიხუნდა მოფერება, გადალეულ დღეთა,  
მომენატრა ჩემს ტაძარში კელაპტარის ღვენთა...  
სული მეწვის მონატრებით, მესერება გული,  
ისე შორს ვარ, მონატრებაც გახდა უკვე რთული.

შემოვიხსნი რკინის ფიქრებს, შემოვიმზვრევ ხელში,  
ნამოვდგები ფეხზე მყარად, გავსწორდები ნელში,  
მე უფალი არ დამტოვებს, დამადგება შველა  
და ბავშვივით შემოვირბენ მამულს ფეხშიშველა.

კიდევ მოვა შემოდგომა მზის სხივების ფერი,  
განათდება სიყვარული, ახლა ნაცრისფერი,  
კვლავ შევალებ სიხარულით ჩემი სახლის კარებს,  
დარეკავენ მონატრების და შეხვედრის ზარებს.

ტუჩს გაიხსნის ბრონეული, მომანათებს ღიმილს,  
მზის ნამწვევი ფოთლებიდან გაზაფხული ღვივის...  
ანთებული თვალებიდან მონატრება ცვივა,  
იმედებით შევიმოსე, სულში აღარ მცივა.

## სულის შეხება

ზოგი აშენებს სასახლეს,  
მე კი ვიშენებ სულს,  
კედლები ამოვიყვანე,  
ჭერქვეშ მოქცევა მსურს,  
რკინის კარები შევკიდე,  
ნდობით გავულე გულს,  
ვემეგობრები წყენას და  
ვედიდგულები შურს.  
დასამშვიდებლად სულისა,  
ვიკრებ მზისაგან სხივს,  
არა ვარ მონა ფულისა,

არასდროს არ მსურს სხვის...  
 შიგნით მაქვს ჩემი დარდები,  
 ფანჯრიდან ვატან ქარს,  
 ვლოცულობ წმინდა ხატებთან,  
 ვეამბორები ჯვარს.  
 წუხილს ღიმილით გამოვცვლი,  
 რწმენით ავავსებ თასს,  
 სიკეთის ხურჯინს მოვიგდებ,  
 აღმა შევყვები გზას.  
 უფლის იმედად ვიქნები,  
 კედლებს შევავლებ თვალს,  
 ტაძარში დავდებ საკმევლის,  
 სხვათა სითბოსთვის კვარს.  
 ზოგი იშენებს სასახლეს,  
 მე კი ვიშენებ სულს,  
 კედლები ამოვიყვანე,  
 ჭერქვებ მოქცევა მსურს.  
 თვალებდახრილი მორჩილად  
 საძირკველს ვუმზერ ძველს,  
 თუ სწორად ამოვაშენე,  
 ღმერთი დამადგამს ჭერს.

## სხვა დროა, სხვა ჟამი...

ისევ ის გოგო ვარ, წრფელი და ხალასი,  
 გულში სიყვარული დამყვება უფლისა,  
 წლებიდან მომესმის შრიალი ფოთლების,  
 ხმაური დიდ სახლში, ტკაცუნი ბუხრისა...

მეც გამოვიარე ბავშვობის სიამე,  
 მერე სიყვარულის და უამი მწუხრისა,  
 მეცა მაქვს ცხოვრების ტკივილი ნაგემი,  
 წუხილი მამულის და დედის გულისა.

სხვა დროა, სხვა უამი, მეც არ ვარ პატარა,  
სიმართლემ შეაღო კარები სულისა,  
ვებრძვი არსებობის ჩაკირულ სიმრუდეს,  
ერის ჩაძინებამ მთლად გამაგულისა!

სინანულს მოვუხმოთ, თორემ დატრიალდა  
შეფუთულ სიბილნის სურნელი ფულისა,  
თუ არ შევინანებთ ცოდვებს, ქართველებო,  
ტოლობა ჩვენს ყოფას ექნება ნულისა.

გაცვდა შემეცნების სქელი თავსაბური,  
დრო დადგა ყანებში ახალი ხნულისა,  
ვინანოთ! ვილოცოთ! რომ დედამიწაზე  
დაგვიდგეს დრო მშვიდი და სიხარულისა.

## უფალეა სიყვარულით შექმნა სამყარო

აქ ავტირდები... ცას ავტკივდები,  
ჰაერი სუნთქვას ხვეშით დაიწყებს,  
სიტყვად მოვალ და გამოვლინდები,  
მუზების რაში საბელს აიწყვეტს.

მოვალ სიმღერად, წვიმად ზაფხულის,  
გამოვაცოცხლებ ნამით ბალახებს,  
გადავიყითხავ ლექსად დაწერილ  
სიტყვას, რომელიც წამით მაღალებს.

მთლად მივენდობი მაღალ შემოქმედს,  
შემოვინახავ მუზებს კიოდად...  
მე ის ლექსი ვარ, რაშიც უფალმა  
გამოამწყვდია, რაც კი მტკიოდა.

ჩვენი ცხოვრება ცეცხლის ალია,  
თანაცხოვრება ცეცხლის ღადარი,  
თუ სიყვარულად აქ არ მოსულხარ  
მაშ არსებობის აზრი სად არი?

## ზიარებამდე

მიბოჭავს სულის სიწრფელეს დარღი,  
 ნაღველი გულში სევდისგან დნება,  
 ნლები კი მირბის, ცხენივით მარღი...  
 აღსარებიდან ზიარი დგება.

დგას შემართებით მოძღვარი ქველი  
 საკურთხეველთან, მსახური ჩვენთა,  
 მომნატრებია სიმშვიდე ქველი,  
 მომძალებია გამხელა ღმერთთან.

უფალო, თუკი არა ვარ ღირსი,  
 თუკი არ გინდა ჩემი მოსმენა,  
 ისევ დავიცდი სულმოდრეკილი,  
 შემაძლებინე მხოლოდ მოთმენა...

ამაზიდინე მხრებით ნატვირთი,  
 წამომაყენე ფეხზე ძალუმად,  
 შემაძლებინე გულით ნაფიქრი,  
 შემიერთგულე კვლავ მამაცურად.

ღმერთო, მანამდე გამაძლებინე,  
 სიხარულისგან რეკდეს ზარები,  
 დამახრევინე თავი ლამაზად  
 და შემიფარე ნაზიარები.

მესხეთის მიწავ, შენი მეკვლე ვარ,  
მესხეთის ცაო, შენი მლოცველი, ჩინან-ფცე იხურ  
პატარა გოჯიც არ დამრჩენია  
დასაკოცი და დასალოცველი.

დგას ქვაფენილზე შედგმული ციხე,  
ხავსმოდებული ძველი ალაგი,  
ჩვენი წარსულის მემატიანე  
და წინაპრების ძვალშესალაგი.

ასვეტებულა ცაში ქონგური,  
ამღერებულა ხმაში ფანდურად  
და სიმაღლიდან ციხე-კოშკები  
იყურებიან დარდიმანდულად.

გაბრწყინებულა ძველი სიცოცხლე,  
მოუხურია თექის ნაბადი,  
დგას მეციხოვნედ ისევ ამაყად  
განახლებული ჩემი რაპატი.

წყაროს ჩუხჩუხით ერთობა მოლი,  
ხეივნის ჩრდილში სხედან წყვილები,  
ღმერთო, გვიმრავლე საქართველოში,  
გასაჩენი და დასაწყვილები!

ციხის კიდეზე დროშა ფრიალებს,  
გუმბათით ბრწყინავს ძველი მეჩეთი.  
ლექსით მოვედი, ჩემო ლამაზო,  
სამლოცველოსთან კრძალვით შევჩერდი.

ღმერთო, დალოცე ქართული მიწა,  
შეგვინარჩუნე ზნე და ადათი,  
რომ სამუდამოდ, საისტორიოდ,  
ისევ ბრწყინავდეს ძველი რაპატი!

ჩემი ლაპაზი სოფელი, ჩემი პატარა ალი,  
ჩემი დედ-მამის სითბო და ჩემი და-ძმების კვალი...  
დავდივარ ფართო ქუჩებში, მისი შარბათით მთვრალი,  
გული ამღერდა უბებში, როგორც ხელებში ქნარი.


აქ მეგულება, ამ სოფლად, ყველაზე კარგი ქალი,  
ბებიაჩემის ხელებით ფართოდ გახსნილი კარი,  
დარდით და ფიქრით დაღლილი, მისვენებული ქარი,  
მიწას მიფლული მარცვალი, დავინწყებული კავი.

სოფლის მინდვრების ბიბინით გახარებული გული,  
პაპის ნაცნობი ღიმილით მოპრუნებული სული,  
ეზოს კუთხეში ჯირკებზე ძალით ჩაკრული ცული,  
ბებიაჩემის ეზოში განახლებული წნული.

დედას პური და ოონესთან მიტოვებული კვარი,  
სახლის ფუძიდან გასული ჩემი ლამაზი გვარი....  
სად არ ვიყავი, სად არ ვარ, მისკენ მიმირბის თვალი,  
ჩემი ფესვები მექახის, ჩემი ჰატარა ალი.

## ქრისტო ხაჩიძე

დავიბადე 1999 წლის 23 ოქტომბერს. გავიზარდე ახალციხის რაიონის სოფელ საყუნეთში, 2017 წლის დავამთავრე საყუნეთის საჯარო სკოლა და ჯარის გავლის შემდეგ ჩავაბარე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ენერგეტიკისა და ელექტრონიკის ფაკულტეტზე. ლექსების წერა 12 წლის ასაკიდან დავიწყე და ჩემი პორველი ლექსი მოვარეს მიუჰქლვენი. ჩემი ინსპირაციის წყარო შეიძლება გახდეს ნებისმიერი საგანი ან მოვლენა რაც გარკვეულ კვალს დატოვებს ჩემს გონიერაში. ლექსების უმეტესობა დამით ან გამოყინისას არის დაწერილი, რადგან შთაგონებას სიმშეიდები ვპოვებ. ჩემი საყვარელი თანამედროვე პოეტები არიან: გენრი დოლიძე, როი აბუსელიძე, თემურ ელიავა, ხოლო ჩემთვის მისაბაძი პოეტები არიან: ლადო ასათიანი და მუხრან მაჭვარიანი.



\*\*\*

რა ქარტეხილი არ გვინახავს, რა არ გვიცდა.  
ვა ვაგლახით რა ტკივილი არ განვიცდა.

რაც დავიბადეთ, რაც კი გავჩნდით, მუდამ ვიბრძოდით.  
ღვთისმშობლის კალთა გვიფარავდა, ესეც ვიცოდით.

ტაძრებს ვაგებდით, ვლოცულობდით, უფალს ვეძახდით,  
რწმენა გაგვაჩნდა. ვადიდებდით მიწას ზეცამდი.

გაუტეხელი ციხე გვქონდა - შიგნიდან ვტეხდით  
კვლავ მოღალატემ და ურჯულომ დაგვიფრთხო მტრედი!

თუ მოღალატე ერთი გვყავდა, გმირი ათასი.  
ჩვენ დადიანი გამოვზარდეთ უფლის კალთაში.

თუ მონასტერი გაგვისწორა მტერმა მიწაზე.  
ჩვენ ათჯერ მეტი ავაშენეთ მტრების ჯინაზე!

არ დაგვიტივეს ქვა ქვაზე და აღარც საბძელი.  
ასე ტანჯვაში დღემდე ვცოცხლობთ, დღემდე გავძელით.

გვეამაყება. ქართველობა გვეამაყება!

ჩვენ ხომ ნინაპრის გენი შეგვრჩა - უფლის ხატება.

ვუყურებ ზეცას, მოელვარე სამშობლოს გუმბათს.

დღემდე მოვედით, დღემდე ვცოცხლობთ, მადლობა უფალს.

\*\*\*

ერთი ქოხი, ოთახი, მოგიზგიზე ბუხარი,  
ჩემთვის საკმარისია ლექსის განაპწკალები,  
მოდი, ქმარი დამარქვი, მერე ყველას უთხარი,  
რასაც ჩემში ხედავენ თაფლისფერი თვალები,

მე თოვლი ვარ პირველი-შენ ამ თოვლზე შზის სხივი,  
ვდნები, მერე ვორთქლდები ცაზე დაგილრუბელდი,  
ახლა შენ წყვეტ ყველაფერს, სხივებში რომ იცინი,  
მერე მომარიდებ და როგორც თოვლი ვბრუნდები,

ახლა კი სულერთია ჩემი ბედის ცვლილება,  
როგორც უნდა ბუნებას: თოვდეს, წვიმდეს, ელავდეს,  
განრისხებულ ამინდებს თოკავს ლექსით მხილება,  
მე მაქვს ჩემი ამინდი რომ სულ ჩემში ღელავდეს.

ერთი ქოხი, ოთახი, მოგიზგიზე ბუხარი,  
ჩემთვის საკმარისია ლექსის განაპწკალები,  
მოდი ქმარი დამარქვი მერე ყველას უთხარი,  
რასაც ჩემში ხედავენ თაფლისფერი თვალები...

სული შერჩენილი თოკზე,  
 გული ჩარჩენილი მკერდში,  
 ბოლო შემოვდექი მორზე,  
 მერე ლექსებივით შევრჩი,  
 მივიწყებული და შორი,  
 გადაცრეცილი და მნირი,  
 თითქოს გადაღლილი შრომით,  
 თუმც არ მიშრომია ვიცი,  
 სადღაც მიყუჟებულ კუთხეს,  
 სხეულით მივეყრდენი კედელს,  
 მუხლები ჩაჩოქებას უძლებს,  
 სხეული ფეხზე დგომას შეძლებს,  
 ახლა სულ არ ვჩივი ტკივილს  
 ახლა სუნთქვას ვჩივი მხოლოდ,  
 გულის აჩქარება მივლის,  
 სიკვდილ-სიცოცხლესთან ვომობ.  
 შენ რა გენალვლება სულო,  
 თოკზე ქანაობ და თვრები,  
 სულ რომ მიმატოვე, სულ რომ  
 ვეღარ აღმადგინე მკვდრეთით.  
 ეს ხომ ვარდისფერი ეკლებია,  
 ეს ხომ ეკლის ფერი ვარდებია,  
 ისევ არაფერი შემძლებია,  
 თუმც შესაძლებლობა რამდენია  
 რაღა დავამატო მეტი,  
 როგორ დაგიმტკიცო მეტად,  
 რომ მე არ ვყოფილვარ ფეტვი,  
 რომ გადვიქეცი ფეტვად.

სულის ეშაფოტს ვზომავ განცლებით,  
 სილურეე მთების ხმა და სიმკაცრე,  
 წვიმს და სიყვითლით მზესთან ვმარცხდები,  
 ქარი მოიტანს შფოთვას წინანდელს,

ჩამოძენძილი ღრუბლების ფლოტი,  
 სულის სიმძიმეს ჰგვანან ზედმეტად,  
 იესოს ზურგზე იარა შოლტის,  
 ტკივილს დაუდგეს მსახურ კერპებად,

ამოისუნთქა ქარმა ფოთლები,  
 ობოლი ბავშვის ცრემლებით სავსე,  
 დგანან ხეები, როგორც მშობლები,  
 მკვდართა სილურჯის განწირულ ხმაზე.

შიზოფრენიულ აზრთა მიდამო,  
 უსინათლოთა სანათალია,  
 სულ რომ ლოცვების ხმიდან მიწამო,  
 მერწმუნე მაინც შენი ბრალია,

გადაყლაპული ნერწყვის სიმწარე,  
 ვადაგასული აბების მსგავსად,  
 იგრძენი, მაგრამ მაინც იწამე,  
 რომ მისი ლექსი სიყვარულს გავდა,

აკანკალებულ ქართა ტალღები,  
 ზღვა ტალღებივით ვერ მშვიდდებიან,  
 თითქოს უმწიკვლოდ იდგნენ ქალები,  
 და სანთლებივით იღვენთებიან,

ყმული, როგორც მდუმარე ექო,  
 ისმოდა მთების სილურჯეებთან,  
 განწირულ ლექსებს იმედი ერგო,  
 და ამომშრალი სიმუნჯე ლმერთთა.

უხდება ამინდებს ეს სითავხედე,  
 რომ გავხარ ძალიან ჩემ გილიოტინას,  
 და როგორც ცხენები, ფიქრები გავხედნე,  
 მე ვიცი, ზამთარი სიყვარულს მოგიტანს.

გზადაგზა სისხლიან ვარდებთან ვჩერდები,  
 უსაშველოა ამ ლექსთა სიმწარე,  
 კრთებიან თვალებთან იმედის ფერები,  
 და მაინც ამინდი ლექსებით ვიკმარე.

მომიტანს, მომიტანს ახალს და სრულყოფილს,  
 კმაყოფილს რომ გხედავ, ეს უკვე კარგია,  
 აქამდე ნანახი ღიმილი სულ მყოფნის,  
 ღიმილი, რომელიც არაფრად მარგია.

ახლა კი სიცილი ზედმეტად სწორია,  
 იმდენად სწორია, წასვლა რომ არჩიე,  
 იცოდი, რომ ეს გზა გრძელი და შორია,  
 მაღლობა, ძვირფასო, რომ გადამარჩინე.

\*\*\*

ენდე მეთევზეს, მკვლელს და მამაძალლს,  
 ენდე პატრიოტს, ქვეყნის მოხელეს,  
 ენდე ქურდს და ლოთს, ყველა მამაკაცს,  
 მაგრამ არასდროს ენდო პოეტებს.

გჯეროდეს მღვდელის, ღმერთის, ჯადოქრის,  
 გჯეროდეს მეკობრის, ვინმე ოხერის,  
 გჯეროდეს თუნდაც მატყუარების,  
 არ დაიჯერო ოლონდ პოეტის,

არ გიღალატებს ორგული, მხდალი,  
ბრძენი, სულელი, ან მექალთანე,  
არ გიღალატებს უცხო, საწყალი,  
მაგრამ პოეტი სულ გიღალატებს,

იცნობ გულწრფელებს, სუსტებს, ძლიერებს,  
ანგელოზებს და სულგრძელ ბოროტებს,  
იცნობ ვაჟკაცებს, მშიშრებს, ჩერჩეტებს,  
მაგრამ ვერასდროს იცნობ პოეტებს.

\*\*\*

შემომრჩა სევდა! უსაშველო ლექსი ფურცლებად,  
მივყვები ბილიკს უსასრულო დასასრულისკენ,  
დროგაცვეთილი სიყვარულიც უდაბურდება,  
ამინდებივით არეული მკერდში გული ცემს.

ვენებდახსნილი ღრუბლებიდან ჩემი სისხლი წვიმს  
და თუ წახვედი, იცოდე, რომ ვერ დაბრუნდები.  
იქნებ კარგია, რომ წახვედი... ასე... ვინ იცის,  
სიმარტოვისთვის მიმიყრია შენი ხურდები.

გადატყდა ფიქრი უსაშველო... თითქოს არ წუხდეს.  
დრო სიკვდილისთვის? თუ პირიქით?... მარყუჟს არ ამზადებს.  
მაინც ვერ ვხვდები შანსს მაძლევს, თუ მიჭერს მარწუხებს?  
გამუდმებით რომ ვაფუთხებდი... ძირს... არამზადებს.

ცდილობ გაათბო... არ გამოგდის ცივი ხელებით.  
რატომ გგონია სიყვარული კვალს რომ არ ტოვებს?  
ფილტვებში ჰაერ-გაყინული... კვდები ხველებით...  
მოგონებები წარსულიდან... გკლავს სიმარტოვე.

და რატომ ცდილობ სიყვარული წვიმის წვეთს ჰგავდეს...?  
მაინც ცრემლებით ვეფერები სისხლიან ვარდებს...



შენზე ვფიქობ მდუმარე... გრძნობას ლექსი ვუშენო, მარტივით რომ მაგიუებ, ვერ ვიცოცხლებ უშენოდ.

ღამით ისევ მარტო ვარ, მესმის ქარის ნოტები, როგორც უკვე გითხარი, უშენობით მოვკვდები.

მახსოვს შენი ცრემლები, წვიმის წვეთი მინაზე, კიდევ მინდა შევიგრძნო მაგ ტუჩების სინაზე.

მარტის თვეში გავცვალოთ კოცნა, როგორც ბეჭდები, ოლონდ არ გამაგონო, რომ გტანჯავენ ეჭვები...

აივნიდან ვუყუროთ ღამით მთვარის ნათებას, მერე ვნება ვაჩუქოთ სიყვარულის ანთებას.

შენს თვალებში ვკითხულობ შენთან ყოფნის განაჩენს, ჩაგიხუტებ, გაკოცებ, ყურში გეტყვი დნარჩენს.

მახსოვს პირველი კოცნა, დრო და სივრცე გაჩერდა, ახლა, ცოტა არ იყოს, უშენობა დამჩემდა.

გული ცრემლებს ერევა, ახლა ლექსიც ვერ ტირის, ნუთუ ჩემში ჩასახლდა უსაშველოდ შექსპირი,

ღამეს ლურჯი ფიქრები ზღვაში არ ჩაეტია, რადგან ეს სიყვარული სამყაროზე მეტია.

მოდი გრძნობას გაგატან გადახსნილი ვენიდან, თუმცა ერთი იცოდე, გული ამდენს ვერ იტანს.

მხოლოდ შენით ვსუნთქავ და კვლავ გისუნთქავ არ ვცდები, და ღრუბლიდან იცლება წვიმის წვეთად განცდები.

გრძნობა გამიერთგულდა... რა ვუშველო დანარჩენს? ჯერ მაკოცე და მერე ხელს მოვაწერ განაჩენს.

2016



ამგვარად ის უფრო ჩემშია, (ვიდრე შენ)  
მდინარის მოტანილს ვაგროვებ ნაფოტებს,  
რადგანაც არა მაქვს სახლი და ვიშენებ.

ხანდახან მდინარეც შრება და ორთქლისგან,  
ფილტვები მევსება, შევეშვი თამბაქოს  
როგორც შენ, ამიტომ არ ვიცი როდისღა  
ინვიმებს რომ წვიმამ თავიდან დამალპოს.

ისედაც დამპალი ფიქრით და ესეც ხომ  
ადვილი სათქმელი და ასატანია.

ან კიდევ სიტყვები ვის უნდა ვესესხო?  
ისიც ხომ სესხია და მისატანია.

ახლა კი ძნელია გამიგო მერწმუნე  
მეც არ შემიძლია გავუგო ჩემ ეგოს,  
სული თუ სხეული რაღაც ხომ შეგწირე  
და იქნებ როგორმე მცირედიც შეგერგოს.

მე ვიცი ტკივილი რომ ალარ დამტოვებს,  
ამგვარად ის უფრო ჩემშია (ვიდრე შენ),  
მდინარის მოტანილს ვაგროვებ ნაფოტებს  
რადგანაც არა მაქვს სახლი და ვიშენებ.

## ედიშერ ნარიმანიძე

### 26 მაისის „დღესასწაული“ და აყრობილ საქართველოში (1923-1924 წ.)

XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის I ოცეულის პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ შექმნა სუბიექტურ-ობიექტური ნანამძღვრები რუსეთის იმპერიის დაშლისათვის. იმპერიის დაშლამ კი რუსეთის უღელ-ქვეშ ჩაგრულ ხალხებს ეროვნული თავისუფლება მოუტანა. ამ პირობებმა ხელი შეუწყეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას და არსებობას 1918-1921 წლებში.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში. ამ ისტორიული აქტით განხორციელდა ქართული ეროვნული მოძრაობის უმაღლესი მიზანი - ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა რუსეთის იმპერიის 117-წლიანი კოლონიური ბატონობის შემდეგ.

მართლაც, 1918 წლის 26 მაისი უმნიშვნელოვანესი და უბრნყინვალესი თარიღია საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში. ამ დღეს ქართველმა ხალხმა აღასრულა თავისი საუკუნეობრივი ნაოცნებარი - აღიდგინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, რეალობად იქცა ის იდეალები, რაც 117 წლის განმავლობაში განსაზღვრავდა საქართველოს საუკეთესო შვილთა ცხოვრება-მოღვაწეობას.

1918 წლის 26 მაისს ბეჭნიერებით იყო „გაუღენთილი“ მთელი საქართველო...

26 მაისი არის იმ რესპუბლიკის დაარსების დღე, რომელიც დაფუძნებული იყო მოწინავე ჰუმანურ იდეებზე, ევროპულ ღირებულებებზე.

სწორედ 26 მაისს იშვა ერთი მთლიანი ქართველი ერი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა თავისუფლად, დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება; ერი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ თქვა უარი სხვა ქვეყნის ნაწილად ყოფნაზე; თქვა უარი იმ ქვეყანაზე, რომელიც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრისა და დიდი პატრიოტის, ვლასა მგელაძის თქმით, სამოყვროდ მოსული, არამცთუ არ დაგვეხმარა ტანჯული სამშობლოს აღორძინებაში, არამედ ქვეყანა ააოხრა, მდიდარი ტაძარ-მონასტრები გაძარცვა, ღირსეული მამულიშვილები დახოცა, ცოცხლები ციხე-ციმბირში გამოალპო, მშობლიურ ენაზე განათლება და ნირვა-ლოცვა აკრძალა, ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად აქცია, ერის სუვერენობა მოსპო (10:7).

1919-1920 წლებში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მიმდევნობა კიდევ უფრო მეტი ადამიანისთვის გახდა ძვირფასი და გასაგები...

მართალია, მხოლოდ 3 წლის დამოუკიდებლობა მცირე დროა და ერთი გაელვებაა ქვეყნის ისტორიისათვის, მაგრამ კონსტანტინე გამასახურდიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „1918 წლის მაისის 26 ახალი ეპოქა იწყება საქართველოს ისტორიაში. 3 წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი“ (7). საქართველოს არსებობისა და გმირული ბრძოლის მატიანეში 1918-1921 წლები მოინათლა, როგორც „პატარა ოქროს ხანა“ არა-მარტო პოლიტიკური თვალთახედვით, არამედ იგი გახდა სიცოცხლისა და ბრძოლისუნარიანობის, სულიერი მხხება-შემართებისა და სიმტკიცის, მისი უკეთესი მერმისისათვის ფიქრისა და თავისუფლების კვლავ გარდაუვალობის კარგი პერსპექტივა.

1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა იმპერიული და იდეოლოგიური ინტერესებიდან გამომდინარე, დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობა, რითაც დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესის გზით მოახდინა მის მიერვე ცნობილი ქვეყნის ოკუპაცია, რასაც შემდგომში მისი ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. დემოკრატიული რესპუბლიკის

მთავრობამ კი პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ერთ ნაწილი -  
თან ერთად ემიგრაციის (საფრანგეთი) მწარე ხვედრი გაიზიარდა.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაციითა და ანგქისით  
ფიზიკურად დაღუპა დემოკრატიულ რელსებზე, სოციალურ-  
ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის გზაზე  
მდგარი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მან ქართ-  
ველ ხალხს მეორედ დაადგა მონიბის მძიმე და სამარცხვინო  
უღელი და საქართველო მეორედ ჩაითრია იმპერიის მარნუხებში.

სწორედ აღნიშნულმა მოვლენებმა განაპირობა ის მწვავე  
განმათავისუფლებელი ბრძოლა დაკარგული ეროვნული დამოუკი-  
დებლობის კვლავ აღდგენისათვის, რომელიც ქართველი ერის  
დიდი ნაწილის ნება-სურვილმა განაპირობა და რომელსაც ადგილი  
ჰქონდა საქართველოში მისი განთავისუფლებისა და დამოუკი-  
დებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის  
უაღრესად მნიშვნელოვან 1921-1924 წლებში.

როგორც ცნობილია, საბჭოთა იმპერიალისტური რუსეთისა  
და საქართველოს ოფიციალური საბჭოთა საოკუპაციო ბოლშევი-  
კური ხელისუფლების მესვეურთა ოფიციალური განცხადებით,  
1921 წლის თებერვალში საქართველოში მოხდა მშრომელთა  
„შეიარაღებული აჯანყება“ საქართველოს დემოკრატიული რეს-  
პუბლიკის (1918-1921 წ.). მთავრობის წინააღმდეგ და საბჭოთა  
რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ „აჯანყებულთადმი“ „ძმუ-  
რი და მეგობრული დახმარებით“ 25 თებერვალს საქართველოში  
განხორციელდა „სოციალისტური გადატრიალება“ და „სოციალის-  
ტური რევოლუციის გამარჯვება“, რის შედეგადაც დაემხო  
„კონტრრევოლუციონერ“ მენშევიკთა, მათი „კონტრრევოლუციუ-  
რი“ მთავრობის და მისი ევროპელი მოკავშირეების - გერმანიისა  
და ინგლისის 3 წლიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა  
საქართველოში და საფუძველი ჩაეყარა საქართველოს „ნამდვილი  
მუშურ-გლეხური სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას“,  
„ამიტომ საქართველოსა და ქართველი ხალხის ნამდვილი დამოუ-  
კიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების, ბედნიერების, უკე-  
თესი მერმისისა და ნათელი მომავლის დღე“ იყო არა 1918 წლის  
26 მაისი, არამედ 1921 წლის 25 თებერვალი, როდესაც „ნამდვი-  
ლად განთავისუფლდა საქართველო“; (1921 წლის 25 თებერვალს

საქართველოს კომუნისტური, საბჭოური წესით გამოცხადებული/ სუვერენიტეტი და არა საქართველოს ეროვნული სახელმწიფო/ რივი დამოუკიდებლობა, იურიდიულად ცნო საბჭოთა იმპერია- ლისტურმა რუსეთმა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით).

1921 წლის 25 თებერვალი, ისე როგორც 1801 წლის 12 სექ- ტემბერი, ყველაზე უდიდესი დამარცხების თარიღია ჩვენი სამ- შობლოს - საქართველოს ისტორიაში...

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობას საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მესამე წლისთავის აღნიშვნამდე ზუსტად 3 თვე დააკლდა. 1921 წლის 25 თებერვლის ოკუპაციამ 70 წლით დასამარა დამოუკიდებელი ქარ- თული სახელმწიფო, თუმცა, ბედის ირონიით, 1921 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მაინც „საზეიმოდ“ აღი- ნიშნა...

ბოლშევიკებმა ზუსტად იცოდნენ, რომ 1921 წლის 26 მაისს ქართველები გამოვიდოდნენ დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნა- ვად, ამიტომ პროგრესტისა და დაძაბულობის შესაკავებლად, თვი- თონ ჩაატარეს 26 მაისობა, რომელიც თავისებურად გადააკეთეს ერის თავისუფლების დღედ.

ქართველი ხალხი მართლაც დაძაბული ელოდა დამოუკიდებ- ლობის დღის მოახლოებას. საქართველოს მაშინდელმა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ - „რევოლუციურმა კომიტეტმა“ („რევკომმა“) სცადა ქართველი ხალხის დარწმუნება იმაში, რომ ერთი ცუდი პარტია ჩაანაცვლა მეორე, კარგმა პარტიამ და, რომ ეს გარემოება არანაირად არ ხელყოფდა საქართველოს დამოუ- კიდებლობას:

„ნარსულის გამოსწორება“ - სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გაუდენთილი 1921 წლის 26 მაისის გაზეთ „კომუნისტის“ ყველა პუბლიკაცია, რომლებშიც საუბარი იყო არა საქართველოს დამო- უკიდებლობის ხელყოფაზე, არამედ მენშევიკების დალატზე, მათ ნაციონალიზმზე, ბურჟუაზიულ ცოდვებზე და, რომ ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესებს მხოლოდ კომუნისტური პარტია დაიცავდა.

ბოლშევიკებმა, რომლებიც ჯერ მყარად ვერ იდგნენ ფეხზე, ყოველივე ეს თქვეს და გააკეთეს იმისთვის, რომ დრო მოეგოთ და კიდევ:

ამკვიდრებდნენ გადატრიალების ვერსიას. ამბობდნენ, რომ ეს იყო არა ერთი სახელმწიფოს (საბჭოთა რუსეთის) მიერ მეორე სახელმწიფოს (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის) დაპყრობა, არამედ ეს იყო გადატრიალება. უნდოდათ გადატრიალების რიტორიკის გასაღება ისევე, როგორც თავის დროზე ბოლშევიკური გადატრიალება (1917 წლის 25 ოქტომბერი (ახ. სტ. 7 ნოემბერი)) მონათლეს სოციალისტურ რევოლუციად, ამიტომ, საქართველოს კომპარტია და ბოლშევიკები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ საქართველო იყო საბჭოთა, მაგრამ დამოუკიდებელი რესპუბლიკა და, შესაბამისად, 26 მაისიც დაიგეგმა, როგორც ამ ვერსიის გასამყარებელი პიარ - აქცია. პრესის ფურცლებზე დაინტყო ბოლშევიკების „რიტორიკა“ დამოუკიდებლობის 3 წლის იუბილესთან დაკავშირებით...

„გაუმარჯოს 26 მაისს! გაუმარჯოს მშრომელთა საქართველოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას!“ - ვკითხულობთ გაზეთ „კომუნისტის“ 1921 წლის 26 მაისის ნომრის პირველ გვერდზე (6;1). საქართველოს მაშინდელმა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ოკუპაციის პირველ წელს შეენარჩუნებინა 26 მაისი, როგორც დამოუკიდებლობის იუბილე, იმის ხაზგასმით, რომ 3 წლიანი „მონობის“ შემდეგ, 1921 წელს, ქვეყანამ რეალური დამოუკიდებლობა მოიპოვა. (თუმცა, საქართველოს მაშინდელი საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლება საგაზეთო სტატიაში - „**26 მაისის ნამდვილი სახე**“ მაინც შეეცადა ეროვნულ პოზიციაზე მდგარი ქართული საზოგადოება დაერწმუნებინა იმაში, რომ დამოუკიდებელი საქართველო შეიქმნა არა 1918 წლის 26 მაისს, არამედ 1921 წლის 25 თებერვალს: „რუსეთის პროლეტარული ფრონტის დეზერტირებმა, სოციალისტური რევოლუციის რენეგატებმა - მენშევიკებმა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადეს ე.ნ. „საქართველოს დამოუკიდებლობა“... ნამდვილი დამოუკიდებელი საქართველო მას შემდეგ შეიქმნა, როცა ის გახდა მუშების და გლეხების საქართველო. მთელი საუკუნეებით დამონებული ქართველი ხალხი სწორედ 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ განთავისუფლდა

საქართველოს კპ და რუსეთის ძმური წითელი ლაშქრის დახმა-  
რებით... (5;1)).

1921 წლის 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის მესამე  
წლისთავი იმის გამო აღინიშნა, რომ ნულოვანი ლეგიტიმაციის  
მქონე საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლება საზოგადოების გაღი-  
ზიანებას მოერიდა...

მართალია, ქართველი ბოლშევიკები არავითარ სიმპათიას არ  
იჩენდნენ 26 მაისის თარიღისადმი, მაგრამ იმის გამო, რომ  
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) მხო-  
ლოდ 3 თვის გასაბჭოებული იყო და ქართველი ბოლშევიკების  
პოლიტიკური ძალაუფლება არ იყო მყარი, საჭირო იყო ქართველი  
ხალხის ფართო მასების მხარდაჭერისა და ნდობის მოპოვება,  
ამასთან ქართული ემიგრანტული და ევროპული საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური ელიტა, ეროვნულ ნიადაგზე მდგარი ემიგრანტული  
და ადგილობრივი ქართული პოლიტიკური პარტიები, ქართული  
ადგილობრივი, ემიგრანტული და ევროპული პერიოდული პრესა  
საბჭოთა იმპერიალისტურ რუსეთს ქართველი მოლალატე ბოლშე-  
ვიკების ხელშეწყობით სამართლიანად ბრალად სდებდა 1921 წლის  
თებერვალ-მარტში საქართველოსადმი შეიარაღებულ აგრესიასა  
და დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ოკუპაციაში, -  
ამ და სხვა გასაგები მიზეზების გამო, ხელისუფლების სათავეში  
მოსულმა ქართველმა ბოლშევიკებმა, გაითვალისწინეს რა ერო-  
ვნულ პოზიციაზე მდგარი ქართველი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწი-  
ლის სულიერი განწყობილებაც, ამასთან ერთად, შესაძლო პოლი-  
ტიკური ექსცესების და გართულებათა თავიდან აცილების  
მიზნითაც, ოკუპაციის პირველ ეტაპზე, უპირატესობა „მიანიჭეს“  
არა 25 თებერვალს, არამედ 26 მაისის თარიღს და მის „საზეიმო“  
აღნიშვნას (რა თქმა უნდა, კომუნისტური გაეგებით - „ამ დღეს  
აღინიშნოს საქართველოს განთავისუფლება იმპერიალიზმისგან,  
მენშევიზმისაგან და დამოუკიდებლობის მენშევიკური გაგების  
მთლიანი კრახი“ (3;1); „დღევანდელი 26 მაისი არის განთავი-  
სუფლება იმპერიალისტური კონტრრევოლუციის და მისი აგენტე-  
ბის - მენშევიკების ბრჭყალებიდან. წინა წლების ორი ზეიმი ეს  
არის ზეიმი დამონებისა, ხოლო დღეს წითელი დროშით ხელში  
ჩვენ ვიზეიმებთ მას, როგორც პირველ ჭეშმარიტ დღესასწაულს

ჭეშმარიტად დამოუკიდებელ საქართველოისას” (4;1); „1) „26 მაისს გამოცხადდა საქართველოს ხალხის დამოუკიდებლობის იდეა; 2) 26 მაისი შედეგია ოქტომბრის რევოლუციისა; 3) 26 მაისი შენ-შევიკების პარტიამ გამოიყენა საქართველოს მშრომელთა მასის დამონებისათვის, მენშევიკების და ბურჟუაზიის გასაძლიერებლად; 4) 26 მაისს ჩვენ, კომუნისტები ვუქმობთ, როგორც ნამდვილ დამოუკიდებელ დღესასწაულს, საქართველოს მშრომელთა მასის განთავისუფლებას მენშევიკების და ევროპის კაპიტალიზმისაგან”. (8;5)) მეტ-ნაკლებად ხელი არ შეუშალეს. ეს „დათმობა”, გარკვეულწილად განახლებული ეროვნული მოძრაობის შედეგიც იყო.

ცხადია, შექმნილ ვითარებაში, საქართველოს კპ (ბ) ცკ ბიუროსა და პლენუმის ანტიეროვნულ პოლიტიკურ კანონმდებლობას მტკიცედ უნდა დაპირისპირებოდა მთელი ქართველი ხალხის ამაღლებული ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული ერთიანობა, ქართველი ერის ურყოვი ნება და სწრაფვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) აღდგენისაკენ, რაც იყო არსებოთი და უმთავრესი ეროვნული თავისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლაში.

1918 წლის 26 მაისის დღესასწაული დიდი ზემით აღინიშნა დემოკრატიულ საქართველოში 1919 და 1920 წლებში. ამასთან მაშინ, როცა, 1918 წლის 26 მაისი ოქროს ასოებით აღიბეჭდა საქართველოს ისტორიაში და დემოკრატიული რესპუბლიკის მცირე ხნის არსებობის მიუხედავად, საქართველოს ისტორიაში 1918-1921 წლები მოინათლა, როგორც „პატარა ოქროს ხანა“ არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ იგი გახდა სიცოცხლისუნარიანობის, სულიერი სიმტკიცის, მისი უკეთესი მომავლისათვის ფიქრისა და თავისუფლების კვლავ გარდაუვალობის სიმბოლო, ამიტომ საქართველოს კპ (ბ) ცკ ბიუროსა და პლენუმის ზემოთაღნიშნულ განცხადებებზე და გადაწყვეტილებებზე არ დაყოვნა საპასუხო, მკვეთრმა უარყოფითმა რეაქციამ:

ქართველი ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა საქართველოს კპ (ბ) ცკ ბიუროსა და პლენუმის მიერ მიღებული და კანონმდებლობის გზით ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარებული ანტიეროვნული პოლიტიკური ცვლილებები არ მიიღო და ბოლშევიკების

მიერ მოწყობილ 26 მაისის „დღესასწაულში“ მონაწილეობაზე უარი განაცხადა:

ქართულმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა სპექტრმა მაღლე აუდეს ალლო რუსი ოკუპანტების და ქართველი ბოლშევკიების ვერაგობას და დაუპირისპირდნენ კიდეც მას შემდეგი ტაქტიკით: თბილისში, სადაც კომუნისტურმა რეჟიმმა დაგეგმა დამოუკიდებლობის დღის საბჭოთა სტილისტიკით აღნიშვნა, გამოაცხადეს ბოკოფი და მოუწოდეს მოქალაქეებს, არ მიეღოთ მონაწილეობა ფარსში, რაც ასე მოხდა კიდეც: რეალურად 1921 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე თბილისში ფაქტიურად „იზეიმეს“ მხოლოდ ქართველმა კომუნისტებმა და რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილებმა. ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი ქალაქ თბილისში არ გამოსულა დამოუკიდებლობის დღის საბჭოთა სტილისტიკით „სადღესასწაულოდ“.

ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის ბოკოფი თბილისში პროტესტის დემონსტრირებად გადაიქცა...

განსხვავებული ვითარება შეიქმნა რეგიონებში, სადაც წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერების მითითებით, მოეწყო სახალხო-საპროტესტო გამოსვლები ოკუპაციის გასაპროტესტებლად. სწორედ რეგიონებში გამოაჩინა ოკუპანტმა ნამდვილი სახე: გამოსვლები ძალის გამოყენებით დაშალეს, რასაც მოჰყვა მსხვერპლი გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში...

26 მაისის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების მიდგომა შეიცვალა 1922 წლიდან. 1922 წლის 26 მაისს ბოლშევკიებს არც კი უფიქრიათ დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა: თუ 1 წლით ადრე საბჭოთა ხელისუფლება აცხადებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იყო 26 მაისი, უკვე 1922 წელს გამოცხადდა, რომ 26 მაისი არ არის ქეშმარიტი დამოუკიდებლობის დღე და 25 თებერვალი უნდა აღინიშნოს, როგორც დამოუკიდებლობის დღე. 26 მაისის ღონისძიებები კი ოფიციალურად აიკრძალა (ერთი წლით ადრე კი, 1921 წლის 26 მაისს, ბოლშევკიურმა ხელისუფლებამ საბჭოთა სტილისტიკით აღნიშნა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი და დაგეგმილი „საზეიმო“ ღონისძიებები).

1922 წლის 23 მაისს სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანება №5, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ამით საყოველთაოდ ვაცხადებთ, თანახმად აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, რომ საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლოს დღე არის 25 თებერვალი და არა 26 მაისი. ამიერიდან გაუქმებულია 26 მაისის დღესასწაულის უქმე დღე და მის ნაცვლად ძალაში შედის 25 თებერვლის დღე, როდესაც განთავისუფლდა საქართველო“.

ბრძანებას ხელს აწერდნენ: აღმასკომის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და მდივანი თ. კალანდაძე (2;1313).

ასე გამოცხადდა რუსეთის წითელი არმიის მიერ თბილისის დაკავების დღე დამოუკიდებლობის თარიღად...

საქართველოს საოკუპაციო მდგომარეობის გამო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ქართველი ხალხის 1922 წლის 24-26 მაისის მშვიდობიანმა დემონსტრაციებმა ქვეყნის ყველა კუთხეში საპროტესტო ხასიათი მიიღო. მიტინგები და საპროტესტო დემონსტრაციები მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართა, მათ შორის გაიმართა თბილისშიც; მოსკოვის აგენტებმა და საოკუპაციო ხელისუფლებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხის მიერ კულტურული ფორმით თავისი აზრის გამოხატვას და მდგომარეობის შეფასებას ვერ გაუძლეს, თავისუფალ აზრს მათ წინ დაახვედრეს სატუსალო, ცემა, სროლა და მკვლელობაც კი. ეს რეპრესიები გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე თვით დემონსტრაციები. ამის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა ყველგან ნათლად გამოხატა ის, რომ იგი ვერასოდეს შეურიგდებოდა თავის მონბას და ურყევად სწამდა სამშობლოს აღდგენა ახლო მომავალში.

1922 წლის 24-26 მაისს საქართველომ კიდევ ერთხელ დაანახა მტერსა და მოყვარეს, რომ მისი დამონება და დამორჩილება არ შეეძლო არავითარ ძალას, რომ ქართველ ხალხს, - „უიარაღოს“ და „ბორკილგაყრილს“, საშინელი ტერორის პირობებშიც კი, შესწევდა სითამაზე და ვაჟუაცობა აშკარად უარესობის მოძალადეთა უღელი.

ამრიგად, ქართველი ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა 1921 და 1922 წლებში, 26 მაისს, საქართველოში დაგმო 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა იმპერიალისტური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი (1918-1921 წწ.) განხორციელებული აქცია, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ბრწყინვალე დღესასწაულის - 26 მაისის შეცვლა 25 თებერვლით და აღიქვა რა საქართველოს უახლესი ისტორიის ეს თარიღი არა როგორც ბედნიერების, ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ნათელი მომავლის დღე, - არამედ როგორც დიდი უბედურება, - მკაფიოდ გამოხატა სწრაფვა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) აღდგენისაკენ, რითაც საქართველოს ოფიციალური საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთ და მათი სახით საბჭოთა იმპერიალისტურ რუსეთს დაანახა ის, რომ ქართველი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის 1921 წლის 25 თებერვალი იყო არა მარტო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) დაცემის დღე, არამედ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაცემის დღეც, რომ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველომ დაკარგა თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ამიტომ 1921 წლის 25 თებერვალი იყო არა მარტო საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაცემის დღე, არამედ ეროვნული მოძრაობის დასახუისიც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

ქართველი ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა 1922 წლის 24-26 მაისს საქართველოში მასობრივი მშვიდობიანი ანტიბოლშევიკური გამოსვლებით, საპროტესტო აქციებით, მიტინგებით და დემონსტრაციებით, მიღებული რეზოლუციებით, მიმართვებით და დადგენილებებით, საბჭოთა იმპერიალისტურ რუსეთს დაანახა და დაუმტკიცა ის, რომ ერთია ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია უცხო, რუსული ხიმტებით, საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობა, საქართველოსა და ქართველი ხალხის მონის მდგომარეობაში ჩაყენება და სულ სხვაა ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების მოსპობა, ქართველი

ხალხისათვის ეროვნული თავისუფლებისა და ქვეყნის სახელმწიფო პრინციპი დამოუკიდებლობის იდეის წართმევა; ქართველმა ხალხმა საჯაროდ ხმამაღლა განაცხადა სანუკვარი მიზნისათვის - სამშობლოს განთავისუფლების, საქართველოს ეროვნული სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) აღდგენისათვის განუწყვეტილი და მარადიული ბრძოლის სურვილი.

სასტიკი რეჟიმი მართლაც სასტიკი მეთოდებით ცდილობდა საქართველოში მყარად დამკვიდრებას. ქართველი ხალხის მცდელობას, არ დაევინებინა უახლესი წარსული, უზარმაზარი რესურსებითა და სასტიკი მეთოდებით უპირისპირდებოდა საბჭოთა რეჟიმი...

ბოლშევიკებმა ძალა არ დაიშურეს საიმისოდ, რომ ქართველი ხალხის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად 1918 წლის 26 მაისის კვალიც წაეშალათ, თითქოს ამით, ერის ცნობიერებიდან დაკარგული თავისუფლების წაშლასაც მოახერხდნენ.

თავისუფლების და დამოუკიდებლობის გარანტი, პირველ რიგში, ერი უნდა იყოს და ერმა უნდა დაამტკიცოს, რომ თავისუფლების და დამოუკიდებლობის ღირსას; საუკუნეების მანძილზე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის ერთადერთი გარანტია იყო, არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნებაში, რადგან ყოველივე განთავისუფლების დედაბობი თვით თავისუფლების შეგნებაა. ეს შეგნება არასოდეს აკლდა ქართველ ხალხს. ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებასა და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას...

საქართველოში ქართველ ხალხში თავისუფლების მოყვარე სული კი არასოდეს ჩამკვდარა...

1923-24 წლებში, დამოუკიდებლობის დღეს ხმამაღლა პროტესტი არ გამოთქმულა, რადგან ქართველი ხალხის მთელი ძალის-ხმევა მიმართული იყო ერთიანი, საყოველთაო-სახალხო აჯანყებისკენ და პატრიოტულ ძალებს მიაჩნდათ, რომ მალე შეიძლებოდა დამდგარიყო გადამწყვეტი მომენტი, პატარ-პატარა სტიქიური საპროტესტო აქციები კი, როგორც წესი, მთავრდებოდა დარბევა-

დახვრეტა-დაპატიმრებებით და ძალას აცლიდა ანტისაბჭოთა  
შეთქმულებრივ მოძრაობას.

1923 წლის 26 მაისი წყნარად ჩატარდა. ზედმეტი მსხვერპლის  
შიშით ეროვნული მოძრაობის მაკონრდინირებელი ორგანო, სა-  
ქართველოს პოლიტიკური პარტიების ინტერპარტიული გაერთია-  
ნება - „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, იგივე  
„პარიტეტული კომიტეტი“ წინააღმდეგი შეიქმნა გაფიცვებისა და  
დემონსტრაციებისა, ამიტომ ის პროკლამაციების გამოშვებით და  
მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელებით დაკმაყოფილდა (2;960). მიუხედავად ამისა, ოკუპანტები დიდ შიშში იყვნენ. მთელი  
კვირების განმავლობაში იყო ჩერეკა და დაჭერა. თვით 25-26  
მაისს, ლამით, პატრულები დადიოდნენ და ჯარს ყაზარმებში არ  
ეძინა. არც 26-ში დღისით იყო ჯარისკაცების მეცადინეობა. ყოველგვარი მონადებისა და ორგანიზაციული გავლენის გარეშე,  
ეს დღე თბილისის დაბალი და საშუალო სასწავლებლების მოს-  
წავლებმა გაფიცვით აღნიშნეს. ზოგი სულ არ მივიდა სკოლაში,  
ხოლო ზოგან გამოცხადდნენ და პირველივე გაკვეთილებიდან  
მიანებეს თავი მეცადინეობას. გულზე თითქმის ყველას შავი  
ლენტები ჰქონდათ გაკეთებული ეროვნული გლოვის ნიშნად. რუსი  
ჯარისკაცები დაერივნენ მოსწავლეებს, მაგრამ ბევრგან ვერაფერს  
გახდნენ. განსაკუთრებული სიმხეევე და სიყოჩალე გამოიჩინეს  
გოგოებმა. ესენი პირდაპირ შეუდრევებული იყვნენ. ზოგიერთ  
სკოლაში პატარ-პატარა დემონსტრაციებიც მოაწყვეს ეროვნული  
სამფეროვანი დროშების გამლით და ეროვნული პიმნის „დიდების“  
სიმღერით; 26 მაისი მეტების ციხემაც აღნიშნა გაფიცვით. ერთი  
დღით ციხის ადმინისტრაციამ აღკვეთა სიმღერა და სიცილი.  
საღამოს კი მთელი მეტების ციხის პატიმრები შეიკრიბნენ ციხის  
ეზოში, იმღერეს „დიდება“ და „შენ მსხვერპლად დაეცი“ (2;1328).  
საპროტესტო აქციის გამართვას თბილისში 1923 წლის 26 მაისსაც  
შეეცადნენ, თუმცა მცდელობა ქართველმა ბოლშევიკებმა და  
რუსმა ოკუპანტებმა მალევე აღკვეთეს (ე. 6.).

ქალაქ თელავის სკოლაში უმცროსი და უფროსკლასელი  
მოსწავლეები 1923 წლის 26 მაისს ეროვნული დროშებით გამოვიდ-  
ნენ თელავის ძველ ბალთან და დააგუგუნეს დამოუკიდებელი  
საქართველოს პიმნი „დიდება“. მათ ქუჩაში დემონსტრაციებით და

მიტინგით გამოსთქვეს თავიანთი გულისწყრომა ეროვნული დღე-სასწაულის აკრძალვის გამო. ქართველი „ჩეკისტები“ და რუსი ჯარისკაცები დაერივნენ მათ და დაუწყეს ჯოხებითა და თოფის კონდახებით ცემა, დაუხიეს ეროვნული დროშები, დაიწყეს დაპატიმრება. ახალგაზრდობამ თითქოს გული იჯერა, მაგრამ შედეგი სამწუხარო იყო. დაპატიმრებულები პოლიტისამმართველოს ბნელ საკუნძასა და სარდაფებში ჩაყარეს. შიმშილით, ცემითა და სხვა ტანჯვა-წამებით უნდოდათ მიეგნოთ მათი „ნამქეზებლებისათვის“, მაგრამ ამაო იყო მათი ცდა.

ერთი კვირის შემდეგ მცირენლოვანი მოსწავლეები გამოუშვეს, ხოლო ასაკით უფროსები: მ. ტროყაშვილი, კ. ჩახტაური, შ. ნაცვლიშვილი, ე. კოლოტაძე, კ. წყალობაძე, შ. მინდორაშვილი შორეულ ციმბირში გადაკარგეს (9;8).

1923 წლის 26 მაისს, „საქართველოს განთავისუფლების (დამოუკიდებლობის, - ე. ს.) კომიტეტმა“ და საქართველოს სო-ციალ-დემოკრატიულმა (მენშევიურმა) მუშათა პარტიამ თბილისში გამოსცეს ერთობლივი მიმართვა ქართველი ერისადმი, სახელწოდებით „**26 მაისი**“, სადაც ხაზგასმული იყო ოკუპაციის პირობებში ქართველი ხალხისათვის 1918 წლის 26 მაისის დიადი აზრი და მნიშვნელობა, ის, რომ 26 მაისი ქართველი ერისათვის იყო არა მხოლოდ ისტორიული მოგონება, არამედ თავისუფლების დროშაც, მისი ბრძოლის ლოზუნგიც; მიზნის მისაღწევად კი საჭირო იყო მხოლოდ მოთმინება, ძალების დაზოგვა, აუზქარებლობა, სისტემატური ბრძოლის და წინააღმდეგობის გაგრძელება დამპყრობლებთან მიმართებაში და უდრევი რწმენა იმისა, რომ საქართველო კვლავ დაიბრუნებდა თავის დაკარგულ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, ქართველი ხალხი იხსნიდა თავს ოკუპანტების ბრჭყალებიდან; მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია (სტილი დაცულია):

„**26 მაისი** არის ქართველი ხალხის აღდგომის დღე.

1918 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით ქართველი ხალხის ცხოვრებაში მოხდა დიდი ისტორიული გარდატეხა. ამ დღეს მან დაამსხვრია ეროვნული მონობის ბორკილები, განყვიტა ის ძაფები, რომლებიც მას აკავშირებდნენ დიდ რუსეთთან. 26 მაისს ქართველმა ხალხმა მთელი მსოფლიოს წინაშე მიიღო საქართველოს

თავისუფლება და სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობა. ეს მოხ-  
და მძიმე პირობებში.

ყველა მხრიდან ანარქიის ტალღები იპყრობდნენ საქართვე-  
ლოს საზღვრებს, დამპყრობლები ჩრდილოეთიდან და სამხრეთი-  
დან იმუქრებოდნენ მისი მიწების მიტაცებით.

ამ პატარა ქვეყანას ყველა უყურებდა ხარბად, მზად იყვნენ  
ჩაეყლაპათ ის. ჩვენ არ გვქონდა ფინანსები და არსაიდან არ იყო  
დახმარება, რომ შეგვექმნა სახელმწიფო ბრივი აპარატი, გვყო-  
ლოდა საჭირო შეიარაღებული ძალა, რათა დამშვიდებული გულით  
შევდგომოდით აღმშენებლობით საქმიანობას, მაგრამ ჩვენი ხალ-  
ხის ენერგიამ, მისმა თავისუფლების სიყვარულმა და გატაცებამ  
დაძლიერ ეს ნაკლოვანებები და თავიდან აიცილეს დიდი სა-  
ფრთხეები.

და აი, ეს სინამდვილე, ეს მახვილგონიური ფაქტი გახდნენ  
მიზეზი იმისა, რომ ევროპამ, რომელიც ბოლო დრომდე უნდობ-  
ლად უცქერდა საქართველოს, საბოლოოდ ცნო საქართველო  
დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მაგრამ ჩვენ მტერს არ ეძინა, ე. ნ.  
საბჭოთა რუსეთს, რომელიც, კომუნისტურ სამოსელში გახვეული,  
უახლოვდებოდა კავკასიას და კერძოდ, საქართველოს ძველი  
ბნელი აზრებით და ბოროტი ზრახვებით.

ქართველმა ხალხმა სამი წლის განმავლობაში ვერ მოასწრო  
შეექმნა თავდაცვის ძლიერი ორგანიზაცია.

და აი, 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთი მოულოდნელად  
თავს დაგვესხა, დაგვიპყრო, წაგვართვა თავისუფლება, დაამყარა  
ჩვენთვის საზიზღარი რეჟიმი და სათავეში დააყენა დესპოტური  
მთავრობა. ამ დროიდან მოსკოვი მართავს, - უფრო სწორად  
არბევს, - ჩვენ ქვეყანას რუსი ჯარისკაცების მეშვეობით. საოკუ-  
პაციო ჯარები ძველ რუს მოსამსახურეთა და სომებს შოვინის-  
ტებთან ერთად წარმოადგენდნენ ერთადერთ ძალას, რომლებზეც  
შეიძლება დაყრდნობა.

ორ წელზე მეტია, რაც ეს უცხო ძალა ჩვენთან დათარეშობს,  
არბევს სოფლებს და ქალაქებს, ხალხს ახდევინებს მძიმე  
გადასახადს, აპატიმრებს, ასახლებს, ხვრეტს. იდევნება ქართველი  
ხალხი და ქართველი ერი ფაქტიურად კანონგარეშეა გამოცხადე-  
ბული. ყველა უცნობი უსაქმურები და მანანნალები წარმოადგენენ  
ბული.

ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიან პატრონებს. ეხლა უკვე მოხუციც  
და ახალგაზრდაც - ყველანი დარწმუნდნენ, ყველამ ღრმად  
იგრძნო, - რა ძვირად ფასობს თავისუფლება და რა დამღუპველი  
და სამარცხვინოა - უცხოელთა ბატონობა.

26 მაისის დიდი აზრი და მნიშვნელობა ეხლა ნათლად გაიგო  
ქართველმა მუშამ და გლეხმა, მთელმა ქართველმა ხალხმა. ბინდი  
გაიფანტა, დაინგრა ცრუ ილუზიები და ქართველი ერი დღეს ნათ-  
ლად ხედავს, რომ მისი ხსნა - მდგომარეობს მხოლოდ მისი ქვეყნის  
დამოუკიდებლობის აღდგენაში, რომ ქართველი ერი იარსებებს და  
განვითარდება, როგორც თავისუფალი ხალხი, - ან ის საერთოდ  
არ იარსებებს.

ამიტომ 26 მაისი ჩვენთვის არაა მხოლოდ ისტორიული  
მოგონება. ის მისთვის არის - თავისუფლების დროშა, - მისი ბრძო-  
ლის ლოზუნგი.

ეს დროშა ჩვენ ძალით გამოგველიჯეს ხელიდან, მაგრამ ჩვენ  
ჩვენივე ძალებით უნდა ავნიოთ ის კვლავ იმ სიმაღლეზე, იმისა-  
თვის, რომ განვმგმიროთ მტრის გული. 26 მაისი ჩვენ ამისაკენ  
მოგვიწოდებს. მართალია, ოკუპანტები არ გვიბრალებენ, ცეცხლი-  
თა და მახვილით დათარეშობენ ისინი ქართულ მიწაზე, მაგრამ ეს  
- მათი დროებითი თარეშია. ისტორიაშუკვეგამოუტანა შესაბამისი  
განაჩენი დიდ რუსეთს, რომელმაც შეძლო რამდენიმე ერის  
შევიწროება და დაცყრობა. რუსეთს უკვე აღარ აქვს ძალები და  
საშუალება დიდხანს იძატონოს არარუსებზე, - მეტი აღარ შეუძლია  
მათი შევიწროება და ტანჯვა. მატერიალურად სუსტს, პოლი-  
ტიკურად და მორალურად განცალკევებულს, განადგურებულ და  
დასუსტებულ დიდ რუსეთს არ აქვს ძალები მთლიანად ჩაახშოს  
ერებისა და ხალხთა ძლიერი მისწრაფება თავისუფლებისა და  
დამოუკიდებლობისადმი (ხაზგასმა ჩვენია, - ე. ნ.).

შორს არაა ის დრო, როცა ლენინ-ბრუსილოვის მიერ აშენე-  
ბული ქოხი დაინგრევა და საქართველო კვლავ დაიბრუნებს  
დაკარგულ თავისუფლებას.

ჩვენ დღეს არ მოვუწოდებთ ხალხს გამოვიდეს ქუჩაში.  
შექმნილ პირობებში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი  
სთვლის ამას მიზანშეუწონლად; მას არ სურს ძალების დაფანტვა.

მაგრამ ის მოუწოდებს ყველას, მთელ ქართველ საზოგადოებას - იყოს მხნე და განაგრძოს სისტემატიური ბრძოლა წინააღმდეგობა დამპყრობლებთან ურთიერთობაში.

დაე, არცერთი ქართველი ნუ დარჩება ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის მიღმა. ყველამ უნდა შევიტანოთ მასში შესაბამისი მატერიალური დახმარება, ან პირადი მონაწილეობით, საქმით და სიტყვით. ქართველი ერის ცოცხალმა ძალებმა უნდა შექმნან ერთი რევოლუციური არმია ჩვენი ქვეყნის ჯალათების წინააღმდეგ.

ამას გვავალებს ჩვენ 26 მაისი და ამას გვკარნახობენ ჩვენ ქართველი ერის საჭიროობოტო ინტერესები.

გაუმარჯოს 26 მაისს...

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას...

ძირს ოკუპაცია...

ძირს ტირანია და ძალადობა...

გაუმარჯოს ერის თავისუფლებას" (1;70-72).

ერთი წლის შემდეგ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1924 წლის 26 მაისს თბილისში გამოსცა მიმართვა ქართველი ერისადმი, სადაც ხაზგასმული იყო ის, რომ გამარჯვებული მტერი - საბჭოთა იმპერიალისტური რუსეთი ცდილობდა დაევინებინა ქართველებისათვის 26 მაისის დღე და თუ შესაძლებელი იყო სრულიად ამოებალა იგი მისი მეხსიერებიდან, დღე, რომელიც ოქროს ასოებით იყო აღბეჭდილი ქართველი ერის ისტორიაში; მაგრამ ვერავითარი ძალა, თუნდაც ყველაზე უხეში და ბარბაროსული, ვერ ამოგლეჯდა ქართველი ხალხის გულის სილრმიდან იმას, რაც შეადგენდა მის საკუთრებას და წმიდათა წმიდას; ის, რომ ნამდვილად ვერავინ გააუქმდა 26 მაისის მნიშვნელობას და ვერავინ შეაბრუნებდა ისტორიის ჩარხს უკუღმა. გამოთქმული იყო უდრევი რწმენა იმისა, რომ ადრე თუ გვიან დაემხობოდა „ჯალათებისა და ტირანების სამეფო“ და ქართველი ერი დაიბრუნებდა ვერავულად წართმეულ თავისუფლებას, რომლის თავდები იყო ქართველი ერის მიერ ოკუპანტების წინააღმდეგ წარმოებული განუწყვეტელი ბრძოლა, ის ბრძოლა, რომელიც იყო მძიმე და ხანგრძლივი, მაგრამ საბო-

ლომ გამარჯვება და მომავალი იყო მხოლოდ თავისუფლების-  
მოყვარე ქართველი ერის; მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია  
(სტილი დაცულია):

„ქართველი ერის ისტორიაში 26 მაისი აღბეჭდილია ოქროს  
ასოებით. ამ დღეს ხორცი შეისხა ერთა თვითგამორკვევის პრინ-  
ციპმა ჩვენში და საძირკველი ჩაეყარა საქართველოს დამოუკიდებ-  
ლობას. განურჩევლად წოდებისა და კლასისა, აშკარად და ნათ-  
ლად ქართველმა ხალხმა ამცნო მთელ ქვეყანას თავისი მტკიცე  
გადაწყვეტილება და ამცნო ყველას, რომ მას თავის დამოუკიდებ-  
ლობის გარეშე არ შეუძლიან სიცოცხლე. 1918 წ. 26 მაისს დაწ-  
ყებული, სამი წლის განმავლობაში ქართველი ერი იბრძოდა და-  
მოუკიდებლობის დროშის ქვეშ და ბოლოს სისხლიდან დაცლილი  
დაეცა უთანასწორო ბრძოლაში. 1921 წ. 25 თებერვალს რუსის  
ჯარების ველური ურდოები ქართველი ერის მოღალატეების ნინა-  
მძღოლობით შემოესივნენ საქართველოს და მინასთან გაასწორეს.  
სისხლით და ბრძოლით მოპოვებული დამოუკიდებლობა რუსის  
ჯარების საოკუპაციო მთავრობამ გადაიარა ქართველი ერის  
გვამზე, მოსპო მისი სახელმწიფოებრივი არსებობა, ტალახში ამოს-  
ვარა მისი დროშა და მის ნაცვლად აღმართა გასისხლიანებული  
მოსკოვის ბაირალი. და ყველაფერი ეს ჩადენილ იქნა კომუნიზმის  
და სოციალიზმის სახელით. სამი წლის განმავლობაში მთელმა  
ქართველმა ხალხმა მნარე გამოცდილებით იგრძნო გემო რუსული  
კომუნიზმისა და დაინახა ნათლად, რომ ამ კომუნიზმის ნიღაბქვეშ  
იმაღება ძველი ნაცნობი, შავრაზმელი და ვერაგი რუსის დერ-  
ჟიმორია. ენა და სარწმუნოება, სულიერი და ნივთიერი დოვლათი,  
ყველა გაცამტვერებულია ამ დერჟიმორდას ჩექმით, გაღატაკებუ-  
ლია ნივთიერად და დამონავებული სულიერად. მთელი ქართველი  
ხალხი, განურჩევლად მდგომარეობისა, განიცდის დამპყრობლების  
მიერ საშინელ დევნას და წამებას და აი ამ სულის შემხუთავ,  
ჯოჯოხეთურ პირობებში ქართველ ერს უთენდება 26 მაისის დღე.  
გამარჯვებული მტერი ცდილობს დაავიწყოს ეს დღე ქართველებს  
და თუ შესაძლებელია სრულიად ამოშალოს იგი მის მახსოვ-  
რობიდან, მაგრამ ამაოდ!..“

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ  
გარდაიცემის“.

ვერავითარი ძალა, რაც უნდა უხეში და ბარბაროსული იყოს იგი, ვერ ამოჰგლეჯს ქართველ ხალხის გულიდან იმას შეადგენს მის საკუთრებას, მის წმიდათა-წმიდას...

მართალია, წელს ქართველი ხალხი ვერ დაუხვდება 26 მაისს ჩვეულებრივი ზემით, მაგრამ ქართული დროშა მაინც იფრიალებს ამ დღეს ყველას გულში, ვისაც უყვარს თავისი სამშობლო და სწამს მისი დიადი მომავალი. ან ვინ გააუქმებს ნამდვილად 26 მაისის მნიშვნელობას? ვინ შეაბრუნებს ისტორიის ჩარხს უკუღმა? ვინ შეაჩერებს ქარიშხალს და ზღვის ღელვას? ვერავინ! ადრე თუ გვიან დაემხობა ჯალათების სამეფო და ქართველ ერს დაუბრუნდება ვერაგულად ნართმეული თავისუფლება. ამის თავდებია ის განუწყვეტელი ბრძოლა, რომელსაც ანარმოებს დამპყრობლების წინააღმდეგ მთელი ქართველი ერი, განურჩევლად სხვა და სხვა პარტიებისა.

ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრძოლა მძიმეა და ხანგრძლივი, მაგრამ მომავალი მაინც ჩვენია. ქართველი ხალხი არ აჰყვება წუთიერ ღელვას და აღჭურვილი დიდი მოთმინებით განაგრძობს ბრძოლას, დარწმუნებული იმაში, რომ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მაინც გაიმარჯვებს ბოლოს და ხორცს შეისხამს ყველგან. ამის თავდებია ის დიდი ცვლილება, რომელიც ხდება ამ ბოლო დროს დასავლეთ ევროპაში. ინგლისში, გერმანიაში და საფრანგეთში უკვე გაიმარჯვა დემოკრატიამ და რუსეთიც ადრე თუ გვიან იძულებული იქნება გაჰყვეს ამ გზას. მაშინ ჩამოჰკრავს ჩვენი ერის განთავისუფლების საათიც და ერთხელ და სამუდამოდ დაიმსხვერევა ტირანების სამეფო.

გაუმარჯოს 26 მაისს!

გაუმარჯოს ერთა თვითგამორკვევას!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ძირს რუსის ჯარების საკუპაციო მთავრობა!“ (2;1597).

1924 წლის აგვისტოს აჯანყება დამარცხდა, რაც მრავალ ათას ქართველ პატრიოტს სიცოცხლის ფასად დაუჯდა, თუმცა, ამის მიუხედავად, 26 მაისის - საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღის ხსოვნა არც ამის შემდეგ არ დაკარგულა. ყოველი წლის 26 მაისს წინააღმდეგობის მოძრაობა მოუწოდებდა ქართველ

ხალხს, არ შერიგებოდნენ ოკუპაციას, ებრძოლათ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ასე იყო 20-იანი წლების ბოლომდე, როცა ვრცელდებოდა როგორც საქართველოს იატაკევეშეთში დაბეჭდილი პროკლამაციები, ასევე საზღვარგარეთიდან არალეგა-ლურად შემოტანილი ქართული ემიგრანტული და უცხოური პოლიტიკური ლიტერატურა.

1918 წლის 26 მაისის ხსოვნა მრავალი ათეული წლის განმავლობაში გულით ატარეს არაერთი თაობის ქართველმა პატრიოტებმა...

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (სრშსსა), ფ. 13, აღნ. 1, ს. 321, ფ. 70-72.

2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არქივის ჰარვარდის ფონდის (აშშ) მიკროფირები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები), საქმე 960, 1313, 1328, 1597.

3. გაზ. „კომუნისტი“, 8. 05. 1921 წ., გვ. 1.
4. გაზ. „კომუნისტი“, 15. 05. 1921 წ., გვ. 1.
5. გაზ. „კომუნისტი“, 18. 05. 1921 წ., გვ. 1.
6. გაზ. „კომუნისტი“, 26. 05. 1921 წ., გვ. 1.
7. კ. გამსახურდია, სიტყვები ქართველ ერისადმი, გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, №70, 26. 05. 1921 წ.
8. ბ. საბაძე, მეტყველი მოწმე, გაზ. „კომუნისტი“, 26. 05. 1990 წ., გვ. 5.
9. გ. არსენაშვილი, რაც ჩვენ ვერ შევძელით, გაზ. „შარავანდი“, №8 (12), აგვისტო, 1991 წ., გვ. 8.
10. ვლ. მგელაძე, 26 მაისი, ჰარიზი, 1934 წ., თბ., 1990 წ., გვ. 7.

„ქართული ეროვნული - პოლიტიკური ცენტრი  
უცხოეთში“ ((„ქართული ეროვნული ცენტრი“), პარიზი,  
1950 წ. 19 ნოემბერი) და „ქართული ეროვნული საპარ“  
(პარიზი, 1951 წ. 21 ოქტომბერი)

XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის I ოცეულის პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ შექმნა სუბიექტურ-ობიექტური ნანამდლვრები რუსეთის იმპერიის დაშლი-სათვის. იმპერიის დაშლამ კი რუსეთის ულელ-ქვეშ ჩაგრულ ხალხებს ეროვნული თავისუფლება მოუტანა. ამ პირობებში ხელი შეუნებეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას და არსებობას 1918-1921 წლებში.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ ისტორიული აქტით განხორციელდა ქართული ეროვნული მოძრაობის უმაღლესი მიზანი - ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა რუსეთის იმპერიის 117-წლიანი კოლონიური ბატონობის შემდეგ.

1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა იმპერიული და იდეოლოგიური ინტერესებიდან გამომდინარე, დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წნ.) არსებობა, რითაც დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესის გზით მოახდინა მის მიერვე ცნობილი ქვეყნის ოუბაცია, რასაც შემდგომში მისი ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კი პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ერთ ნაწილთან ერთად ემიგრაციის (საფრანგეთი) მნარე ხვედრი გაიზიარა.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაციითა და ანექსიით ფიზიკურად დალუპა დემოკრატიულ რელსებზე, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის გზაზე

მდგარი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მან ქართველ ხალხს მეორედ დაადგა მონობის მძიმე და სამარცხვინო უძღვეს ლი და საქართველო მეორედ ჩაითრია იმპერიის მარწუხებში.

სწორედ აღნიშნულმა მოვლენებმა განაპირობეს ბრძოლა დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში 1921 წლიდან...

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია || მსოფლიო ომის შემდეგ, კვლავ აქტიურად აგრძელებდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. || მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე არაერთი წლის უშედეგო მოღვაწეობისა და ბრძოლის მნარე გამოცდილება ჰქონდა ქართული ემიგრაციის ძველ და ახალ თაობას, საქართველოს განთავისუფლების იდეა კვლავ ცოცხალი და აქტუალური იყო. || მსოფლიო ომის დროს შეწყვეტილი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 1949 წლიდან გააქტიურდა. || მსოფლიო ომის დროს კი ქართველი ემიგრანტების ეროვნული მოძრაობის უპერსპექტივობას საერთაშორისო მდგომარეობა განაპირობებდა.

|| მსოფლიო ომმა და ხანგრძლივმა იმედგაცრუებამ, ევროპაში მყოფ ძველ ქართულ ემიგრანტულ ბანაკს საგრძნობი ზიანი მიაყენა. შემცირდა მისი ძალები, მისი ერთი ნაწილი შორეულ ქვეყნებში გაიფანტა(არგენტინა, ჩილე, აშშ), მოიშალა პარტიული პოლიტიკურ-ორგანიზაციული სისტემა. მომხდარ უბედურებაში (1921 წლის 25 თებერვალი) დამნაშავის ძიებამ, ერთმანეთზე შეცდომების გადაბრალებამ ქართველი ემიგრანტები კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს და დაუძინებელ პოლიტიკურ ოპონენტებად აქცია. მათ ვერ დაძლიეს ინდივიდუალიზმი, გათიშულობა, ურთიერთქმიშპი, რაც ასე მცირერიცხოვან ემიგრანტებში წარმოუდგენელ მასშტაბებს აღწევდა. ამის შესახებ წერდნენ და მსჯელობდნენ თავადაც. პარტიებისა თუ ორგანიზაციების შეკრებებს ლაიტმოტივად გასდევდა ქართული ემიგრაციის გაერთიანების და ერთიანი ფრონტით ბრძოლის წარმოების საკითხი. მაგრამ ეს მიზანი ყოველთვის მიუღწეველი რჩებოდა, რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე (|| მსოფლიო ომის შემდეგ, || მსოფლიო ომის მიმდინარეობისას,

„ცივი ომის“ პერიოდში, როცა მსოფლიო დიდი სახელმწიფოების ინტერესთა კონფლიქტით იყო მოცული) მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა ერთიანი ძალებითაც ძნელი იქნებოდა, გათიშულობისა და დაქსაქსულობის პირობებში კი ეს შესაძლებლობა უტოპიას ემსგავსებოდა. ქართველი ემიგრანტების დაქსაქსვა ხელოვნურადაც ხდებოდა. საუბარია საბჭოთა კავშირის მთავრობის, საბჭოთა ხელისუფლების და მისი სპეციალური სამსახურების მიერ ევროპაში გაგზავნილი აგენტურის შესახებ. მართლაც, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დასუსტების, ანტისაბჭოთა ძალების დევნისა და გაფანტვა-დამლისთვის, ემიგრანტი პოლიტიკური ლიდერების ფიზიკური განადგურებისთვის განსაკუთრებით აქტიურად ცდილობდნენ და იღვნოდნენ ბოლშევიკები, რომლებიც ომის დამთავრების შემდგომ, გამარჯვებულ მოვავშირეთა პასპორტით, 2 წელიწადი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იმყოფებოდნენ და სასტიკად დევნიდნენ თავიანთ მოწინააღმდეგი პოლიტიკურ ემიგრანტებს.

თუმცა II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მოკავშირეთა შორის წინააღმდეგობამ იჩინა თავი, მოხდა მსოფლიოს ძალთა ბიბოლარიზაცია. დაიწყო „ცივი ომი“. II მსოფლიო ომში, ბოლშევიკური რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოები, საბოლოოდ მიხვდნენ რუსეთის მზაკვრულ გეგმებს. დასავლეთის ქვეყნები იდეოლოგიურად და პოლიტიკურად დაირაზმნენ. მათი მთავარი ამოცანა კაცობრიობის უძველესი და სანატრელი უფლება - ადამიანთა და ერთა თავისუფალი, მშვიდობიანი ცხოვრება იყო. 1921 წელთან შედარებით, მსოფლიოს უკვე კარგად ჰქონდა გათავისებულ-გააზრებული კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპები და ის კონცეფცია, რომლის თანახმადაც თავისუფლება საყოველთაო ფასეულობაა და რომ საფრთხის შემთხვევაში იგი ერთხმად დასაცავია, თუ კაცობრიობას მართლაც სურს ნამდვილი, რეალური მშვიდობის დამყარება.

შექმნილი საერთაშორისო ვითარება ქართველმა ემიგრანტებმა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ხელსაყრელ პირობად მიიჩნიეს. ემიგრაციაში არსებული პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც საქართ

ველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის იბრძოდნენ, განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ამ მიზნის მიღწევის მეთოდებითა და ტაქტიკით. მათ შორის, ჩვენი აზრით, ყველაზე პროგრესული იყო ის გზა, რომელიც მიუხედავად პარტიული თუ ორგანიზაციული კუთვნილებისა, ემიგრაციის გაერთიანებას და საერთო ძალებით მიზნის მიღწევისათვის ბრძოლას გულისხმობდა. ქართველმა ემიგრანტებმა, შექმნილ რეალურ სიტუაციაში მიზნად დაისახეს, ევროპასა და ამერიკაში მყოფი ემიგრანტული ძალების კონსოლიდაცია და ერთობლივი ბრძოლის გაჩაღება. საჭირო იყო ორად გახლეჩილი ემიგრაციის გამთლიანება, ძველი პარტიული დავების, პიროვნული ამბიციების დავინყება. იმპერიული რუსეთის წითელი არმიის მიერ ოკუპირებული და ანგქისირებული საქართველოდან, უცხოეთში გადახვენილმა ქართველმა პოლიტიკოსებმა შეჰვიცეს ქართველ ერს, რომ ყველგან და ყველა პირობებში საქართველოს ეროვნული თავისუფლების აღდგენისათვის იბრძოლებდნენ. საქართველოს ეროვნული თავისუფლების აღდგენისათვის ბრძოლაში კი საჭირო და აუცილებელი იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გაერთიანებით ეროვნული ბრძოლის მაკომინირებელი ორგანოს - ერთიანი „ეროვნული ცენტრი“-ს დაარსება...

ევროპაში, ძველი პოლიტიკური ემიგრანტებიდან საქმიანობას აგრძელებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების, ორგანიზაციების - „თეთრი გიორგის“ და „სამხედრო კავშირის“ (იუნკრების) წევრები, ასევე ემიგრაციაში მოგვიანებით შექმნილი გაერთიანებები. ამ პერიოდიდან ქართულ ემიგრაციას შეემატა ახალი ტალღა, ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი და ემიგრაციაში დარჩენილი ქართველების სახით, რომელთა ნაწილი პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება. მათ „ახალ ემიგრანტებს“ უწოდებდნენ.

1949 წლიდან საფრანგეთის ქართველ ემიგრანტებში გაჩნდა იდეა „ეროვნული ცენტრის“ დაარსების შესახებ, რომელშიც გაერთიანდებოდა ყველა ემიგრანტული პარტია, ორგანიზაცია თუ კერძო პირი და რომელიც იქნებოდა ქართული საქმის ხელმძღვანელი და ნარმმართველი საზღვარგარეთ. ეროვნული ცენტრი

უნდა ყოფილიყო „სრულუფლებიანი პატრონი და ხელმძღვანელი ქართულ ეროვნული მოძრაობის. იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი და სუვერენული“ (2;4).

ემიგრაციის გაერთიანებას წარმატების წინაპირობად მიიჩნევდა ყველა პოლიტიკური ძალა. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცდილობდნენ და ესაბუთებინათ გაერთიანების შექმნის აუცილებლობა. ეროვნულ-დემოკრატების აზრით, „ამ მეტად რთულსა და მძიმე მდგომარეობაში, რომელმიაც ჩვენი ერი და სამშობლო მოექცა, ჩვენ მეტად საზიანოდ და დრომოქმულად მიგვაჩნია ვინრო პარტიულ ჩარჩოებში ჩაკეტვა, აზროვნება და მოქმედება. საჭიროა ფართო ეროვნულ ასპარეზზე ქართველ მოაზროვნე და მოქმედი ძალების ერთობა“ (7;3). ემიგრაციის გაერთიანების აუცილებლობაზე წერდნენ სოციალ-დემოკრატებიც: „უცხოეთში გადმოხვენილი ქართველი, რომელიც საკუთარი სამშობლოს უბედურებაზე ფიქრობს, არ შეიძლება არ ხედავდეს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მთლიან მუშაობის საჭიროებას, ერთ სამოქმედო ხაზზე დარაზმვას... ცალ-ცალკე მოქმედება, სხვადასხვა გზით სიარული საერთო საქმისთვის მავნებელია, შემაფერხებელია... საჭიროა საზღვარგარეთ დაფანტულ ორგანიზაციების და საჭირო ძალების სრული მობილიზაცია, შეთანხმებული მუშაობის გეგმის დასახვა და განსაზღვრულ უფლებებით აღჭურვილი ორგანოს დაარსება“ (8;21-22).

იმ პერიოდში საფრანგეთში არსებული ქართული ემიგრანტული გაერთიანებებიდან გამოირჩეოდნენ სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები. სწორედ, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიების წევრები ხელმძღვანელობდნენ გაერთიანების საკითხს. მათი ორგანიზებით, 1949 წლის 7 ნოემბერს პარიზში ქართული კოლონიის პოლიტიკური გაერთიანებების ერთობლივი თათბირი ჩატარდა, სადაც „საკოორდინაციო კომისია“ აირჩიეს. კომისიას ემიგრაციაში ეროვნულ ძალთა გაერთიანება დაევალა, რომელიც ახალი ცენტრის შექმნის საფუძველი გახდებოდა. „ეროვნულ ცენტრში“ უნდა შესულიყვნენ ემიგრაციაში არსებული პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები, ახალგაზრდები და ქართველი მხედრები. „ეროვნული ცენტრის“ მიზანი „ქართული საკითხის“ მსოფლიოსათვის გაცნობა და საქართველოს

დამოუკიდებლობის აღდგენა იქნებოდა. 7 ნოემბრის კომისიამ ერთი წელი იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში მათ ჩაატარეს რამდენიმე სხდომა, ჰქონდათ მოლაპარაკებები ქართველ ემიგრანტებთან (5;11). კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ნოე უორდანიამ დააყენა საკითხი, რომ „ეროვნული ცენტრი“ მეორე მსოფლიო ომამდე არსებული გაერთიანების სამართალმემკვიდრედ გამოეცხადებინათ, ხოლო მისი საქმიანობა წარმართულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციაში მყოფ მთავრობასთან შეთანხმებით და მისი ხელმძღვანელობით. ნოე უორდანიას ინიციატივას მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატიულმა და სოციალ-ფედერალისტურმა პარტიამ. წინააღმდეგი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ინტერპარტიული გაერთიანება არსებობდა მეორე მსოფლიო ომამდე. უორდანია და სოციალ-დემოკრატები სწორედ ამ გაერთიანების აღდგენას ცდილობდნენ. მასში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ შედიოდა. მათთვის მიუღებელი იყო ახალი ეროვნული ცენტრის ჩამოყალიბება მეორე მსოფლიო ომამდე არსებული ცენტრის საფუძველზე, რადგან, მათი აზრით, ის იმთავითვე უფუნქციო ორგანო იყო და მისი „ეროვნული საქმიანობის მეთაურობა არასოდეს უხილავს და უგრძვნია ქართულ ემიგრაციას“ (5;11).

ეროვნულ-დემოკრატებისათვის მიუღებელი იყო, ასევე, ეროვნული ცენტრის დაქვემდებარება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისადმი (5;11-12). იმ პერიოდში, პოლონეთის გარდა არცერთ კომუნისტური რეჟიმის მიერ შევიწროვებული ერების ემიგრაციას არ ჰყავდა მთავრობა (4;36). ქართველი სოციალ-დემოკრატები ამას უპირატესობად, საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოდ თვლიდნენ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კი ნოე უორდანიას მთავრობას „ყოფილს“ უწოდებდა, რომელსაც მათი აზრით, აღარ ჰქონდა მანდატი ესაუბრა ქართველი ხალხის სახელით (2;2).

მთავრობის საკითხზე შეუთანხმებლობის გამო 1949 წლის 7 ნოემბრის კომისიას გამოეყვნენ რევაზ გაბაშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, ლევან ზურაბიშვილი და ბრეგვაძე. მათ

დამოუკიდებლად განაგრძეს ქართულ ემიგრანტულ გაერთიანებებთან მოლაპარაკებები „პოლიტიკური ცენტრის“ შექმნისათვის. შედეგად, 1950 წლის 19 ნოემბერს ორგანიზაცია „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“ დაარსდა, სადაც გაერთიანდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, სოციალ-რევოლუციონერების (იოსებ გობეჩია), ლევან ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით 1948 წლის 6 ივნისს დაარსებული „თავისუფალ ქართველთა კავშირის“, „სამხედრო კავშირის“ და უპარტიოთა წარმომადგენლები. ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს გენერალი გიორგი კვინიტაძე. საპატიო წევრი იყო ექიმი ვახტანგ ლამბაშიძე, ხოლო წევრები - იოსებ გობეჩია, დ. მაჭავარიანი, რევაზ გაბაშვილი, ელისე პატარიძე, ლევან ზურაბიშვილი, ი. ბაქრაძე, ალექსანდრე მანველიშვილი, ლ. შარაძე. ცენტრს ჰქონდა პერიოდული ორგანო „საქართველოს დამოუკიდებლობა“. ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სტატიები იბეჭდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალ „ივერიაშიც“. „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის“ წევრები მიიჩნევდნენ, რომ მათი ორგანიზაცია არ იყო სრულყოფილი, რადგან არ აერთიანებდა ყველა პოლიტიკურ ძალას, ამიტომ მომავალში ეცდებოდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან შეთანხმებას. „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“ ხშირად „ქართულ ეროვნულ ცენტრად“ მოიხსენიება (3;13).

„პოლიტიკური ცენტრის“ მიღმა დარჩენილმა პოლიტიკურმა ძალებმა 1951 წლის 28 იანვარს კრება ჩატარეს, სადაც მწვავედ გააკრიტიკეს „პოლიტიკური ცენტრის“ შექმნა. კრებაზე ემიგრაციის გაერთიანების საფუძველზე „ეროვნული ცენტრის“ დაარსების მიზნით ახალი კომისია შეიქმნა. ამ კომისიამ სხდომა გამართა 9 სექტემბერს, მასზე მოწვეული იყვნენ „ქართული პოლიტიკური ცენტრის“ წევრებიც, თუმცა ისინი არ გამოცხადნენ. კრებაზე დამსწრე ემიგრანტებმა სიტყვით გამოსვლისა თუ კამათის დროს თავისი პოზიცია დააფიქსირეს. სიტყვით გამომსვლელთა შორის იყვნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეტკორი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი, იუსტიციის მინისტრი რაფდენ არსენიძე, დამფუძნებელი კრების წევრები

ნოე ცინცაძე და გრიგოლ ურატაძე, სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი ნიკო ურუშაძე, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრი კალისტრატე სალია. მათ ისაუბრეს შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით ემიგრანტული ჯგუფების გაერთიანების აუცილებლობის შესახებ და ქართულ ემიგრაციაში არსებულ მდგომარეობაზე (1;32-40). კომისიამ იმავე წლის 20 ოქტომბერს ყრილობა მოიწვია (6;113).

20 ოქტომბერს, „სოსიეტე სავანტ“-ის დარბაზში გაიხსნა ქართული ეროვნული საბჭოს დამფუძნებელი კრება და I ყრილობა. გარდა დელეგატებისა, დარბაზი სავსე იყო დამსწრე საზოგადოებით.

ქართული ეროვნული საბჭოს დამფუძნებელი კრება გახსნა საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ რ. არსენიძემ. მან დამფუძნებელი კრების სახელით სთხოვა 6. ჟორდანიას მიეღო ქართული ეროვნული საბჭოს I ყრილობის საპატიო თავმჯდომარეობა.

ყრილობას დაესწრო 41 დელეგატი: 7 - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი; 7 - ქართველი გაერთიანებული სოციალ-დემოკრატების; 4 - სოციალ-ფედერალისტების; 4 - ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“-ს; 3 - დ. სხირტლაძე, მ. გოგორიშვილი და გ. წერეთელი („ახალი ემიგრანტები“) მოწვეულ იქნენ დელეგატებად საორგანიზაციო კომისიის მიერ. მოწვეულ იქნენ აგრეთვე დელეგატებად 4 უპარტიო. ქალაქ სომხეთში ქართველობამ გამოგზავნა 5 დელეგატი; ლონდონში - 2; ორანის ქართველობამ გამოგზავნა 5 დელეგატი; თურქეთში - 1; არგენტინაში - 1; იტალიაში - 1. ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ვერ ჩამოვიდა მიუწენის ქართველობის 4 დელეგატი. ამავე მიზეზის გამო ყრილობას ვერ დაესწრო დელეგატი ბრიუსელიდან. მათ მოასწრეს მხოლოდ მისალმების გადმოგზავნა. აშშ-ის ქართული კოლონია მილოცვასთან ერთად სთხოვდა ყრილობას წაკითხულიყო, როგორც დამსწრე დელეგატის ხმა და მათ მიერ მიღებული დადგენილება ეროვნული საკითხის შესახებ, რაც შესრულებულ იქნა. ამრიგად, არ დარჩენილა ქართველობის არც ერთი სათვისტომ, რომ არ ყოფილიყო წარმოდგენილი საბჭოს ყრილობაზე, ან უშუალოდ, ან მანდატების გადმოგზავნით. დამსწრეთა შორის იყვნენ საგანგებო ბარათებით მოწვეული ეროვნული მთავრობის მთელი

შემადგენლობა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელ-ჩი საფრანგეთსა და იტალიაში აკ. ჩხენჯელი, პარიზის კოლერნიინ გამგეობა და ეროვნული მთავრობის თანამშრომლები: უენევიდან - ხ. შავიშვილი და ინგლისიდან - ა. გუგუშვილი (9;1).

საყურადღებოა, რომ ყრილობას ესწრებოდნენ ეროვნულ-დე-მოკრატიული პარტიის წევრებიც, მხოლოდ არა როგორც პარტიის ნარმომადგენლები, არამედ როგორც კერძო პირები (6;113).

ქართული ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ თავმჯდომარებად: ვლ. ბაქრაძე, კ. გვარჯალაძე და დ. სხირ-ტლაძე. მდივნებად - ვ. ინწკირველი, გ. ბოლქვაძე და თ. ანთაძე. არჩეულ იქნა აგრეთვე სამანდატო და პოლიტიკური კომისია (9;1).

ყრილობაზე მილოცვით საქართველოს ეროვნული მთავრობის დავალებით და მისი სახელით გამოვიდა ევ. გეგეჭვორი. მთავრობის განცხადებაში ნათქვამია (9;1) (სტილი დაცულია):

„30 ნელინადზე მეტია, რაც ქართველი ერი, საშინელ პირობებში იბრძვის სამშობლოში უცხო ულლიდან განთავისუფლებისათვის.

ამავე დროს მისი კანონიერი, საზღვარგარეთ გამოხიზნული მთავრობა, პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად, ქართულ საკითხების პროპაგანდას ენევა უცხოეთში და ოფიციალურ წრეებთა წინაშე იცავს ქართველი ერის უფლებას.

დღეს საქართველოს საკითხს ყოველგან იცნობენ და მის მდგომარეობას თანაუგრძნობს კაცობრიობის მოწინავე ნაწილი: სახალხო კრებებზე, კონგრესებზე, პარლამენტებში, ერთა ლიგაში, თავისუფალ პრესაში - ყველგან მრავალი რეზოლუციებია გამოტანილი საქართველოს სასარგებლოთ და მრავალი დასაბუთებული წერილი და წიგნებია გამოქვეყნებული მისი უფლებების დასაცავათ.

თუ ყოველივე ეს დღემდის საქართველოს მიმართ მხოლოდ ადამიანურ თანაგრძნობის დემონსტრაციით შეგვეძლო ჩაგვეთვალა, მეორე ომის მომყოლმა ამბებმა მდგომარეობა შესცვალა; გაიფანტა ილიუზია საბჭოთა რეჟიმის დემოკრატიათ გადაკეთებისა და ბრმათათვისაც აშკარა შეიქნა მოსკოვის იმპერიალისტური ზრახვები; საბჭოთა კავშირი განათლებულ კაცობრიობას და

საერთაშორისო დემოკრატიას დაუპირდაპირდა და ისინი თავის  
ნინააღმდეგ დარაზმა.

დღეს ჩვენ მარტონი არა ვართ; საქართველოს საკითხი  
უბრალო თანაგრძნობის სფეროდან გამოდის და იგი საერთაშორისო სამართლის და ერის გათელილ უფლების აღდგენის საგნად  
გახდა; ჩვენს და ჩვენსავით უფლება აყრილ ერთა მოთხოვნას  
ემატება ხმა და ძალა საერთაშორისო დემოკრატიის. ჩვენ ყოველ  
გვარად ხელი უნდა შეუწყოთ მოწინავე კაცობრიობის ამ ლტოლ-  
ვას, ჩვენი საკითხით უფრო და უფრო მის დაინტერესებას და  
საქართველოს სუვერენულ უფლებების მის მიერ მხარის დაჭერას.

ჩვენ უნდა გამოვაცოცხლოთ და გავაძლიეროთ ჩვენი კავშირი  
საბჭოთა რესპუბლიკის ყველა დაჩაგრულ ერებთან; ჩვენ ხელი  
უნდა გავუწოდოთ ყველა მათ, ვინც საბჭოთა ტირანიის ქვეშ  
იტანჯება და მის ნინააღმდეგ იბრძვის; ვინც მოსკოვის რეჟიმის  
დამხობას მიზნათ ისახავს, ჩვენი მოკავშირეა, თუ კი ის არ უარ-  
ყოფს ერთა თვითგამორკვევის უფლებას და არ ებრძვის მოსკოვის  
პირველ მსხვერპლის, საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას.

სამუშაო ბევრია და პასუხისმგებლობა მეტად მძიმე. ეხლა  
ჩვენი ძალების გაათკეცებაა საჭირო. ამიტომ ჩვენ სიამოვნებით  
ვეგებებით დღევანდელ წამოწყებას და ვიმედოვნებთ, რომ პო-  
ლიტიკურ ემიგრაციის გაერთიანებული ორგანო შემოკრებს თავის  
ირგვლივ ემიგრაციის ყველა სასიცოცხლო ძალებს და მათ  
ქვეყნისათვის საჭირო მუშაობაში ჩააბაშს. დღევანდელი თქვენი  
ყრილობა, ეს პირველი ცდა უცხოეთში ქართველობის თავის  
მოყრისა, თავდებია იმისა, რომ ამიერიდან ქართველ ემიგრაციის  
ფართო წრეები, რომელთა გაერთიანებას ჩვენ მუდამ ვცდილობ-  
დით, ერთ სულოვანათ იმუშავებენ საქართველოს განთავისუფ-  
ლების საქმეზე.

საქართველოს ეროვნული მთავრობა თავის მხად არის  
ხელი შეუწყოს თქვენს მუშაობას, კარი შეუღოს მას ყოველგან,  
სადაც თვითონ მიესვლება და თავისი ფორმალური უფლება და  
დიდი ხნის გამოცდილება თქვენთან ერთად საერთო საქმეს  
მოახმაროს” (9;2).

ყრილობამ გასტანა 2 დღე, ჰქონდა 3 საერთო სხდომა და  
დაამუშავა ყველა ის საკითხები, რომელიც იდგა მის ნინაშე. მან

მიიღო ერთხმად საორგანიზაციო კომისიის მიერ შემუშავებული საბჭოს წესდება მცირე შესწორებით (პროექტი ამ წესდებისათვის დროზე დაეგზავნა ყველა სათვისტომოებს). წესდების მუხლობრივი განხილვის დროს, ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენელთ და აგრეთვე უპარტიოთაც - სრული საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია როგორც პრინციპულ, ისე საორგანიზაციო საკითხების შესახებ. ამ საკითხების შესახებ მომხდარი აზრთა გაცვლა-გამოცვლა მეტად საინტერესო და შინაარსიანი იყო.

ყრილობამ მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი და მათ შორის სპეციალური დადგენილება - ეთხოვოს ეროვნულ მთავრობას წარმოაგზავნოს თავისი წარმომადგენელი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მუდმივი მონაწილეობისათვის. თანახმად ამ მიმართვისა, მთავრობას აღმასრულებელ კომიტეტში წარმომადგენდა ევ. გეგეჭკორი. საბჭომ დაავალა აგრეთვე თავის კომიტეტს გაემართა მოლაპარაკება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან, მისი ეროვნული საბჭოს || ყრილობაზე მოწვევის მიზნით, რომელიც უნდა შემდგარიყო არა უგვიანეს 6 კვირისა (1951 წ. 1-2 დეკემბერს, - ე. ნ.). დაბოლოს, ყრილობამ აირჩია „ქართული ეროვნული საბჭოს“ აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი პირებისაგან: კ. გვარჯალაძე, გრ. ურატაძე, ნ. ცინცაძე, რ. არსენიძე, დ. სხირტლაძე, გ. კერესელიძე, კ. სალია და ნ. ურუშაძე (9;1).

1951 წლის 20 ოქტომბერს დაწყებული ყრილობა 21 ოქტომბერს „ქართული ეროვნული საბჭოს“ შექმნით დასრულდა. მის შემადგენლობაში გაერთიანდნენ - სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, დამფუძნებელი კრების წევრები, „ქართული ახალგაზრდული თაობის დემოკრატიული ორგანიზაცია“ და „თეთრი გიორგი“ (რუსულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკითხზე შეუთანხმებლობის გამო ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ 1952 წლის 5 ივლისს „ეროვნული საბჭოს“ შემადგენლობიდან გამოვიდა). „ქართული ეროვნული საბჭო“ საქართველოს მთავრობის სახელით გამოიდოდა და ნოე უორდანის გარდაცვალების შემდეგ (1953 წ.) ერთგვარად მის მემკვიდრედაც იქცა. ეს იყო ქართული ემიგრანტული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს დამოუკი-

დებლობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგაც განაგრძობდა არსებობას, მისი ხელმძღვანელის, მიუნხენში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენლის, კარლო ინასარიძის (1919-2007 წე.) გარდაცვალებამდე.

ამრიგად, 1949 წელს დაწყებული ქართული პოლიტიკური ერიგრაციის გაერთიანების პროცესი 1951 წელს საპირისპირო შედეგით დასრულდა. საქართველოს ეროვნული თავისუფლების აღდგენისათვის ბრძოლაში საჭირო და აუცილებელი იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გაერთიანებით ეროვნული ბრძოლის მაკონდინირებელი ორგანოს - ერთიანი „ეროვნული ცენტრი“-ს დაარსება. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას კი გაერთიანებული „ეროვნული ცენტრის“ ნაცვლად ორი ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია - „ქართული პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“ („ქართული ეროვნული ცენტრი“) და „ქართული ეროვნული საბჭო“ შეემატა, რაც, გარკვეულწილად, საქართველოს ეროვნული თავისუფლების აღდგენისათვის ბრძოლაში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთგვარი პოლიტიკური მარცხი იყო; მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია თანხმდებოდა, რომ გაერთიანება მათი წარმატების წინაპირობად უნდა ქცეულიყო, მის განხორციელებას ვერ ახერხებდა. ქართული ემიგრაციის გაერთიანებას ხელს უშლიდა ემიგრანტთა შორის არსებული წინააღმდეგობრივი ურთიერთობები, რაც ხშირ შემთხვევაში სუბიექტური ფაქტორებით იყო განპირობებული. ქართველი ემიგრანტი გიორგი (გოგი) წერეთელი სამართლიანად აღნიშნავს: „რა დასამალია, რომ უთანხმოება არა პრინციპული-იდეოლოგიური ხასიათისა იყო, არამედ პირადული... კერძო ანგარიშები, პირადი ამბიციები და ურთიერთშორის კინკლაობა პირველობისათვის, ეს ჩვენი ისტორიული მტერი მოგვდგამს აქ ემიგრაციაში და მოსვენებას არ გვაძლევს“. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებად და ორგანიზაციებად დაქსაქსულობის პირობებშიც ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას არ შეუწყვეტია საქართველოს დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა. ისინი კვლავ ცდილობდნენ ხმა მიეწვდინათ მსოფლიოს სახელმწიფოების მთავრობებისა და საზოგადოებისათვის და მხარდაჭერა მოეპოვებინათ.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ეროვნული საბჭოს შესადგენად, უ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, №10, 1951 წ., გვ. 32-40.
2. ეროვნული ცენტრი, უ. „ივერია“, პარიზი, №2, 1949 წ., გვ. 2, 4.
3. ეროვნული ცენტრი უცხოეთში, უ. „ივერია“, პარიზი, №3, 1951 წ., გვ. 13.
4. კორძაია ალ., ქართული მთლიანობისათვის, უ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, №7, 1950 წ., გვ. 36.
5. პატარიძე ელ., ჩვენი პოზიცია და ეროვნული ერთობა, უ. „ივერია“, პარიზი, №3, 1951 წ., გვ. 11-12.
6. პირველი ეროვნული ყრილობა პარიზში, უ. „მამული“, ბუენოს-აირესი, №4, 1951 წ., გვ. 113.
7. უ. „ივერია“, პარიზი, №1, 1949 წ., გვ. 3.
8. სარჯველაძე პ., ისევ ერთობაზე, უ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, №10, 1951 წ., გვ. 21-22.
9. ქართული ეროვნული საბჭო, ბიულეტენი, №1, პარიზი, დეკემბერი, 1951 წ. (BULLETIN, №1, París, Décembre, 1951.), გვ. 1-2.

## სალომე ბერიძე

დარა ასპინძის მცხოვრებთა მეყულება\*.

մորթոլոցից անձնությունը տեղուած է նույնականացնելու համար գործադրության մեջ:

თემის ნიშნების საკითხი აქტუალურია ჩანგრილი მასალის მიხედვით. ეს პრობლემა მეცნიერთა მიერ ათრისა არ არის.

„ჯავახურისათვის დამახასიათებელ ზმის ყველა თავისებურებათაგან თემის ნიშნების მონაცვლეობა უფრო საყურადღებოა. თემის ნიშანთა მონაცვლეობა იმდენად თავისებური და თავისუფალია ჯავახურში, რომ ამ პროცესისათვის რაიმე კანონზომიერების გამოძებნა ჭირს. სხვა ქართული კილოებიდან ანალოგიური მდგომარეობაა მესხურში, ქართლურსა (უფრო მეტად გომარულ კილოკავში) და კახურში“ (ბერიძე, 1988:111).

„თემატური ნიშნების ხმარების საერთო სისტემა იმდენად არის სახეცვლილი, მათი ნაირ-ნაირი მონაცემება ისე შორს არის ნასული, რომ ზოგჯერ საჭირო ხდება საგანგებო დაკვირვება, რომ საქმის ნამდვილ ვითარებაში გაერკევე“ (მარტინოსოვი, 1984:75).

„პირველ სერიაში მონაცემებენ ყოველთვის შემდეგი ოქმის ნიშნები: -ავ სუფიქსის ნაცვლად გვაქვს -ამ: მაგალითები: ჰეფარამს, მყამს, ხნამ, ჩავიხედამ“ (ბერიძე, 1988:112).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ეხლა იქ სადღაც გდია, თორე, ჩემი, დაგანახამდით“, „დავახურამდით ისევ პირსა, დახურებული, ესე ის ქონდა, როგორც ციცხვი, აპა“, „მოვჰერამდით მარლას, დავამხემდით სუფთა ფიცარზე, ასე დავაყირავებდით და ის შრატი გამოიწურებოდა, გამოიწურებოდა და შიგ რჩებოდა სუფთა ყველი“, დვრიტას ვეძახით, ძროხა, ცხვარ რო დაკლავ, იმის იმას ამოიღებენ და ეხლაც

\* გაგრძელება, დასაწყისი იხ. „არავი“ №29.

ვიღებმთ ხოლმე მაგასა და ვინახამ“, „თვითონ მთლიანათ ამას საჩეჩელს ვეძახით, რო ვჩეჩამთ“, „ამ მატყულსა, რო ვატრიიალამ-დით და დავართამდით, გავა, გავა, ასე რო ასწევ, ამ გაჩეჩილ მატყულსა“, „ადუღებდნენ წყალ დიდი ქვაბით, დასდგამდნენ“, „ისე ვართამდი, ვჩეჩამდი, წინდებს ვქსოვდი“, „ზეიმზე ვცეკვამდით ვთამაშობდით, ხალხი ერთობოდა“, „კაცები ვთიბამდით, ქალებიც აფოცხებდნენ თივას“.

იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ჭურები ქონდა ჩასხამდენ შიდა ლვინოს და ქეიფობდნენ“, „საცივს უნდა კაკალი, ცოტა ფქვილი, ნიგოზი, იმას დანაყამ, გაატარებ მაშინკაში, მაშინ როდინი ვიცოდით, ჩავნაყავდით“.

ჩამოსახლებულ იმერელთა მეტყველებაში გასარკვევია, აღნიშნული თემის ნიშანი მოჰყვა მათ იმერული დიალექტიდან თუ ადგილობრივი დიალექტის გავლენის შედეგია.

„ამ სუფიქსი (<-ავ) გვევლინება -ემ-ად უნყვეტელსა და კავშირებითში. მაგალითები: ნახემდა, დაჲკურემდა, მოჰპარემდის, ვთესემდით“ (ბერიძე, 1988:112).

ეროვნულთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ვთიბავდით, თიბემდნენ, ვაფოცხებდით მოსავალს, კალოს ლენავდნენ“, „დავასხემდით წყალ, ჩავყრიდით შაქარს“, „გავატარებთ, წინათ სეფერატორი არ იყო ტაშტებზე დავასხემდით, დიდ-რონ ტაშტებში, გობებში“, „დავპნურავდით რძეს, ჩავასხემდით შიგ და დავდგამდით“, „ვრეცხავდი ზაფხულისას, რო გავრეცხემდით, ეს მთლიან მატყლი რო არი, დავასველებდით იმას, დავდემთ ქვაზე“, „ყველი რო მოდის, რო ცოტა ამას დავასხემდით, რო კარგი ჩეჩელი მოვიდეს, ისე რბილდებოდა“, „ტანსაცმელსაც რო ლეპემდენ ხოლმე და სპეციალურად ფარდაგის სტვისაც იყიდებოდა ფერები მაღაზიებში“, „ხახვ მოუწვენდნენ, მოშუშავდნენ დასხემდნენ, მშვენიერი მაიხოსი საჭმელი იყო, ცოტა მუავე“, „მაღარი ძირები დაარქვეს, სათიბები იყო, თიბემდნენ, ჩვენც კი მოგვითიბია“, „ფონას ვუძახდით, იქ წყალი ხო ჩამოდის სათიბები იყო და ხალხს კერძო ყანები ჰქონდა, ბოსტნებ თესემდნენ“, „ქართველებ ხოცემდნენ და სტალინის ბრძანებით გაასახლეს სულა, ყაზახეთში ეს თათრები“, „რასაც ვთესავდით ჭირნახული, ხორბალი, ქერი, ქალები აფოცხებდნენ, ჩვენც ვთიბემდით“. *თბილისი სამუშაო*

**ხიზაპავრელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები:

„ფიცრები, ესე გარანდული, კაი ლამაზი ფიცრები, გარეცხილი, განკრიალებული და **დავასხემდით ზევიდ...**“ „ტყლაპს გადაკი-დავდი, მერე ლამაზათ, ხოო და გაშრებოდა ლამაზათ, მიიტანდი, კაი პარკებში შეფუთენდი, შეინახემდი და ჭამდი“, „დედიკო, მოგ-ვისვემდა ამ გოგვიებს, სუყველასა და თვითონ ქსოვდა, ართავდა, კერავდა“.

„**ვ3** ტიპი, რომელიც ჯავახურში **-ემ-** შეუცვლია, „ვეფხის-ტყაოსანში“ რუსთველისათვის ჩვეულებრივი ფორმაა ნამყო უს-რულში. თუმცა ა-ს მაგიერ ზოგჯერ ი-ს ირთავს ვინი: მაგალითად, „მას თინათინის შვენება კლევდის ნამწამთა ჯარისა“. „მე ვკით-ხევდი, ფრიდონ მეტყვის მართ ამბავსა ესოდენსა“. „ვერას ვხე-დევდი, ოდენ ხმა მესმოდა საუბარისა“. ჯავახურში აღნიშნული ზმნები **-ევ** თემისნიშნით იქნებოდა ასე: კლემდა ხოლმე, ვკით-ხემდი, ვერაფერს ვხედემდი“ (ბერიძე, 1988:112).

„**ჯავახურში -ემ** თემისნიშნიანი ფორმები „ვეფხისტყაოსნის“ **-ვ3** ბოლოსართიანი ზმნებია. ზუსტად მსგავსი ვითარებაა მეს-ხურში, **-ემ** ზმნის თემის ნიშნად გვხვდება ქართლურში, ზემო-იმერულში, აჭარულში და კახურში, ხოლო **-ვ3** ტიპის ნამყო უნ-ყვეტელის ნარმოება დასტურდება ხევსურულში, მთარაჭულსა და ფერეიდნულში“ (ბერიძე, 1988:112).

„**-ებ-** ს თითქმის მუდამ ენაცვლება -ამ. მაგალითები: ვილაპა-რაკამ, დავატრიალამ, ათამაშამს, დავკიდამ, გაგაქვავამს, დაიხ-რუტუნამს..., მაგრამ პროცესი იმაზე არ ჩერდება. -ამ უწყვეტელ-სა და კავშირებითში, მსგავსად -ამ თემისნიშნიანებისა, იქცევა -ემად. მაგალითები: ვაგემემდი, მატყვილემდა, გაიგემდი, აღამემ-და, ინანემდა, გვანვალემდეს, კლემდა, ვაკეთემდი...“ (ბერიძე, 1988:113).

**ერკოტელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები:

„საჭმელები, სუ ნატურალური, ჩვენი, რაც ეხლა ვაკეთამთ ყვე-ლაფერსაც ვაკეთებდით“, „რო ამოვილებდით, ამოდიოდა თხელი ცოში, მერე კოვზით ასე გამოვილემდი“, „დვრიტას ვეძახდით მა-გასა და მაგით ვაყენებდით, ისე აყენამს ყველსა, რო რა ვიცი“, „მერე რო ყველს ვაკეთამთ“, „მერე დავართავდით, ასე ვატრია-ლამთ ხელით, ხერტალს ასე დავაბზრიელდთ და ტრიალებს“,

„ეხლა მოიტანს და განახამ, ხოდა მერე ამ მატყულსა რო ვატრინა-ლამდით და დავართამდით გავა, გავა, ასე რო ასწევ, ამ გაჩერჩილი მატყულსა“, „პატარა ქილა გვქონდა ხოლმე, ქოთანივით და იმაში ვაკეთამდით, გინდა ბანკაში გააკეთე“, „ამ ხეზე ხელს მოვკიდამდით და ვატრიალებდით და ესე, მარცვალს რო ჩავყრიდით, შუა-შუა დატყდებოდა, ხოდა ამას კორკოტს ვეძახდით“.

**სიზაბავრელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები:

„ჩახოხბილს გემოზე ვსჭანდი, ეხლა ვაკეთამ და ისეთი მაინც ვერ გამიკეთებია“, „აკეთემდნენ ნართებს, მატყულს, საჩეჩელი ქონდათ, ლამაზათ ჩეჩავდნენ“, „პიტნას ზოგჯერ ჩავყრი ხოლმე ნედლსა დავაყენამ ლამაზ წვენსა და მივიტან, ჩავასხამ ჩაიში და ვსვავ ხოლმე ეგრე“ „დაფქვავდნენ ქერს, ქერის ფქვილს მიიტანდნენ, გამოაცხემდნენ პურებს“, „პურის არაყსაც აკეთემდნენ“, „როგროც ძველი თაობა მუშაობდა, აკეთემდა, შრომობდა, ეხლა ვინდა გაგიკეთებს მაგდენს დედა“, „სამი ის იყო, დეპუტატი, შვილო, და ახლა, ახლა ქალო, ვაიმე, გაგაგიუაშს ეს ხალხი, გამანაებე შვილო თავი“, „ეს თათრები მოვიდნენ, დაინახეს ესა და ო ამ სოფელს ჩვენ ვერ ავიღემთო და უკან გაქცეულიყვენენ“.

„მორფოლოგიური მონაცვლეობის შემდეგ (ებ->ამ, ამ->ემ) ხდება ფონეტიკური მონაცვლეობა (ამ->ან, ემ->ენ), ე.ი. მანს ენაცვლება ნარი (შდრ. გოგონ, ხენწიფენ...) და ვიღებთ შემდეგ ფორმებს: ებ->ამ->ან: გააკეთანს, შეგიშვანს, აპრიალანთ, აგიკიდან... ებ->ემ->ენ: შესძლენს, გაიგენს, დაიგენდა, ავიღენთ, ვაპატიენდი...“ (ბერიძე, 1988:113).

**ერკოტელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები:

„სუპსაც ვაკეთენდით, რძით ვაკეთენდით, რძიან საჭმელებს, ძიან კორკოტს ვეძახდით“, „გაცრილ სიმიდის ფქვილს, ამოვუკიდენდით და გახდებოდა როგორც ლომი, ოლონც ცოტა თხელი“, „წყალი ადულდებოდა, თხლათ, იემ სითხლეთ, ამას დავდიგმენდით, იმოდენა, იმოდენა ნაჭრებად, ჩავდენდით ამ წყალში“, „გაზაფხულით რო ცხვარ გავპარსამთ, რო აიღემ ამ მატყულსა, დიდია, ასე მთლიანი და მაგის ბენვი არ გამოდის ლოგინიდან, მაგას საპანში უდემდით და ლეიბი შემოდგომისაა“, „დავდემთ ქვაზე და ესე, ამ სისქე პირი ააქ და ამ სიგრძე პირი ააქ და გრძელია ტარი, დავცხემდით, დავცხემდით, რო ისე ქაფდება? როგორც საპონი

ააქაფო, ის მატყლი ისე ქაფდება“, „დვრიტას ვეძახით ძროხა, ცხვარ რო დაკლავ, იმის იმას ამოილებენ და ეხლაც ვიღემთ ხოლმე მაგასა და ვინახამ“, „ეს ხო შრატში გდია, ეს იღენს, შრატს გემოს აძლევს თავისებურად, დვრიტა, დვრიტას ვეძახით ამას, ხომ და ამოვილენთ, იქნლა რომ თავ ყველს ვაკეთემდით, ერთ ვედრაზე, ერთ ოტკის ჭიქით ამოვილენდით, მივცემ დედას“, „გავჩეჩავდით საჩეჩელზე, საჩეჩელი არის, მაინც წამომელო დაგანახემდი, ხისა არი“, „აი ამას უკეთანთ ამაზე და ასე დავაბზრიალამთ“, „მატყლი, რო ვჩეჩავ საჩეჩელზე, ის უნდა გააერთიანო, მერე ასე დავაბზრიალამთ და ისე ბზრიალებს, რო ამას ვუკეთამ“, „თათრების დროს, არევ-დარევაზე ამოუქრიათ და იქ თავს აფარემდნენ“, „ჯეიზი ერქვა, ჯეიზი ამ ძღვენსა, აპილენდნენ ცხენს წამოილებდნენ, მზითევი რააა“, „პაპაშენი გააკეთენდა ყველსა, ქარაქს ჩამოიტანდა, ნანილდებოდა შრომა დღეზე“, „ხასი ესე, მერე რო გადმოვილენდით ჩვეულებრივ ჩანგლით მოჭრიდი და ჭამდი“, „გახასება, ესე იგი, ცხელ იმაში ხასდება უკვე, შვილო, როგორც ჩეჩილი ყველი, რბილდება ლამაზად და გადაიღემდნენ და ჭამდნენ“, „რძეს რო სეფერატორში გავატარებდით, შვილო, ის პატარა ხანი გავაჩერენდით, რო დახამდეს, სიმუავე მისცეს“, „დავსდებდით ჩეჩილ ყველ და დავწნიდით, ჩავდენდით მარილში, ეხლა რო მარტო ამოყვანილ ყველ ვაკეთამთ, ეგ რა არი“, „ჩვენ დვრიტა გვქონდა, ღორებს რო დაკლავდით, დვრიტას ამოვილენდით და სუფთად გავრეცხავდით, მერე დავამარილავდით და ვინახდით“, „მეორე დღეზე ბიშ გამოაცხენდნენ და ჩირის საჭმელ აკეთენდნენ“, „პალვას ვაკეთენდით, ქადებსაც ვაცხობდით, ლავაშს“, „გუდაში ჰოო, ცხვრის იმას, ცხვრის გუდაში, ცხვარ რო გავატყავენდით ისევე გამოგვყვანდა“, „ძალლი გელს არ უშვენდა ცხვარში, არ შეუშვანს“, „იქნლა იქ მიგია, ის ფარდაგი, თუ გინდა დაგანახამ“; „მერე გამოდიოდა მაგარი არაყი, მაგას, მერე აადულამდნენ წყალსა, გააციებდნენ და მაგით შეაზავებდნენ“, „ახალ წელს როგორ ავლიმნავდით და ხილი გვქონდა კაკალი, ვაშლი, მსხალი, არაყი და კაი საჭმლებ გააკეთამდნენ და აპა, აეგ იყო ახალი წელი“.

ხიზაპავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „შემოდგომის მატყლი, ლეიბში გამოიყენამ, პატარა, გრძელ

ძენვიანია“; „დედიკო შეყრიდა იმ შეშას და წაუკიდემდა ცეცხლს, მანამ ესე იგი ის ჩამნვარიყო, ცომიც ღვივდებოდა“, „ყველანაირ საჭმლებს მიმზადემდა დედიკო“, „ხინკალი, ორნაირსაც ამზა-დემდა, ესე იგი ხორცის ხინკალიც იყო, ყველის ხინკალიც იყო“, „დასჭრი, მოხრაკავ, ჩაუდენ პატარ-პატარა, გაშლი დიდ იმასა უხას, ჩაალაგებ შიგ ნაწილ-ნაწილ ხორცებს მოუჭერ ლამაზათ, ჩაალაგამ რამდენი გუნდაც იქნება, ეს ისა“, „ჩაუდემდი ერბოს, იმ წყალში ჩაალაგებდი, ლამაზათ და მორჩებოდა მეტი არაფერი არ უნდოდა, ზემოდან, გაშლილი ცომი დაახურენდი იმ იმისა და ლამაზათ იშუშებოდა აპა?“, „ყველს გადმოილემდი, დააყრიდი მა-რილსა და დატოვემდი სხვა თასში“, „მანქანა გაუშვემდა და ჩემი ძროხა ისე გადმოდიოდა, იმ გადმოსასვლელზე“, „ფქილს ამოუკი-თენდით, ცოტა სქელი მოსულიყო, რო ჩურჩხელა დაეკავებინა“, „კარგი ტყლაპს რო ვაკეთემდით, წვენს მოვადულებდით ჭანჭურის წვენსა“, „დედიკო გვიმზადემდა, ყველა კაი საჭმელსაც ამზა-დემდა“, „ჭინჭრის საჭმელსაც აკეთებდა დედიკო, ფლავსაც გვი-კეთემდა, ტყლაპის საჭმელსაც აკეთებდა“, „ტყლაპს დასჭრი კოხტათ, ჩაალაგამ წყალში, ეს წყალი ადულდება გაუკეთამ ხახვასა, ერბოს დაუწვამ, დაასხამ და დადგები და ჭამ“, „ფლავს ვაკეთემ-დით“, „ამოილებდნენ, გაანიავებდნენ გაახმებდნენ, შეინახემდნენ და კორკოტი გამოდიოდა მშვენიერი“, „ქორწილს განვაგრძამდით ლამაზათ, კიდე გავშლიდით სუფრას, ლამაზათ და სიამოვნემდ-ნენ...“, „ჩუქნიდა, რა ვიცი რო ითამაშემდნენ ფულს ჩუქნიდნენ, ბეჭდებს ჩუქნიდნენ, სამკაულებს ჩუქნიდნენ, მამინ ყველაფერი იყო“, „ჭაჭის არაყსაც აკეთენდნენ, სამნაირ არაყს, რა ვიცი აკეთენდნენ, როგორ არ აკეთენდნენ“, „აკეთენდნენ ხოლმენ კიდე ტყლაპის შეჭამადს“.

განხილული მაგალითები გვიჩვენებს, რომ ორივე უბნის საანალიზო ტექსტებში, თემის ნიშანთა ფორმებს არ სჭირდებათ მეორე საფეხურის გავლა, რომ მივიღოთ მესამე, -ენ; -ან ფორმები. ვხვდებით, როგორც მეორე საფეხურის ფორმებს, ასევე მესამე საფეხურისასაც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თემის ნიშანთა საერთო სისტემის სახეცვლილებას.

**ებ->ობ->ომ->ონ:** ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებუ-ლი მაგალითები: „ღუმელს რო დავანთობდით, იმ იმაში უნდა

გასულიყო და ასულიყო ამ იმაში ბუხარში”, „ბუხარს ვანთობდით ზაფხულში, როცა იმაშრობოდნენ, საჭმელ რამე რო გაკეთებულიყო, მაშინ ჩვეულებრივად ვანთობდით იმიტო რო არ გაცხელებულიყო”, „საჭმელ რამეს აკეთებდნენ ზაფხულში და იქ ფურნეს, ფურნეს ვანთობდით, პურს ვაცხობდით”, „კარები ჩაიკეტებოდა და მეორე მხრიდან ჰქონდა ცეცხლის დასანთობი, შიგ, თან გაანათებდა“, „აქეთ იყო ფორტოჩიკა, პატარა და აი აქ დაანთობდნენ ცეცხლს, რო მაქედან შიგნით ალს ეტრიალა და სითბო არ დაკარგილიყო”, „სანთლებ ეკლესიაშიც ანთობდა, სახშიც ვანთებდით ახალ წლად“.

საანალიზო ტექსტებიდან, მხოლოდ ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურდა თემის ნიშანთა ამ საფეხურის გავლა, პროცესი მეორე საფეხურზე ჩერდება და ვხვდებით მხოლოდ ერთ სიტყვაში „დანთება“.

„მსგავსი პროცესი მეორდება -ავ ბოლოსართის მიმართ და ვიღებთ ასეთ გრადაციას: ავ->ამ->ან: ხრანს, ჰგანს, ვიზანთ, შეირთანდა, ხედან... ავ->ემ->ენ: გვარტყენდა, გავრეცენდი, ვკლენდით, ნაიკითხენდა...“ (ბერიძე, 1988:113).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ხარს შეაბან და თოვით არის მოჭერილი, რო უღელში იყოს შებმული, აქედანაც მეორე ტოლი, მეორე ტოლი ხარი იყო შებმული და ასე ვლენავდით კალოს“, „ამ ყველ დავდგენდით ცეცხლზე, რო ცხელდებოდა მოვურევდით ციცხვითა“, „ისე თავ მოუდგენდით ასე, რო რამდენიმე დღე იქნებოდა ასე, მერე თანდათან იწევდა, ხო იტკეპნება“, „არ შეინახენდა, როგორც გინდა კარგი ნაცნობი ყოფილიყო“, „კარტოფილი და ხორბალი მოგყვანდა“, „ჩვენ საკიდი გვყანდა, საკიდი, ჯორი, ჯორ საკიდ ვეძახით“, „ქორნილი დავთქვენით, როცა დავთქვენდით და იმ დროს ავდგებოდით და მივდიოდით“, „გუდაში ჰორ, ცხვრის იმას, ცხვრის გუდაში, ცხვარ რო გავატყავენდით ისევე გამოგვყვანდა“, „ნახირში დავდიოდით, თუ მენახირე გვყანდა, მენახირეს დღიურით ვაძლევდით“, „ძალლები ჰყანდათ მენახირეებს“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ხო, ნმინდა ერბოში ჩაშუშენდი იმ იმას, ხახვსა, და მოასხემდი ზეიდან, მანონი თუ იქნებოდა, მოიდგენდი გვერძე დაასხენდი და

შექმდი ლამაზათ”, „დადგენდი ცოტახანს, შეთბებოდა ეს ყველა დედიანათ, მერე მოიყვანდი ხელით”, „ინდოურს ერბოში შესწავლი, შეპრანამდი ლამაზათ”, „დაასხემდი იმ წვენსა, მერე გააკეთემდი იმის წვენში, კავალს, დაფქვილ კავალს, მიიტანდი ჩაასხემდი იმ საჭმელში, ხოო და გედუღებინა ერთი ათი- თხუთმეტი წუთი გადმოგელო და იქნებოდა კარგი საცივეე”, „კორკოტს ვეძახდით მაგას, რძეში გააკეთემდი მაგასაც მოხარშენდი, დაასხენდი რძესა და ჭამდი”, „ეხლა რო პამინდორს ჩავხრაკანთ, იმისთანა გემრიელათ ჩახრაკამდა ჩემი დედიკო, იმ პამინდორსა, რო გადასარევადა”, „გოგოები ვინანილებით, ზოგი რა ვიცი პოლ გარეცხემდა, ზოგი ჭურჭელს რეცხავდა”, „ძროხები რო გვყამდა, კარაქს ვაბარებდით”, „ნავასხემდი კრავსა”, „აი რას ვწვამდით? მაშინ მიდიოდნენ ტყეში ბილეთს იღებდნენ გაიგე და დაამზადებდნენ გაზაფხულითა, შემოდგომით გამოიტანდნენ და იმას წვავდნენ”, „კალათას ჩაუკიდანდნენ, ან ერდოდან ან ბუხრიდან გაიგე?“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თემის ნიშანთა აღნიშნულ საფეხურებს ვხვდებით, როგორც ერკოტელთა, ასევე ხიზაბავრის უბნის მცხოვრებთა მეტყველებაში, თუმცა როგორც გამოიკვეთა, ხიზაბავრელთა მეტყველებაში გვხვდება მაგალითები, რომლებიც მეორე საფეხურზეა გაჩერებული და პროცესი მესამე საფეხურზე აღარაა გადასული. მაგალითად: „ჩახრაკამდა“, „შესწვამდა“, შებრანამდა“...

„ფონეტიკური მონაცვლეობა -მანის ნარით შეცვლა თემის ნიშნებში ნანილობრივ მესხურსაც ახასიათებს, ქართლურსა და კახურში, ზემოიმერულსა და აჭარულში არ დასტურდება“ (ბერიძე, 1988:113).

„ობ->ომ: კოჭლომს, ბუსხუნომდი, აფრთხომდით, ვახრჩომ, ამომს (ლაპარაკომ), ლოცულომდნენ, დავინყომ, ვაქრომდი, ვაპომდი...“ (ბერიძე, 1988:113).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „აქ ადგილი ვეღარ ვნახე, ბაღში გამიშვეს უფროს აღმზრდელათ და ვმუშაომდი პენსიამდე“, „მე რა ვიცი ვლაპარაკომდით თათრულად, მარა თათრული აღარ მახსოვს“, „ხაშლამა, კატლეტს, აცხომდნენ, ლულა ქაბაბ აკეთებდნენ, ვისაც რა შეძლება ჰქონდა

ისე აკეთბდნენ“, „თათრები არცერთი, საერთოდ მაგათ სწავლა ეზარებოდათ და ერთი რამდენიმე კომლი სწავლომდა“, „პირვეულად ცხოვრობდა შვიდით, ერთი მოხუცებული იყო, მოვესწარიო, რო შვიდი კომლი ცხოვრომდათ და მერე რო გამრავლდა, სხვა გვარის ხალხიც მოვიდნენ და ეგრე გახდა“, „ჩვენ ვცხოვრონდით ოთხი კომლი ერთად“, „უნაგირაზე ადიოდნენ და იქ ცხოვრომდნენ ერთი ორი თვე, რაა, დარჩებოდნენ იქ, ერბო-ყველ გააკეთენდნენ, მოდიოდნენ ისევ სოფელში“, „მაშინ მეთერთმეტე არ იყო, მეათე კლასამდე სწავლომდნენ, მერე ამთავრებდნენ“, „მაგალითათ ჩვენ სოფელში რო ცხოვრომდნენ თათრები, ჩვენთან ისე იყვნენ, რო როგორც ჩვენი ოჯახი“, „ფურნეში პურ ვაცხომდით, მაგალითათ რო გამოვაცხომდით ერთ კვირამდი ვსჭამდით პურსა“, „სომხები იყვნენ კუმურდოში, რამე, სულ იქ ახალქალაქში სწავლომდნენ“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ქორწილში თამაშომდნენ, ცეკვავდნენ და ყველაფერი მხიარულათ მიდიოდა“, „ფოსტაში მუშაომდა ცხრასი მანეთი ჰქონდა ხელ-ფასი“, „ხაექთონ დაამთვრებინა და დაიწყო აქ, მუშაომდა ერთი ორი წელიწადი, გადავავლე თვალი, კაი გოგოა და ვსიო“, „ვარ-გავში ვმუშაომდი მამინ“; „არ მღებულონდნენ როგორც პატარა, ვიყავი დაბალი, მაგრამ ცოდნით სავსე“.

„ობ სუფიქსი აწყმოსა და მომავლის ფორმებში იცვლება -ომ//-ონ ბოლოსაართებით, მაგრამ უწყვეტელსა და მისგან ნაწარ-მოებ მწკრივებში არის პარალელური ფორმები -ემ//-ენ ბოლო-საართებით ვაქემდი//ვაქენდი ტიპის ზმნებსა, რომელთაც || კავ-შირებითი ო- თი აქვთ ნაწარმოები (ვაქრობ-გავაქრო...)“ (ბერიძე, 1988:114).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „პურსა გავარჩევდით ლამაზად, გავრეცხავდი, დავალბემდი, სუ დავასველებდი წყალში და ჩავნაყავდი, ჩავნაყავდი, რო ფერფლი ეცლებოდა“, „ერბოში ეხლაც ვაცხემთ ბიში, ლუუშმს ვეძახდით“, „დავამხემდით სუფთა ფიცარზე, ასე დავაყირავებდით და ის შრატი გამოიწურებოდა, გამოიწურებოდა და შიგ რჩებოდა სუფთა ყველი“, „პურის ცომით, დამუავებული გვქონდა პურის ცომი, მანამ დროუი შემოვიდა, ვაცხემდით“, „ჯერ მაგას გამოვაცხემდით, კიკილს და იმის მერე, ამას შევჰყრიდით“, „ეხლაც ხო ვაცხემთ

კონვერტს დედა, კაკლით ვაცხემთ“, „ჩაუდებ ამ გულსა, მოუკრავთავს, გააბრტყელავ, გამოაცხებ და ჭამ ქადას“, „ერთი გოგონა, მე მაჩუქეო, მე გავათხვიერმო“, „მოვახოვდით, გავახმენდით, მერე დავჭრიდით წვრილათ და გავახმენდით ერიშტას უძახდით“, „მერე გამოვაცხენდით საჯზე ლავაშ, ლავაშ გამოვაცხენდით, უხას“, „დვრიტას ამოვიღენდით და სუფთად გავრეცხავდით, მერე დავმარილავდით და ვინახდით, ვახმენდით რო არ გაფუჭდეს, სახლის ტემპერატურა ახმენდა“.

„მსგავსად -ავ, -ებ თემის ნიშანთა მონაცვლეობისა, პროცესი გრძელდება ფონეტიკური მონაცვლეობით. მანის ადგილს ნარი იყავებს: ობ->ომ->ონ; ამონ, მვუშაონდი, მოძრაონს, ვაჭრონდა, შიამკონს, ქეიფონდა, ღებულონდა“ (ბერიძე, 1988:113).

ერთფორმიანობისაკენ სწრაფვა ძირითადი ბიძგის მიმცემია თემის ნიშანთა მონაცვლეობისა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ტენდენცია -ობ სუფიქსი შეიცვალოს -ებით და შემდეგ -ემ, -ენით: ობ->ებ->ემ->ენ; ვათბემ//ვათბებ//ვათბენ, შიატყემდეს//შიატყენდეს, აშრებდი//აშრემდი//აშრენდი ... (ბერიძე, 1988:112).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „დოს გაახმობდნენ პატარ-პატარა მუშტებად, აიღებდნენ ესე პატარ პატარებს, ცოტა დიდებს ამაზე, გაახმებდნენ და ამას ერქვა ყურუთი“.

ხიზაპავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ოონეც ქვონდა, ქადასაც ვაცხებდით დედიკოჯან, პურს ვაცხებდით, ნაზუქებს ვაცხებდით, ნამცხვრებს ვაცხებდით ყველაფერი თუ რამე იქნებოდა“, „ხო, ნაზუქებიც, როგორ ვაცხებდით დედოკოჯან, რძეში მოვზილავდით კვერცხში“, „პურს, მოზილავდნენ, პურის ცომსა და მოზილავდნენ ცომს, გაღვივდებოდა ცომი და გამოაცხებდენ ფურნეში“,

„-ემ და -ენ ფორმებს უნდა გაევლოთ -ევ საფეხური, რომელიც თავს იჩენს -ავ თემისნიშნიანი ზმნების უწყვეტელსა და კავშირებითში (კველევდი, ვთესევდი, ვკვლევდე, ვთესევდე...). ეს საკითხი რომ უტყუარია, ამას მოწმობს კანტიკუნტად დადასტურებული მაგალითები -ევ თემის ნიშნიანი ფორმებისა: „-გავაკეთემდი, შვილო, საპონს და ხვალე დაგირეცხევდი“ (ბერიძე, 1988:114).

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის ბრძანებულება

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „მმ  
ჩვენ ნასახლარში, მეც ბოსტანი მქონდა, ზედ ვთესევდი“ და

„ხშირად არა, მაგრამ იშვიათად მონაცემებენ: ავ-ეპ: მიხე-  
დებენ, ართებენ, ნახებენ“ (ბერიძე, 1988:115).

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:  
„გავშლიდით, კოხტათ, დიდ უხას, დავასხებდით ერბოს“, „ცომი  
პურებს შევინახებდით და იმაში ჩაურევდით და აფუებდა და ის  
ლამაზათ“, „

ოვ-გომ-ეონ: ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული  
მაგალითები: „იქ წყარო, მე იქ აღარაფერი მახსომ დედიკოჯან,  
აღარ ვიცი“, სოლიკაური მოდიოდა, შავი ყურძენი იყო, აიი, რო-  
გორ გითხრა გრძელი ყურძნები ცხენის ძუძუს ეძახდნენ მაგას,  
ხოდა ახლა სადღა მახსომს, აღარაფერი არ ვიცი“, „აი ეხლა აღარ  
მახსომს რამდენ-რამდენს ანაწილებდნენ, მაგრამ ეგეთი რამე  
იყო“. „

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:  
„უაკეტებს იქსომს“. „

„თემის ნიშანთა მონაცემების განხილვის შემდგე იბადება  
კითხვა: რით ავხსნათ ის გარემოება, რომ -ავ შეცვლილა -ამ//-ან  
ბოლოსართებით, ხოლო -ავ, -ებ თემის ნიშნების მაგივრობას  
ასრულებენ -ემ, ენ სუფიქსები?“

ვინის მანით შეცვლა ესაა მეტყველების ტენდენცია, ფონე-  
ტიკური პროცესია, რომელიც ამაზე არ ჩერდება და მაინც ნარით  
იცვლება. ჯავახელთა მეტყველება ისწრაფვის წყვილბაგისმიერი  
მანი და კბილბაგისმიერი ვინი შეცვალოს ენაკბილისმიერი ნარით.

ახლა, რამ გამოიწვია -ებ-ის -ამ//-ან ბოლოსართებით შეცვლა,  
ესეც ფონეტიკური პროცესი ხომ არაა? -არა! ამ შემთხვევაში  
მორფოლოგიური მონაცემებაა, რაც გამოწვეულია იმით, რომ  
„თვით ეს ტენდენციაა, ზოგიერთი თანაბარი მნიშვნელობის სხვა-  
დასხვა სუფიქსი ერთ ფორმაში ჩამოაყალიბოს“. „

მეორე საინტერესო საკითხი თემის ნიშნების მონაცემეო-  
ბასთან დაკავშირებით არის პროცესის სადაურობის საკითხი.

თემის ნიშანთა ასეთი მონაცემება უნდა იყოს საერთო  
ქართლური მოვლენა, რომელიც ყველაზე უკეთ ზემო და ქვემო

ქართლში დაცული, ხოლო შიდა ქართლმა ანალოგით ან მე-  
ზობელი დიალექტების გავლენით -ამ სუფიქსით შეცვალა -ებ-ების  
ეს პროცესი ქართლის ყველა დიალექტში ადგილობრივი ხასია-  
თისაა, თუმცა თითოეულში მეტნაკლებადაა განვითარებული. ყვე-  
ლაზე მცირედაა შიდა ქართლში, უფრო მეტადაა ქვემო ქართლში,  
ხოლო განვითარების უმაღლეს საფეხურზეა ზემო ქართლში -  
ჯავახეთსა და მესხეთში. ჯავახურსა და მესხურში -ამ//-ან და -  
ებ//ენ ისევე პროდუქტიულია, როგორც სალირერატურო ქარ-  
თულსა და სხვა დიალექტებში -ებ სუფიქსი (მაგალითად, სახლი -  
ვასახლამ <- ვასახლებ, ზიგზაგი -> ვაზიგზაგამ <-ვაზიგზაგებ,  
ასევე ვაზიგზაგებდი//ენდი, ვასახლემდი//ენდი...)" (ბერიძე,  
1988:116).

## დასკვნები

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის „დაბა ასპინძის მცხოვ-  
რებთა მეტყველება“ მიზანი იყო, შეგვესწავლა მორფოლოგიური  
და ფონეტიკური პროცესები, დაბის მცხოვრებთა მეტყველებაში  
და გაგვეანალიზებინა ის მსგავსებეა-განსხვავებები, რაც მცხოვ-  
რებთა მეტყველებას ახასიათებს აღნიშნული პროცესების დროს.

ჩანსერილი ტექსტების კვლევამ დაგვანახა, რომ სამივე უბანს  
ახასიათებს საკუთარი, ინდივიდუალური მეტყველება, თუმცა  
გვხვდება საერთო ფაქტებიც, რა შემთხვევაშიც სამივე უბანში  
მორფოლოგიური და ფონეტიკური ანალიზის შედეგად მსგავსი  
პროცესი დასტურდება.

კონკრეტულ მორფოლოგიურ და ფონეტიკურ პროცესთა შეს-  
წავლამ შესაბამისი დასკვნები გამოგვატანინა:

თანხმოვანთა დაკარგვის დროს: ბგერა ვინის დაკარგვა სამივე  
უბანში ერთნაირად მიმდინარეობს და იგი იკარგვის უმეტეს  
შემთხვევაში ო, უ და ე ხმოვნებთან მეზობლობაში, საერთო მაგა-  
ლითად შეგვიძლია დავასახელოთ სიტყვა „ქვეიდან“, რომელიც  
სამივე უბანის მცხოვრებთა მეტყველებაში დასტურდება.

ასევე დადასტურდა შემთხვევები, როდესაც ბგერის დაკარგვის პროცესი ორ უბანში ერთნაირად მიმდინარეობს, ხოლო მექანიზმე უბნის მცხოვრებთა მეტყველებაში ის საერთოდ არ გვხვდება. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სანის დაკარგვა. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტი არ ახლავს პრეპოზიციულ მსაზღვრელს, იქნება ის თანხმოვანფუძიანი თუ ხმოვანფუძიანი. სანის დაკარგვის ეს პროცესი ერთნაირად დადასტურდა ერკოტელთა და ხიზაბავრელთა მეტყველებაში, თუმცა მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა იმერელთა მეტყველებაში.

აგრეთვე გვაქვს შემთხვევები, როდესაც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამა თუ იმ უბანში, ბგერის დაკარგვის მიზეზი ურთიერთგავლენის შედეგია, რაც გამოწვეულია ურთიერთ თანაცხოვრების შედეგად. მაგალითად, შეუდარებლად ხშირია შემთხვევები, ხიზაბავრელთა და ერკოტელთა უბნის მცხოვრებთა მეტყველებაში მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის მოკვეცისა, ხოლო იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული რამდენიმე მაგალითი ამ ორი უბნის გავლენის შედეგი უნდა იყოს. საპირისპიროდ შეგვიძლია ვიფიქროთ იმერელთა მეტყველების გავლენა ერკოტის უბანზე, მაგალითად ნ-ს დაკარგვის პროცესი ბუნებრივია და მრავლად გვხვდება იმერელთა მეტყველებაში, ხოლო ერკოტის უბნის მეტყველებაში ნ-ს დაკარგვის პროცესი დადასტურდა რვა რესპონდენტიდან მხოლოდ ორში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს პროცესი გავლენის შედეგია.

ძ თანხმოვნის დაკარგვის ერთადერთი მაგალითი „შეილება“ დამახასიათებელია სამივე უბნისათვის.

ბგერათა ჩართვის ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროცესი აქტიურად მიმდინარეობს დაბის მცხოვრებთა ორი უბნის მეტყველებაში, ხოლო იმერელთა მეტყველებაში ბგერათა ჩართვის პროცესის მაგალითები საერთოდ ვერ დავაფიქსირეთ.

ხიზაბავრელთა და ერკოტელთა მეტყველებაში, ბგერათა ჩართვისას აღსანიშნია თანხმოვანი მ. სონორი მ განსაკუთრებით ხშირად ჩნდება ხოლმე ზოგიერთ თავკიდურ პოზიციაში ძ, ც წინაენისმიერი სისინა აფრიკატებისა და ზოგიერთი სპირანტისა და ხშული თანხმოვნის წინ. მაგალითები: „მძვირია“, „უმფროსი“, „მემბა“.

აგერთვე, ორივე უბნის მეტყველებაში პროდუქტიულია || სიბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნი, ჰ რომელიც გვაქვს, ყველა რიგის თანხმოვნის წინ: „მიჰყვებოდა“, „ჩაჰყრი“, „გაჰკიდავდა“... ს->ჰ და ამასთანავე ჰ- პირის ნიშნის შენარჩუნების ფაქტი იმდენად თანმიმდვერულადაა წარმოდგენილი, რომ „ქართული დიალექტების კლასიფიკაციის დროს იგი ჯავახურისათვის... ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ“ (ჯორბენაძე, 1989:384).

საანალიზო ტექსტებიდან ასიმილაციის პროცესის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ერკოტელთა და ხიზაბავრელთა მეტყველება მისდევს სამცხურსა და ჯავახურ მეტყველებას, იქ დადასტურებულ პროცესებს, კერძოდ თუ ასიმილაცია დისტანციურია და ხმოვანთა შორის არის თანხმოვანი, პროცესი ჩერდება ასიმილაციის დონეზე (დეგენერებინა, გეგესნა, დეგევვირა...), ხოლო თუ ასიმილაცია კონტაქტურია, ასეთ შემთხვევაში პროცესი გრძელდება და ხდება ასიმილაციის საწინააღმდეგო პროცესი დისიმილაცია (დეენატა->დიენაყა; დეეცა->დიეცა; დეერქვა->დიერქვა; დეენვა->დიენვა).

რაც შეეხება იმერელთა მეტყველებას, მნიშვნელობა არ აქვს ფონეტიკური პროცესი კონტაქტურია თუ დისტანციური, პროცესი ასიმილაციის დონეზე ჩერდება. ოლონდ კონტაქტური ასიმილაციის დროს ხდება სრული დამსგავსება და პროცესი ჩერდება ან შეიძლება მოხდეს ნაწილობრივი ასიმილაცია. (წეილონ-ნაილო; წევიდა->-წავიდა).

მორფოლოგიური ანალიზის შედეგად კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თემის ნიშანთა მონაცვლეობა სამივე უბანში ერთნაირი სიხშირით არ გამოიყენება. -ავ->ამ თემის ნიშანი, ერთადერთია, რომელიც სამივე უბნის მეტყველებისათვის საერთოა. თუმცა ჩამოსახლებულ იმერელთა მეტყველებაში გასარკვევია, ეს ფორმა მოჰყვა მათ იმერული დიალექტიდან თუ ადგილობრივი დიალექტის გავლენის შედეგია.

ყველაზე მეტად პროდუქტიული თემის ნიშნები, რომლებიც ერკოტელთა და ხიზაბავრელთა მეტყველებაში დასტურდება არის:

1) -ამ->ავ->ემ მაგალითები: „დავასხემდით“, „გავრცხემდით“, „შეფუდენდი“... 2) ებ->ამ->ან; ებ->ემ->ენ მაგალითები: „აიღემ“,

„უკეთანთ“, „ვაკეთამთ“, „აკეთენდნენ“... ორივე უბნის განხილული მაგალითები გვიჩვენებს, რომ თემის ნიშანთა ფორმებს არ სჭირდებათ მეორე საფეხურის გავლა, რომ მივიღოთ მესამე საფეხურის ფორმები. საანალიზო ტექსტებში ვხვდებით, როგორც მეორე საფეხურის ასევე მესამე საფეხურის ფორმებსაც. 3) **ავ->ამ->ან; ავ->ემ->ენ** თემის ნიშანთა კვლევისას, ხიზაბავრელთა მეტყველებაში გვხვდება მაგალითები, რომლებიც მეორე საფეხურზეა გაჩერებული და აღარ გადადის მესამე საფეხურზე („ჩახრაკამდა“, „შესწამდა“, „შებრანამდა“), ხოლო ერკოტელთა მეტყველებაში პროცესი მესამე საფეხურამდე მიდის. 4) **ობ->ომ „ვლაპარაკომდა“, „სწავლომდა“, „მუშაომდა“.**

მხოლოდ ერკოტელთა მეტყველებაში ვხვდებით, თემის ნიშანთა **ებ->ობ->ომ->ონ** ფორმებს, თუმცა პროცესი მეორე საფეხურზეა გაჩერებული და საანალიზო ტექსტებში გვხვდება, მხოლოდ ერთ სიტყვაში „დანთება“.

აგრეთვე მხოლოდ ერკოტელთა მეტყველებაშია დადსტურებული **ევ** თემის ნიშნიანი მაგალითები, რომლებიც კანტიკუნტადაა შემოჩენილი. მაგალითად: „ვთესევდი“.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ანდრონიკაშვილი, 1966 - მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთიბიდან, თბილისი, 1966ნ;  
ბერიძე, 1988 - გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბილისი, 1988ნ;

ბერიძე, 2000 - მ. ბერიძე, წინასიტყვაობა, ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, ახალციხე, 2000ნ;

ბერიძე, 2008 - მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, თბ. 2008.

ბერიძე, 2013 - მ. ბერიძე, მაპმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა, ახალციხე, 2013ნ;

მარტიროსოვი, 1984 - ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984ნ;

სანდროშვილი, 2000 - რ. სანდროშვილი, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ზოგიერთი პერსპექტივის შესახებ ასპინძის რაიონში, ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, 2000ნ;

სილაგაძე, თოთაძე, 2002 - ავ. სილაგაძე, ან. თოთაძე, ჯავახეთი ისტორია და თანამედროვეობა I, ახალციხე, 2002; ქუქჩიშვილი, 2000 - ზ. ქუქჩიშვილი, ასპინძის ისტორიული ძეგლები, ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, ახალციხე, 2000;

შანიძე, 1980 - ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტომი III, თბილისი, 1980წ;

მაკა ბერიძე	3
ირაკლი ვაშაგძეს პოეტური ენა	
პოეზია	
ირაკლი ვაშაგძე	13
პოეზია	
ეკა ბაქრაძე	45
იბი	
მერაბ დადებარი	49
ლექსის ცერას რა უნდა?!	
პოეზია	
ლია მუმლაძე	57
პოეზია	
ხათუნა თედიაშვილი (კვეტარის ასული)	62
იმიტრანტული პოეზია	
ნანა გიგუშვილი	68
პოეზია	
ქრისტო ხაჩიძე	75
ისტორია	
ედიშერ ნარიმანიძე	83
26 გაისის „დღესასწაული“ დაცურობის საქართველოში(1923-1924 წ.)	
ედიშერ ნარიმანიძე	102
„ქართული ეროვნულ - კოლიტიცური ცენტრი უცხოეთში“ („ქართული ეროვნული ცენტრი“), პარიზი, 1950 წ. 19 ნოემბერი) და „ქართული ეროვნული საბჭო“ (პარიზი, 1951 წ. 21 მარტისათვის)	
ინათერციის რეპრესიები	
სალომე ბერიძე	115
დაბა ასაინძის მცხოვრებთა მეყოფელება	

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113,  
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88

ელ. ფოსტა: [jurnaliaravi@gmail.com](mailto:jurnaliaravi@gmail.com)